# საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა
# კ ო დ ე ქ ს ი

## კარი პირველი
## თავი I
## ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის განმარტება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანომდებლობის ამოცანაა საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით.

ამ ამოცანის განსახორციელებლად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)

მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან.

მუხლი 3. ამოღებულია(*საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 4. ამოღებულია (*საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128*)

მუხლი 5. აფხაზეთის ა.რ. და აჭარის ა.რ. კომპეტენცია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობის დარგში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობის დარგში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განეკუთვნება:

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დადგენა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე, თუ ისინი მოწესრიგებულნი არ არიან ამ კოდექსით, აგრეთვე სტიქიურ უბედურებასა და ეპიდემიასთან ბრძოლის საკითხებზე წესების დადგენა, რომელთა დარღვევისათვის დგება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ამ კოდექსის 86-ე, 102-ე, 148-ე მუხლებით. *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 6. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი - საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 7. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თავიდან აცილება

სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები შეიმუშავებენ და განახორციელებენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თავიდან აცილების, მათი ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენისა და აღკვეთის, მოქალაქეთა მაღალი შეგნებულობისა და დისციპლინის, კანონების მკაცრი დაცვის სულისკვეთებით აღზრდის ღონისძიებებს.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად უზრუნველყოფენ კანონების შესრულებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვას, თავიანთ ტერიტორიაზე კოორდინაციას უწევენ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს მუშაობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად. ხელმძღვანელობენ შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობას, რომელთა მოვალეობაა ებრძოლონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს. *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი - საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 8. ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ზემოქმედების ზომათა შეფარდებისას კანონიერების უზრუნველყოფა

რავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე.

სამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ზემოქმედების ზომების შეფარდებისას კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვას უზრუნველყოფს ზემდგომი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მხრივ სისტემატური კონტროლი, საპროკურორო ზედამხედველობა, გასაჩივრების უფლება კანონმდებლობით დადგენილი სხვა საშუალებები.

მუხლი 9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის მოქმედება

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენმა პასუხი უნდა აგოს სამართალდარღვევის ჩადენის დროს და ადგილას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტებს აქვთ უკუქცევითი ძალა, ესე იგი ვრცელდებიან ამ აქტების გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზეც. აქტებს, რომლებიც აწესებენ ან ამლიერებენ პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, უკუქცევითი ძალა არა აქვთ.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ სამართალდარღვევის შესახებ საქმის განხილვის დროს და ადგილას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

## კარი მეორე
## ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

## I. ზოგადი ნაწილი
## თავი II
## ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

მუხლი 10. ადმისტრაციული სამართალდარღვევის ცნება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევები თავიანთი ხასიათით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

(*საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი –*

*საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128;*)

მუხლი 11. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განზრახ ჩადენა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი ან შეგნებულად უშვებდა მათ.

მუხლი 12. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გაუფრთხილებლობით ჩადენა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მისი ჩამდენი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა ისინი.

მუხლი 13. ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგ დგება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირთ.

მუხლი 14. ამოღებულია (*საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128;*)

მუხლი 15. თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა

თანამდებობის პირებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, რომელიც დაკავშირებულია მმართველობის წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, ბუნების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დადგენილი წესებისა და სხვა იმ წესების დაუცველობასთან, რომელთა შესრულების უზრუნველყოფა მათი სამსახურებრივი მოვალეობაა.

მუხლი 16. სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა იმ პირთა პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის, რომლებზედაც ვრცელდება დისციპლინურ წესდებათა მოქმედება

1. სამხედრო მოსამსახურესა და სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვეულ პირს, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითთა და უფროსთა შემადგენლობას

შესაბამისად სამხედრო სამსახურის წესის დარღვევისათვის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ დისციპლინურ წესდებათა მიხედვით, ხოლო საგზაო მოძრაობის, ნადირობის, თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევისათვის, ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის გარეშე, მცირე ოდენობით შეძენისათვის ან შენახვისათვის ან/და ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის დაეკისრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საერთო საფუძველზე. აღნიშნულ პირებს არ შეიძლება შეეფარდოთ გამასწორებელი სამუშაოები. (27.03.2012. N5953)

1[1]. ამ კოდექსის 45-ე და 116-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრება საერთო საფუძველზე, აგრეთვე დისციპლინური წესდების მიხედვით. *(27.03.2009 N 1142)*

2. სხვა პირებს, ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილთა გარდა, რომლებზედაც ვრცელდება დისციპლინურ წესდებათა ან დისციპლინის შესახებ სპეციალურ დებულებათა მოქმედება, უშუალოდ ამ წესდებებით ან დებულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის დაეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში – ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საერთო საფუძველზე.

3. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ შემთხვევებში ორგანოებს (თანამდებობის პირებს), რომლებსაც ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ, შეუძლიათ მის ნაცვლად სამართალდარღვევათა მასალები გადასცენ შესაბამის ორგანოებს ბრალეულთა დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად. (29.12.2006. N4322)

მუხლი 17. უცხოელი მოქალაქის და მოქალაქეობის არმქონე პირის პასუხისმგებლობა (28.04.2006. N2962)

1. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ უცხოელ მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს მოქალაქეთა თანაბრად, საერთო საფუძველზე, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. საქართველოს ტერიტორიაზე იმ უცხოელი მოქალაქის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც საქართველოს კანონებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით საქართველოს ადმინისტრაციული იურისდიქციის მიმართ, გადაწყდება დიპლომატიური გზით.

მუხლი 18. უკიდურესი აუცილებლობა

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ ეკისრება პირს, რომელმაც თუმცა ჩაიდინა ამ კოდექსით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოქმედება, მაგრამ რომელიც მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი იმ საფრთხის ასაცდენად, რაც ემუქრებოდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ წესრიგს, საკუთრებას, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, მმართველობის დადგენილ წესს, თუ მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა ამ საფრთხის აცდენა სხვა საშუალებებით და თუ მიყენებული ზიანი უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე აცდენილი ზიანი. (*საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128;*)

მუხლი 19. აუცილებელი მოგერიება

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ ეკისრება პირს, რომელმაც თუმცა ჩაიდინა ამ კოდექსით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოქმედება, მაგრამ რომელიც მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვისას ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების გზით, თუ ამასთან გადაცილებული არ იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლები. (*საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128;*)

მუხლი 20. შეურაცხადობა

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ ეკისრება პირს, რომელიც კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენის ან უმოქმედობის დროს იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში, ე.ი. არ შეეძლო ანგარიში გაეწია თავისი მოქმედებისათვის ან ეხელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის ქრონიკული სულიერი დაავადების, სულიერი მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო.

მუხლი 21. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მასალების გადაცემა ამხანაგური სასამართლოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან შრომითი კოლექტივის განსახილველად

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი თავისუფლდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მასალები განსახილველად გადაეცემა ამხანაგურ სასამართლოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან შრომითს კოლექტივს, თუ ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით მიზანშეწონილია მას

შეეფარდოს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომა.

ამ კოდექსის 50-ე, 119-ე, 122-ე, 126-ე, 155-ე, 161-ე, 166-ე, 170-171-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩამდენთა მიმართ გამოყენებული საზოაგადოებრივი ზემოქმედების ზომების შესახებ ადმინისტრაცია, საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციასა და მათს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შექმნილი ამხანაგური სასამართლო ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია მოვალენი არიან ათი დღის ვადაში აცნობონ მასალების გამომგზავნ ორგანოს (თანამდებობის პირს).

*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებულება N 408 _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1985 წ., N10-ის დანართი, მუხ. 370;*

*საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128*

### მუხლი 22. მცირე მნიშვნელოვანი სამართალდარღვევისას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა

თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, მაშინ საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას.

## თავი III
## ადმინისტრაციული სახდელი

### მუხლი 23. ადმინისტრაციული სახდელის მიზნები

ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით.

### მუხლი 24. ადმინისტრაციული სახდელების სახეობანი

1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები:

ა) გაფრთხილება;

ბ) ჯარიმა;

გ) იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება იყო; (27.03.2012. N5953)

დ) იმ საგნის კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება იყო; (27.03.2012. N5953)

ე) მოქალაქისათვის მინიჭებული სპეციალური უფლების (სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება) ჩამორთმევა;

ე[1]) იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა; (1.07.2011. N5018)

ვ) გამასწორებელი სამუშაოები;

ზ) ადმინისტრაციული პატიმრობა.

2. საქართველოს კანონებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს ფარგლებიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის იმ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ადმინისტრაციული გაძევება, რომლებიც უხეშად არღვევენ მართლწესრიგს. (25.07.2006. N3516)

3. იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა ნიშნავს სამსახურებრივ-საშტატო იარაღის, თავდაცვის მოკლელულიანი ან/და სპორტული მოკლე ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევას. ამ სახის ადმინისტრაციული სახდელი გამოიყენება „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ პირთა მიმართ, მათ მიერ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში. იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მომდევნო დღიდან. (1.07.2011. N5018)

*(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულება N1842 _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1988წ., N8, მუხ. 201;*

*საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128;*

*საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი N285 – სსმ I, 2000 წ., N18, მუხ. 47)*

მუხლი 25. ძირითადი და დამატებითი ადმინისტრაციული სახდელები (1.07.2011. N5018)

1. საგნის სასყიდლით ჩამორთმევა და საგნის კონფისკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელის სახით. გაფრთხილება, ჯარიმა, სპეციალური უფლების ჩამორთმევა, გამასწორებელი სამუშაოები, ადმინისტრაციული პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც ძირითადი ადმინისტრაციული სახდელი. იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც დამატებითი ადმინისტრაციული სახდელი.

2. ერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შეიძლება დადებულ იქნეს ძირითადი ადმინისტრაციული სახდელი ან ძირითადი და დამატებითი ადმინისტრაციული სახდელები.

მუხლი 26. გაფრთხილება

გაფრთხილება, როგორც ადმინისტრაციული სახდელის ზომა, გამოაქვთ წერილობითი ფორმით, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაფრთხილება გაფორმდება სხვა დადგენილი წესით.

*(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 5 ივნისის ბრძანებულება N2156 _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1989 წ., N6, მუხ.72)*

მუხლი 27. ჯარიმა

მოქალაქეებისათვის და თანამდებობის პირებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო დაკისრებული ჯარიმა არ შეიძლება იყოს შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის ერთ მესამედზე ნაკლები.

*(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 11 ივნისის ბრძანებულება N785 _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1986 წ., N6, მუხ. 140;*

*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 22 ივნისის ბრძანებულება N1306 _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1987 წ., N6, მუხ.152;*

*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულება N1842 _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1988 წ., N8, მუხ. 201;*

*საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 28 ივნისის კანონი _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., N6, მუხ. 450;*

*საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128;*

*საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი N436 _ საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., N16, მუხ. 308)*

მუხლი 28. იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი ან უშუალო ობიექტი იყო *(17.08.2010 N 3593 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)*

1. იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება იყო, მდგომარეობს მის იძულებით ჩამორთმევასა და შემდგომ რეალიზაციაში, ნავაჭრი თანხის ყოფილი მესაკუთრისათვის გადაცემით, ჩამორთმეული საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაქვითვით. (27.03.2012. N5953)

2. ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალები არ შეიძლება სასყიდლით ჩამოერთვას იმ პირს, რომლისთვისაც ნადირობა არსებობის ძირითადი წყაროა.

3. სასყიდლით ჩამორთმევის შეფარდების წესს და ჩამოსართმევი საგნების სახეობებს ადგენს საქართველოს კანონმდებლობა.

*(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128;*

*საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი N285 – სსმ I, 2000 წ., N18, მუხ. 47)*

### მუხლი 29. იმ საგნის კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი ან უშუალო ობიექტი იყო *(17.08.2010 N 3593 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)*

1. იმ საგნის კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება იყო (გარდა ამ კოდექსის $153^6$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საგნისა), მდგომარეობს მის სახელმწიფო საკუთრებაში იძულებით, უსასყიდლოდ გადაცემაში. კონფისკაციას ექვემდებარება მხოლოდ დამრღვევის პირად საკუთრებაში არსებული საგანი, თუ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. (27.03.2012. N5953)

2. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების, სხვა სანადირო იარაღის კონფისკაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირის მიმართ, რომლისთვისაც ნადირობა არსებობის ძირითადი წყაროა.

3. იმ საგნის (საქონლის) კონფისკაცია, რომელიც ამ კოდექსის $153^6$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ობიექტი იყო, ექვემდებარება ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში იძულებით, უსასყიდლოდ გადაცემას.(11.10.2011. N5097)

*(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებულება N 408 _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1985 წ., N10-ის დანართი, მუხ. 370;*

*საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128;*

*საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი N285 – სსმ I, 2000 წ., N18, მუხ. 47)*

### მუხლი 30. მოქალაქისათვის მინიჭებული სპეციალური უფლების ჩამორთმევა

1. მოქალაქეს მინიჭებული სპეციალური უფლება (სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება) ჩამოერთმევა სამ წლამდე ვადით ამ უფლებით სარგებლობის წესის უხეში ან სისტემატური დარღვევისათვის. ასეთი უფლების ჩამორთმევის ვადა არ შეიძლება იყოს თხუთმეტ დღეზე ნაკლები, თუ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება არ შეიძლება ჩამოერთვათ იმ პირთ, რომლებიც აღნიშნული საშუალებებით სარგებლობენ ინვალიდობის გამო, იმ შემთხვევების გარდა, როცა სატრანსპორტო საშუალებას მართავდნენ ნასვამ მდგომარეობაში. (25.07.2006. N3516)

### მუხლი 31. გამასწორებელი სამუშაოები

გამასწორებელი სამუშაოები გამოიყენება ექვს თვემდე ვადით და

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენმა უნდა მოიხადოს მუდმივ სამუშაო ადგილზე, ამასთან, სახელმწიფოს სასარგებლოდ ხელფასიდან დაექვითება ოც პროცენტამდე. გამასწორებელ სამუშაოებს შეუფარდებს რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლე, ადმინისტრაციული მოსამარრთლე. გამასწორებელი სამუშაოების ვადა არ შეიძლება

იყოს თხუთმეტ დღეზე ნაკლები, თუ საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

*(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი - საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 32. ადმინისტრაციული პატიმრობა *(01.07.2005 N1857)*

1. ადმინისტრაციული პატიმრობა დადგინდება და გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ცალკეულ სახეობათა სამხედრო სამსახურის წესის დარღვევისათვის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის 90 დღემდე ვადით. ადმინისტრაციულ პატიმრობას შეუფარდებს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლე. (17.07.2009. N1505)

2. სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის წესის დარღვევისა და ამ კოდექსის 45-ე და 166-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში საქმეს ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების თაობაზე სასამართლო განიხილავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირის ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის წარდგინების საფუძველზე. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების თაობაზე სასამართლოს მიმართავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი პირი. *(27.03.2009 N 1142)*

3. ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოთ ორსულ ქალებს, დედებს, რომლებსაც ჰყავთ თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვები, თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირებს, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს.

*(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი - საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

## თავი IV

## ადმინისტრაციული სახდელის დადება

მუხლი 33. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის დადების ზოგადი წესები

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს

პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით.

სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

*(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი - საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 34. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად ითვლება:

1) ბრალეულის გულწრფელი მონანიება;

2) მრალეულის მიერ სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება;

3) სამართალდარღვევის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების გავლენით, ან მძიმე პირად თუ ოჯახურ გარემოებათა დამთხვევის გამო;

4) სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვანის მიერ;

5) სამართალდარღვევის ჩადენა ორსული ქალის ან იმ ქალის მიერ, რომელსაც ერთ წლადე ასაკის ბავშვი ჰყავს.

საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი სხვა გარემოებანიც, ორგანოს (თანამდებობის პირის) რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს წყვეტს, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანიც, რომლებიც არ არის აღნიშნული კანონმდებლობაში.

*(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი - საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 35. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გ არემოებანი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებად ითვლება:

1) მართლსაწინააღმდეგო ქცევის განგრძობა მისი შეწყვეტის შესახებ საამისოდ უფლებამოსილ პირთა მოთხოვნის მიუხედავად;

2) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა, რომლის გამოც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სახდელი; სამართალდარღვევის ჩადენა წინათ დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ;

3) არასრულწლოვანის ჩაბმა სამართალდარღვევაში;

4) სამართალდარღვევის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ;

5) სამართალდარღვევის ჩადენა სტიქიური უბედურების პირობებში ან სხვა საგანგებო გარემოებათა დროს.

6) სამართალდარღვევის ჩადენა ნასვამ მდგომარეობაში.

ადმინისტრაციული სახდელის დამდებ ორგანოს (თანამდებობის პირს) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ხასიათის კვალობაზე შეუძლია არ ცნოს ეს გარემოება დამამძიმებლად.

მუხლი 36. ადმინისტრაციული სახდელის დადება რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის

ერთი პირის მიერ ორი ან მეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ადმინისტრაციული სახდელი მას დაედება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე.

თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი), სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევისათვის. ამ შემთხვევაში ძირითად სახდელს შეიძლება დაემატოს ერთ-ერთი დამატებითი სახლდელთაგანი, რომელებსაც ითვალისწინებენ

რომელიმე ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამდგენი მუხლები.

მუხლი 36[1]. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დარღვევისათვის

1. ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდგომ დადგენილ ვადაში ლიცენზიის ან ნებართვის მფლობელის მიერ სალიცენზიო ან სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ლიცენზიის ან ნებართვის მფლობელის მიერ სალიცენზიო ან სანებართვო პირობები არ იქნება დაკმაყოფილებული, დაკისრებული ჯარიმა გასამმაგდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. (25.07.2006. N3516)

მუხლი 37. ადმინისტრაციული სახდელის ვადების გამოანგარიშება

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა გამოიანგარიშება დღე-ღამით, გამასწორებელი სამუშაოების _ თვეებით ან დღეებით, სპეციალურ უფლების ჩამორთმევისა _ წლებით, თვეებით.

მუხლი 38. ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადები (25.12.2009.

N2456)

1. ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან.

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ოთხ თვეს, გარდა ამ კოდექსის $159^5$–$159^9$ მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. (15.12.2010. N4069)

$2^1$. ამ კოდექსის $159^5$–$159^9$ მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ექვს თვეს სამართალდარღვევის გამოვლენის დღიდან. (15.12.2010. N4069)

3. სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში, მაგრამ როცა დამრღვევის მოქმედებაში არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნები, ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ერთი თვისა სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

4. ამ მუხლში აღნიშნული ვადები არ ვრცელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე კონტრაბანდის საგნების კონფისკაციის და ამ კოდექსის $190^1$ მუხლით გათვალისწინებული სანქციის შეფარდებისას. *(17.08.2010 N 3593 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)*

მუხლი 39. ვადა, რომლის გასვლის შემდეგ პირი ითვლება ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად.

თუ ადმინისტრაციულ სახდელდადებულს სახდელის მოხდის დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაუდენია ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, იგი ჩაითვლება ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად.

შენიშვნა: სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში პირი სახდელდაუდებლად ჩაითვლება, თუ იგი ჯარიმის დაკისრების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. *(27.03.2009 N 1142)*

მუხლი 40. მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება *(16.07.2010 N 3448)*

1. თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა მოქალაქეს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ან სახელმწიფოს, მაშინ მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას ვალდებულია სამართალდამრღვევს იმავდროულად დააკისროს მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების

ვალდებულება.

1[1]. ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი შეიძლება გათავისუფლდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. (27.12.2011. N5628 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

2. ამ კოდექსის 116-ე მუხლის მე-7 ნაწილით, 119-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 120-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-5 და მე-10 ნაწილებით განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც დაზიანებულია სატრანსპორტო საშუალება, დადგენილია სამართალდამრღვევი და გამოწერილია შესაბამისი საჯარიმო ქვითარი, დაზარალებულის (სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის/მფლობელის) მიერ წარდგენილი განცხადებისა და უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შეფასების საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი იღებს შესაბამის დადგენილებას და მის საფუძველზე გასცემს სააღსრულებო ფურცელს, რომლითაც სამართალდამრღვევს დაზარალებულის (სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის/მფლობელის) სასარგებლოდ დაეკისრება დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენის, ხოლო აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – მისი შენაცვლებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში განცხადებას შესაბამისი დადგენილების მიღებისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული განცხადება და იმავე ნაწილში მითითებული საექსპერტო შეფასება წარდგენილია შესაბამისი საჯარიმო ქვითრის გამოწერიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

3[1]. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ დადგენილებაზე სააღსრულებო ფურცელი გაიცემა ამ კოდექსის 273-ე მუხლით საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების) გასაჩივრებისათვის დადგენილი 10-დღიანი ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 5 დღისა. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ დადგენილებაზე სააღსრულებო ფურცელი გაიცემა საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების) გასაჩივრების მიუხედავად. (26.04.2012. N6090)

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული დადგენილება მიიღება და სააღსრულებო ფურცელი გაიცემა ამ კოდექსის 273-ე მუხლით საჯარიმო ქვითრის (დადგენილების) გასაჩივრებისათვის დადგენილი 10-დღიანი ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 5 დღისა, თუ აღნიშნული ქვითარი არ არის გასაჩივრებული. საჯარიმო ქვითრის გასაჩივრების შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული დადგენილება მიიღება და სააღსრულებო ფურცელი გაიცემა ზემდგომი ორგანოს მიერ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ, ხოლო თუ დადგენილება

გასაჩივრებულია სასამართლოში – პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. (26.04.2012. N6090)

5. ამ მუხლით განსაზღვრული სააღსრულებო ფურცლისა და სათანადო განცხადების წარდგენის შემთხვევაში სააღსრულებო ბიურო ვალდებულია გაატაროს სააღსრულებო ფურცლის აღსრულებისთვის საჭირო ღონისძიებები, მათ შორის პრიორიტეტულად განახორციელოს იმ მექანიკურ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ყადაღის დადება ან/და მისი რეალიზაცია, რომლითაც ჩადენილ იქნა ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

6. ამ მუხლით განსაზღვრული:

ა) დადგენილების მიღებამდე და სააღსრულებო ფურცლის გაცემამდე ან/და მის აღსრულებამდე დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს წერილობითი მორიგების საფუძველზე შეაჩერონ ან შეწყვიტონ იძულებითი აღსრულება;

ბ) დადგენილებისა და სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრების შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დაზარალებულს, რომელიც არ გამოიყენებს ამ მუხლის მე-2–მე-6 ნაწილების დებულებებს, უფლება აქვს, სამართალდამრღვევთან იდავოს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ამ მუხლით განსაზღვრული სააღსრულებო ფურცლის ფორმას და მისი გაცემის წესს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

### მუხლი $40^1$. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად სახელმწიფოსათვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესი (15.12.2010. N4072)

1. თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს ან/და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, ზიანის ოდენობის დადგენის შემდეგ დაინტერესებული ორგანო/თანამდებობის პირი გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ზიანის ანაზღაურების შესახებ (გარდა ამ კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა), რომელსაც უგზავნის სამართალდამრღვევს. დაინტერესებული ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს.

2. დაინტერესებულ ორგანოს/თანამდებობის პირს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში დაიბაროს სამართალდამრღვევი ახსნა-განმარტების მისაცემად.

3. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. თუ სამართალდამრღვევმა ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში არ აანაზღაურა მიყენებული ზიანი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიყენებული ზიანის

ანაზღაურების შესახებ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

შენიშვნა: ამ მუხლის მიზნებისათვის დაინტერესებულ ორგანოდ/თანამდებობის პირად ითვლება ის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო/თანამდებობის პირი ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ბალანსზედაც იმყოფება ან რომელსაც სარგებლობაში აქვს გადაცემული სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შედეგად მიადგა ზიანი, ან რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 41. იმ მოვალეობის შესრულება, რომლის შეუსრულებლობისთვისაც შეფარდებული იყო ადმინისტრაციული სახდელი

მოსამართლე ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილებით ადასტურებს იმ მოვალეობის შესრულების ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობისთვისაც პირს შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, და დადგენილებაში განსაზღვრავს დარღვევის გამოსასწორებლად გასატარებელ ღონისძიებებს, რომელთა აღსრულებაც ხდება კანონით დადგენილი წესით. (29.12.2006. N4283)

## II. განსაკუთრებული ნაწილი

## თავი V

## ადმინისტრაციული სამართალდარღვევები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში*(23.12.2005 N2461)*

მეხლი 42. შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის წესების დარღვევა

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის (მიუხედავად მისი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) თანამდებობოს პირის მიერ შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის წესების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ას მინიმალურ ოდენობამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი ადმინისტრასციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი $42^1$. კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების პროცედურებში მონაწილეობისათვის თავის არიდება

დამსაქმებელთა წარმომადგენლების მიერ მუშაკთა მოთხოვნით სოციალურ-შრომითი ურთიერთობების საკითხებზე შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობის მიუღებლობა, კრების (კონფერენციის) ჩასატარებლად შესაფერისი

ადგილის გამოყოფაზე უარის თქმა ან მისი ჩატარებისათვის ხელის შეშლა, -
გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან ოთხას ლარამდე.

მუხლი 42$^{2}$. კოლექტიურ შრომით დავაში მიღწეული შეთანხმების შეუსრულებლობა

დამსაქმებელთა წარმომადგენლების მიერ კოლექტიურ შრომით დავაში მიღწეული შეთანხმების შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან ოთხას ლარამდე.

მუხლი 42$^{3}$. დასაქმების კერძო სააგენტოების სავალდებულო შეტყობინების გარეშე საქმიანობა *(24.06.2005 N 1789)*

„დასაქმების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სავალდებულო შეტყობინების გარეშე დასაქმების კერძო სააგენტოების საქმიანობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას ოცი მინიმალური ხელფასის ოდენობით.

იგივე ქმედება, ჩადენილი ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათი მინიმალური ხელფასის ოდენობით.

მუხლი 42$^{4}$. არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების დარღვევა

დამსაქმებლის მიერ საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორას მინიმალურ ოდენობამდე.

*(20.06.2003 N 2437)*

მუხლი 42$^{5}$. ამოღებულია *(23.12.2005 N2461)*

მუხლი 42$^{6}$ ამოღებულია *(23.12.2005 N2461)*

მუხლი 42$^{7}$ ამოღებულია *(23.12.2005 N2461)*

მუხლი 42$^{8}$ ამოღებულია *(23.12.2005 N2461)*

მუხლი 42$^{9}$. ამოღებულია *(23.12.2005 N2461)*

მუხლი 43. სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევა

სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევა, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას ორმოცდაათი ლარით, იურიდიული პირისა და დაწესებულებისა – ასი ლარით.

იგივე ქმედება, განმეორებით ჩადენილი ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას ორასი ლარით, იურიდიული პირისა

და დაწესებულებისა – ხუთასი ლარით. *(08.05.2003 N 2291)*

მუხლი 44. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოების ჰიგიენური სერტიფიკატის ან/და ნებართვის გარეშე ობიექტის ფუნქციონირება და პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია

სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოების ჰიგიენური სერტიფიკატის ან/და ნებართვის გარეშე ობიექტის ფუნქციონირება და პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ათას ხუთას ლარამდე. *(08.05.2003 N 2291)*

მუხლი 44[1]. ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტების, საწოვრიანი ბოთლებისა და სატყუარების წარმოებისა და რეალიზაციის წესების დარღვევა

ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტების, საწოვრიანი ბოთლებისა და სატყუარების წარმოებისა და რეალიზაციის წესების დარღვევა, -

გამიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე.

იგივე მოქმედება, განმეორებით ჩადენილი ერთი წლის განმავლობაში, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ათას ხუთას ლარამდე.

*(საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი N2382 – სსმ I, 1999 წ., N43(50), მუხ. 221)*

მუხლი 44[2]. უკანონო სამედიცინო/საექიმო საქმიანობა (28.02.2012. N5719 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. სამედიცინო საქმიანობა ნებართვის გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას არა უმეტეს 10 000 ლარისა.

2. სამედიცინო საქმიანობა ლიცენზიის გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას არა უმეტეს 5 000 ლარისა.

3. საექიმო საქმიანობა სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის პირველ ან მე-2 ნაწილში აღნიშნული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პირველად ჩადენისას შეფარდებული ჯარიმის გაორმაგებული ოდენობით.

მუხლი 44[3]. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოების მიერ დადებული ბეჭდის (პლომბის) განზრახ დაზიანება

ობიექტის ექსპლუატაციის შეჩერების, აგრეთვე პროდუქციის (ნედლეულის) წარმოება-რეალიზაციის შეჩერების ან აკრძალვის მიზნით სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოების მიერ დადებული ბეჭდის (პლომბის) განზრახ დაზიანება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათას ხუთასიდან ორი ათას ხუთას ლარამდე. *(08.05.2003 N 2291)*

მუხლი $44^4$. არაიოდირებული მარილის რეალიზაცია, ვადაგასული იოდირებული მარილის იმპორტი და რეალიზაცია, აგრეთვე ფალსიფიცირებული სხვა ფორტიფიცირებული საკვები პროდუქტების იმპორტი (25.12.2009. N2456 ამოქმედდეს 2010 წლის 1 თებერვლიდან)

არაიოდირებული მარილის რეალიზაცია (გარდა „იოდის, სხვა მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ვადაგასული იოდირებული მარილის იმპორტი ან რეალიზაცია, აგრეთვე ფალსიფიცირებული სხვა ფორტიფიცირებული საკვები პროდუქტების იმპორტი –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 2000 ლარამდე.

მუხლი $44^5$. სამედიცინო საქმიანობის სალიცენზიო და სანებართვო პირობების შეუსრულებლობა (28.02.2012. N5719 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. სამედიცინო საქმიანობის სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას სალიცენზიო პირობების დარღვევის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 5 000 ლარისა.

2. სამედიცინო საქმიანობის სანებართვო პირობების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას სანებართვო პირობების დარღვევის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 10 000 ლარისა.

მუხლი $44^6$. ამოღებულია *(16.07.2010 N 3448)*

მუხლი $44^7$. მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის შეუსრულებლობა

*(21.07.2010 N 3554 ამოქმედდეს 2010 წლის 1 დეკემბრიდან)*

1. მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200-დან 500 ლარამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

მუხლი $44^8$. მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობა სავალდებულო შეტყობინების გარეშე

მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის სავალდებულო შეტყობინების გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 44$^{9}$. სამედიცინო/საექიმო საქმიანობის/მომსახურების მიმწოდებლის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების (თუ ეს არ არის ლიცენზიის/ნებართვის/ ტექნიკური რეგლამენტის პირობა) წესის დარღვევა *(21.07.2010 N 3554 ამოქმედდეს 2010 წლის 1 დეკემბრიდან)*

1. სამედიცინო/საექიმო საქმიანობის/მომსახურების მიმწოდებლის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების (თუ ეს არ არის ლიცენზიის/ნებართვის/ტექნიკური რეგლამენტის პირობა) წესის დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300-დან 500 ლარამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 1 000 ლარამდე.

3. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ქმედება, ჩადენილი იურიდიული პირის მიერ, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 1 000 ლარამდე.

4. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500-დან 2 000 ლარამდე.

მუხლი 44$^{10}$. სამედიცინო დაწესებულების ან/და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის მიერ ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმების დარღვევა (17.12.2010. N4133 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

1. სამედიცინო დაწესებულების ან/და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებისას „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმების დარღვევა –

გამოიწვევს სამედიცინო დაწესებულების ან/და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს სამედიცინო დაწესებულების ან/და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 44$^{11}$. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის დანიშვნის, გამოწერისა და

გაფორმების წესების დარღვევა *(22.05.2012. N6246 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

1. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის დანიშვნის წესის დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის გამოწერისა და გაფორმების წესის დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

მუხლი 44$^{12}$. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვის სფეროში ანგარიშების მოთხოვნის შეუსრულებლობა (22.05.2012. N6246 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ლეგალური ბრუნვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის მიუწოდებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 45. ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე

ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან, გამონაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად ჩაითვლება, – ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე ვადით.

შენიშვნა:

1. პირი, რომელიც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, რომელიც მას აქვს მცირე ოდენობით და რომელიც შეიძინა ან შეინახა გასაღების მიზნის გარეშე, აგრეთვე რომელიც ნებაყოფლობით მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებით მისთვის სამედიცინო დახმარების გასაწევად, თავისუფლდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან ამ მუხლით

გათვალისწინებული ქმედებებისათვის. 28.04.2006. N2962 ამოქმედდეს 2006 წლის 1 ნოემბრიდან

2. პოლიციელი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს გამოკვლევის მიზნით წარუდგენს იმ პირს, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან ნარკოტიკული საშუალება ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა. (27.12.2006. N4191)

3. უფლებამოსილი პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენის წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით. (27.12.2006. N4191)

4. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით. (1.07.2011. N5018)

მუხლი 46. ვენერიული სენის შეყრის წყაროს და ავადმყოფთა ისეთი კონტაქტების დაფარვა, რომლებიც სენის შეყრის საშიშროებას ქმნიან

ვენერიული სენით დაავადებულთა მიერ დაავადების წყაროს დაფარვა, რომლებთანაც ისეთი კონტაქტები ჰქონდათ, რაც ვენერიული სენის შეყრის საშიშროებას ქმნის, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების სამ მინიმალურ ოდენობამდე.

*(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128;*

*საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი N436 _ საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., N16, მუხ. 308)*

მუხლი 46$^{1}$. ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის, ქსოვილის აღებისა და გამოყენების წესების დარღვევა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი, ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის, ქსოვილის აღებისა და გამოყენების წესების დარღვევა

- გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათმაგი ოდენობით, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ასმაგი ოდენობით.

*(06.11.2002 N 1708)*

## თავი VI
## სახელმწიფო საკუთრების ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

მუხლი 47. ამოღებულია *(5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)*

მუხლი 48. წყლის ობიექტის თვითნებური დაკავება *(5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)*

წყლის ობიექტის თვითნებური დაკავება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

მუხლი 49. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწის თვითნებური დაკავება (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

1. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწის თვითნებური დაკავება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

2. დაცული ტერიტორიის საზღვრების ფარგლებში მიწის თვითნებური დაკავება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

მუხლი 49[1]. ამოღებულია (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

მუხლი 50. ამოღებულია *(3.07.2007 N5185)*

მუხლი 50[1]. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის დანაშაულით მიყენებული ქონებრივი ზარალის ანაზღაურებისაგან თავის არიდება

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის დანაშაულით მიყენებული ქონებრივი ზარალის ანაზღაურებისაგან თავის არიდება, იმ პირის მიერ, რომელიც სასამართლოს განაჩენით ან გადაწყვეტილებით მოვალეა აანაზღაუროს ასეთი ზარალი, -

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ექვს თვემდე, ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით.

*(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 11 ივნისის ბრძანებულება N785 _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1986 წ., N6, მუხ. 140;*
*საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი N436 _ საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., N16, მუხ. 308)*

## თავი VII
## ადმინისტრაციული სამართალდარღვევები გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და აღზრდის სფეროში *(21.07.2010 N 3535 ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან)*

მუხლი 51. მიწის დაცვის მოთხოვნათა შეუსრულებლობა

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-შენახვისა და სამელიორაციო სამუშაოთა ჩაუტარებლობის, აგრეთვე რეკულტივაციის, ქარისმიერი, წყლისმიერი ეროზიისა და ნიადაგის მდგომარეობის გამაუარესებელი სხვა პროცესებისაგან ნიადაგის დაცვის მიწათმოსარგებლეზე დამოკიდებული სავალდებულო ღონისძიებების შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე.

*(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _*

*საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128;*

*საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი N436 _ საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., N16, მუხ. 308;*

*საქართველოს 1997 წლის 10 დეკემბრის კანონი N1141 _ პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., N47-48, გვ. 163)*

მუხლი 51[1]. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების მიწების არამიზნობრივი გამოყენება

1. დაცული ტერიტორიების მართვისა და დაცვისათვის უშუალოდ პასუხისმგებელ პირთა მიერ დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების მიწების არა იმ მიზნით გამოყენება, რისთვისაც ისინი გამოიყო, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოცდაათიდან ორას ლარამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან ხუთას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი 51[2]. მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა

მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და გადაადგილება, რაც დაკავშირებული არ არის დადგენილი წესით ნებადართულ ღონისძიებებთან, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ათას ხუთასიდან ორი ათას ლარამდე.

მუხლი 51[3]. სახელმწიფო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტალური დადგენილი წესით გაუფორმებლობა

სახელმწიფო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების დადგენილი წესით გაუფორმებლობა, _

გამოიწვევს დაჯარიმებას რვაასიდან ათას ლარამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან სამი ათას ხუთას ლარამდე.

მუხლი 51[4]. მაღალმთიან რეგიონებში სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისას ნიადაგისა და წყლის გაუვარგისება

მაღალმთიან რეგიონებში სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისას ნიადაგისა და წყლის გაუვარგისება –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას

მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 51$^{5}$. მაღალმთიან რეგიონებში იმ სუბალპური და ალპური მცენარეულობის მოპოვება, რომლის საწვავად და სხვა მიზნით მოხმარება აკრძალულია

მაღალმთიან რეგიონებში იმ სუბალპური და ალპური მცენარეულობის მოპოვება, რომლის საწვავად და სხვა მიზნით მოხმარება აკრძალულია, –
გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდაათიდან ორმოცდაათ ლარამდე. *(19.11.2002 N 1753)*

მუხლი 52. მიწის გაუვარგისება საწარმოო და სხვა ნარჩენებით, მისი ჩამდინარე წყლით დაბინძურება

მიწის გაუვარგისება საწარმოო და სხვა ნარჩენებით, მისი ჩამდინარე წყლით დაბინძურება, –
გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან რვაას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი 53. დროებით დაკავებული მიწის თავის დროზე დაუბრუნებლობა ან დანიშნულებისამებრ მისი ვარგის მდგომარეობაში მოყვანის მოვალეობის შეუსრულებლობა

დროებით დაკავებული მიწის თავის დროზე დაუბრუნებლობა ან დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მისი ვარგის მდგომარეობაში მოყვანის შეუსრულებლობა, -
გამოიწვევს დაჯარიმებას ოთხასიდან ხუთას ლარამდე.

მუხლი 53$^{1}$. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მოქცეული, დროებით დაკავებული მიწების დროულად დაუბრუნებლობა

1. დაცული ტერიტორიების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მოქცეული, დროებით დაკავებული მიწების დროულად დაუბრუნებლობა, –
გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან სამას ლარამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, –
გამოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან ოთხას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი 53$^{2}$. მიწის ნაკვეთის არამიზნობრივი გამოყენება

მიწის ნაკვეთის არამიზნობრივი გამოყენება, -
გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე.

მუხლი 53[3]. მიწათმოსარგებლის მიერ სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის (ან მისი ნაწილის) არსებული წესის დარღვევით სხვა მიწათმოსარგებ-ლისათვის გადაცემა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ექვსასიდან შვიდას ლარამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორი ათასიდან ორი ათას ხუთას ლარამდე.

*(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი N1981 – სსმ I, 1999 წ., N19(26), მუხ. 77)*

მუხლი 54. მიწის გამოყენებისა და დაცვის შესახებ პროექტისაგან სათანადო ნებართვის გარეშე გადახვევა

მიწის გამოყენებისა და დაცვის შესახებ პროექტისაგან სათანადო ნებართვის გარეშე გადახვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან ხუთას ლარამდე.

მუხლი 54[1]. მიწის კანონმდებლობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დადგენილი წესით მიცემული გაფრთხილების შეუსრულებლობა

მიწის კანონმდებლობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დადგენილი წესით მიცემული გაფრთხილების შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ექვსასიდან შვიდას ლარამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორი ათასიდან ორი ათას ხუთას ლარამდე.

*(საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი N1981 – სსმ I, 1999 წ., N19(26), მუხ. 77)*

მუხლი 55. სამიჯნე ნიშნის მოშლა, დაზიანება ან სასაზღვრო ზოლის თვითნებური შეცვლა

მიწათსარგებლობის საზღვრების სამიჯნე ნიშნების მოშლა, დაზიანება ან სასაზღვრო ზოლის თვითნებური შეცვლა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან შვიდას ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას ათი დღის ვადით, საზღვრის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანით.

იგივე ქმედება ჩადენილი, განმეორებით, _

გამოიწვევს დაჯარიმებას ათას ხუთასიდან ორი ათას ლარამდე.

მუხლი 55[1]. მიწის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ობიექტების მშენებლობა

მიწის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ობიექტების მშენებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ორი ათას ლარამდე.

მუხლი 55[2]. სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება

ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა

სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ორი ათას ლარამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან სამი ათას ხუთას ლარამდე.

მუხლი $55^3$. მიწის ფონდებზე, მიწების მდგომარეობასა და გამოყენებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება, მიწის გამოყოფის თაობაზე განაცხადის, შუამდგომლობის, საჩივრების განხილვის ვადების დარღვევა

მიწის ფონდებზე, მიწების მდგომარეობისა და გამოყენებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება, მიწის გამოყოფის თაობაზე განაცხადის, შუამდგომლობის საჩივრების განხილვის ვადების დარღვევა, -

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი $55^4$. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების საზღვრების სამიჯნე ნიშნების მოსპობა

1. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების საზღვრების სამიჯნე ნიშნების მოსპობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ას ლარამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ას ორმოცდაათ ლარამდე.

მუხლი $55^5$. ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა (15.12.2010. N4067)

1. ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 3 500 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: (22.03.2011. N4464 ამოქმედდეს 2011 წლის 16 )

1. თუ ვერ დგინდება სამართალდამრღვევი პირის ვინაობა, უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს, მიიღოს ზომები სამართალდარღვევის აღმოფხვრის მიზნით.

2. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი ჩადენილი სამართალდარღვევისათვის ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 56. წიაღის დაცვის მოთხოვნათა დარღვევა

1. წიაღით სარგებლობის ობიექტების განლაგების ფართობების თვითნებურად განაშენიანება, წიაღის დაცვის, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენისაგან ბუნებრივი გარემოს, შენობებისა და ნაგებობების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა, სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების ლიკვიდაციისა და კონსერვაციის, მიწის მინაკუთვნის ფარგლებში ნიადაგის რეკულტივაციის წესებისა და ნორმების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან რვაას ლარამდე.

2. სასარგებლო წიაღისეულის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების გაუარესება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას რვაასიდან ათას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი $56^{1}$. ამოღებულია *(საქართველოს 1997წლის 12 ივნისის კანონი N759 _ პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., N33, გვ.3)*

მუხლი $56^{2}$. ამოღებულია *(საქართველოს 1997წლის 12 ივნისის კანონი N759 _ პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., N33, გვ.3)*

მუხლი 57. წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოების მოთხოვნების დარღვევა *(8.05.2007 N4713)*

წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოების მოთხოვნების დარღვევა, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა ან მოჰყვა მიწისქვეშა წყლებზე დაკვირვების სარეჟიმო ჭაბურღილების, სამარკშეიდერო და გეოდეზიური ნიშნების მოსპობა ან დაზიანება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და დამცავი ზონების ხელყოფა, გეოლოგიური ინფორმაციის საკუთრების უფლების დარღვევა, წიაღის

შესახებ დაგვიანებული ან ცრუ ინფორმაციის შეგნებულად მიწოდება, –

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან სამოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 57[1]. წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე

წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ათას ხუთას ლარამდე.

მუხლი 57[2]. წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დარღვევა

წიაღით სარგებლობის ნორმების, აგრეთვე წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ოთხასიდან შვიდას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი 57[3]. წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის პირობების დარღვევით

წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის პირობების დარღვევით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასი ლარით. (25.07.2006. N3516)

მუხლი 58. წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა

1. წყლის ობიექტების დაბინძურება, დანაგვიანება, წყლის ობიექტებში ნარჩენებისა და სხვაგვარი ნაყარის ჩაყრა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან სამას ლარამდე.

2. სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლის ობიექტების დაცვის რეჟიმის დარღვევა, სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და სამკურნალო დანიშნულების წყლის ობიექტებში სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარე წყლების ჩაშვება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ოთხასიდან ექვსას ლარამდე.

3. წყლის ტრანსპორტიდან, მილსადენებიდან, წყლის ობიექტებზე არსებული მცურავი და სხვა ნაგებობებიდან წყლის დაბინძურება ან დანაგვიანება ზეთით, ქიმიური ნივთიერებებით, ნავთობით, მინერალური და ორგანული სასუქებით და შხამქიმიკატებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან ექვსას ლარამდე.

4. ამ მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 ნაწილებში აღნიშნული ქმედებები, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან რვაას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი 58[1]. დაცული ტერიტორიების ფარგლებში წყლის დაცვის წესების დარღვევა

დაცული ტერიტორიების კანონმდებლობით დადგენილი საზღვრების ფარგლებში არსებული წყლის ობიექტების დაცვისა და გამოყენების რეჟიმის დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორას ორმოცდაათიდან სამას ორმოცდაათ ლარამდე.

იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ოთხას ორმოცდაათიდან ხუთას ორმოცდაათ ლარამდე.

მუხლი 58[2]. ზღვის დაბინძურება (4.05.2010. N3054)

1. ხმელეთიდან ზღვაში საყოფაცხოვრებო ნაგვის ან სხვა ნარჩენების ჩაყრა –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან სამას ლარამდე.

2. ხმელეთიდან ზეთით, ქიმიური ნივთიერებებით, ნავთობით, მინერალური და ორგანული სასუქებით და შხამქიმიკატებით ზღვის დაბინძურება ან დანაგვიანება –

გამოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან ექვსას ლარამდე.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან რვაას ლარამდე.

4. გემიდან, სხვა მცურავი საშუალებიდან, პლატფორმიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში საყოფაცხოვრებო (მყარი) ნარჩენების ჩაყრა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

5. 20 000 ტონამდე საერთო ტევადობის გემიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში იზოლირებული ბალასტური წყლების ჩაღვრა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

6. 20 000 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის გემიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში იზოლირებული ბალასტური წყლების ჩაღვრა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10000 ლარის ოდენობით.

7. გემიდან, სხვა მცურავი საშუალებიდან, პლატფორმიდან, მილსადენიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში მავნე, დამაბინძურებელი ნივთიერებების, საწარმოო, ტექნიკური ან სხვა სახის ნარჩენების ანდა მასალის ჩაღვრა (ჩაყრა, ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 65000 ლარის ოდენობით.

მუხლი 59. სახომალდო დოკუმენტებში მავნე ნივთიერებებსა და მინარევებთან დაკავშირებული ოპერაციების რეგისტრაციის მოვალეობათა შეუსრულებლობა

გემის ან სხვა მცურავი საშუალების კაპიტნის ან მეთაურთა შემადგენლობის

სხვა პირთა მიერ სახომალდო დოკუმენტებში ადამიანების ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებთან ან/და დადგენილი ნორმების გადამეტებით ასეთ ნივთიერებათა შემცველ მინარევებთან დაკავშირებული ოპერაციების რეგისტრაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობა, აღნიშნულ პირთა მიერ სახომალდო დოკუმენტებში არასწორი ჩანაწერების შეტანა ამ ოპერაციების შესახებ ან შესაბამისი თანამდებობის პირთათვის ამ დოკუმენტების წარდგენაზე უკანონოდ უარის თქმა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან სამას ლარამდე.

მუხლი 59[1]. ამოღებულია (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

მუხლი 59[2]. მაიონებელი გამოსხივების წყაროებით სარგებლობის წესების დარღვევა 94.05.2010. N3054)

1. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სალიცენზიო პირობების დარღვევა, კერძოდ, ორგანიზაციული სახის დარღვევები (დოკუმენტაციის წარმოების შეუსაბამობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

2. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სალიცენზიო პირობების დარღვევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მუშაკის დასხივება დადგენილი დოზური ზღვრის გადაჭარბებით ან პაციენტის დაუსაბუთებელი სამედიცინო დასხივება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

3. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სალიცენზიო პირობების დარღვევა, რამაც შეიძლება მავნე ზემოქმედება მოახდინოს მოსახლეობაზე ან/და დააბინძუროს გარემო, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

4. მაიონებელი გამოსხივების წყაროების მქონე ობიექტიდან ატმოსფერულ ჰაერში რადიოაქტიური ნივთიერებების გაფრქვევა დადგენილ ნორმაზე მეტად –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

5. მაიონებელი გამოსხივების წყაროების მქონე ობიექტიდან გამდინარე წყლებში რადიოაქტიური ნივთიერებების ჩაშვება დასაშვებ დონეზე ჭარბი რაოდენობით –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

6. მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან (გარდა ბირთვული მასალისა ან მოწყობილობისა, რადიოაქტიური ნარჩენისა, რადიოაქტიური ნივთიერებისა) მოპყრობა ლიცენზიის გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

მუხლი 59[3]. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების

სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის
იურიდიული პირის – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს
მიერ დადგენილი რეგულირების საფასურის გადახდის
მოთხოვნათა შეუსრულებლობა (17.05.2011. N4683)

1. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ დადგენილი რეგულირების საფასურის გადახდის მოთხოვნათა შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთი ათასი ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათი ათასი ლარის ოდენობით.“.

(მუხლი $59^3$. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების რეგულირების საფასურის გადაუხდელობა (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

1. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების რეგულირების საფასურის გადაუხდელობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით)

მუხლი 60. წყალსარგებლობის წესების დარღვევა

1. საერთო წყალსარგებლობის მოთხოვნათა დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან ოთხას ლარამდე.

2. ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღება შესაბამისი ნებართვის გარეშე ან ნებართვის პირობების დარღვევით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან სამას ლარამდე. *ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)*

3. წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლის ჩაშვება შესაბამისი წყალჩაშვების ნებართვის გარეშე ან ნებართვით დადგენილი პირობების დარღვევით, წყლის ობიექტებში მავნე ნივთიერებათა (მათ შორის, მიკროორგანიზმების) ემისიების (ზღვრულად დასაშვები ჩაშვების) ნორმებისა და წყლის ობიექტების დატვირთვის ნორმების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან ხუთას ლარამდე.*ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)*

4. განსაკუთრებული სამეცნიერო და ესთეტიკური მნიშვნელობის ზედაპირული წყლის ობიექტებით უკანონო სარგებლობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას სამას ორმოცდაათიდან ხუთას ორმოცდაათ ლარამდე.

5. ამ მუხლის პირველ, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებში აღნიშნული ქმედებები, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ოთხასიდან რვაას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

(5. ამ მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 400-დან 800 ლარამდე. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

მუხლი $60^1$. ამოღებულია (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

მუხლი $60^2$. ამოღებულია (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

მუხლი $60^3$. წყალდაცვითი ზოლებისა და სანიტარიული დაცვის ზონების კანონით დადგენილი რეჟიმის დარღვევა

1. წყალშემკრებზე წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა, რაც იწვევს წყლის დაბინძურებას, ნიადაგის წყლისმიერ ეროზიას და სხვა მავნე მოვლენებს, –

გამოიწვევს ფიზიკური პირების დაჯარიმებას ას ლარამდე, იურიდიულ პირთა – ხუთას ლარამდე.

2. სასმელად, საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის, სამკურნალოდ და საკურორტო საჭიროებისათვის განკუთვნილ სანიტარიული დაცვის ზონებსა და წყალდაცვით ზოლებში კანონით დადგენილი რეჟიმის დარღვევა, –

გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას ათასი ლარით, იურიდიულ პირთა – ორი ათასი ლარით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონაში, –

გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას ორი ათასი ლარით, იურიდიულ პირთა – ოთხი ათასი ლარით. (29.12.2006. N4224)

მუხლი 61. წყალსამეურნეო და წყალდამცავი ნაგებობებისა და მოწყობილობების დაზიანება, მათი ექსპლუატაციის წესების დარღვევა

წყალსამეურნეო და წყალდამცავი ნაგებობებისა და მოწყობილობების დაზიანება, მათი ექსპლუატაციის წესების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ორას ლარამდე.

იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოცდაათიდან ორას ორმოცდაათ ლარამდე.

*(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ. 128;*

*საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი N436 _ საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., N16, მუხ. 308;*

*საქართველოს 2000 წლის 14 ივნისის კანონი N380 – სსმ I, 2000 წ., N24, მუხ. 65)*

მუხლი 61[1]. წყალსარგებლობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების, წყლის პირველადი და სახელმწიფო აღრიცხვის, წყლის სახელმწიფო კადასტრის წარმოების წესების დარღვევა

წყლის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა ავარიული სიტუაციების, ზალპური წყალჩაშვების, სხვა განსაკუთრებული სიტუაციების შესახებ ინფორმაციის დამალვა ან დამახინჯება, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ორას ლარამდე, თანამდებობის პირთა – ორმოცდაათიდან ორას ლარამდე.

წყლის პირველადი აღრიცხვის წარმოების წესის დარღვევა, წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და კადასტრის შედგენისათვის საჭირო მონაცემების წარდგენის წესის დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ას ლარამდე.

წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და სახელმწიფო კადასტრის წარმოების წესის დარღვევა, -

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას ასიდან ას ორმოცდაათ ლარამდე.

(მუხლი 61[1]. წყალსარგებლობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებისა და წყლის პირველადი აღრიცხვის წარმოების წესების დარღვევა(25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. წყლის მდგომარეობაზე ზეგავლენის მომხდენი ავარიული სიტუაციების, ზალპური წყალჩაშვების, სხვა განსაკუთრებული სიტუაციების შესახებ ინფორმაციის დამალვა ან დამახინჯება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50-დან 200 ლარამდე.

2. წყლის პირველადი აღრიცხვის წარმოების წესის დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50-დან 100 ლარამდე. )

მუხლი 62. ამოღებულია (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

მუხლი 63. ხე-ტყის დამზადებისას ტყითსარგებლობის წესების დარღვევა

საანგარიშო ტყეკაფის დადგენის, ტყეკაფის გამოყოფის, ხე-ტყის ზეზეურად გაცემის, მთავარი სარგებლობის, მოვლითი ჭრისა და სპეციალური ჭრის წესების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ორას ლარამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების 30-დან 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ორას ორმოცდაათ ლარამდე.

მუხლი 63[1]. ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის, აღკვეთილის, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილი ზონის, დაცული ლანდშაფტის, ბიოსფერული რეზერვატის ტრადიციულ-კულტურული ლანდშაფტის ზონის ტერიტორიების ტყის ფონდის მიწებზე არსებულ ტყეებში ტყეკაფის ფონდის გამოყოფის, გამოყენებისა და ტყითსარგებლობის წესების დარღვევა

ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის, აღკვეთილის, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილი ზონის, დაცული ლანდშაფტის, ბიოსფერული რეზერვატის ტრადიციულ-კულტურული ლანდშაფტის ზონის ტერიტორიების ტყის ფონდის მიწებზე არსებულ ტყეებში ტყეკაფის ფონდის გამოყოფის, გამოყენებისა და ტვირთსარგებლობის კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან სამას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი 64. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ხე-ბუჩქნარისა და ტყის კულტურების მოსპობა და დაზიანება

სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ხე-ბუჩქნარისა და ტყის კულტურების, ტყის სანერგეებსა და პლანტაციებში ნათესების ან ნერგების მოსპობა ან დაზიანება, რამაც შესაძლოა მათი ზრდის შეწყვეტა გამოიწვიოს, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან ოთხას ლარამდე.

მუხლი 64[1]. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების საზღვრებში მერქნიან მცენარეთა უკანონო გაჩეხვა და დაზიანება

1. დაცული ტერიტორიების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მერქნიან მცენარეთა უკანონო გაჩეხვა და დაზიანება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ოთხასიდან ხუთას ლარამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების მიმართ, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ექვსას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი 65. ტყითსარგებლობის წესებისა და მოთხოვნების დარღვევა

სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების, სახელმწიფო ტყის ფონდის არამერქნული რესურსებით სარგებლობის, სახელმწიფო ტყითა და სახელმწიფო ტყის ფონდის სატყეო, სპეციალური დანიშნულებისა და გამოუყენებელი მიწებით სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობის, სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური მიზნით სარგებლობის, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ღონისძიებების განხორციელების, სახელმწიფო ტყის ფონდით საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობის, სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობის კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ას ორმოცდაათ ლარამდე.

მუხლი 65[1]. ამოღებულია *(5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)*

მუხლი 65[2]. ამოღებულია *(5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)*

მუხლი 66. უკანონო ტყითსარგებლობა, ტყითსარგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით *(5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)*

1. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ტყის დამზადება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტების გარეშე ან სამონადირეო მეურნეობის მოწყობა სათანადო ლიცენზიის გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნისა და იარაღის კონფისკაციით.

2[1]. ამოღებულია (25.03.2013. N453)

2[2]. ამოღებულია (25.03.2013. N453

3. ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ან ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნისა და იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების დარღვევა, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 4000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნისა და იარაღის კონფისკაციით. (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

მუხლი 66[1]. სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის არამიზნობრივი გამოყენება

სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის არამიზნობრივი გამოყენება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ორას ლარამდე.

მუხლი 66[2]. ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დარღვევა(5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 67. ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენის ან გაშენების წესებისა და მოთხოვნების დარღვევა

ტყის დაცვის ან სახელმწიფო ტყის ფონდის მოვლის, აღდგენის ან გაშენების, ან სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და გაშენების მიზნით მცენარეთა სახეობების შერჩევისა და მათი გამოყენების წესებისა და მოთხოვნების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ოციდან ორმოცდაათ ლარამდე.

ტყის დაცვის მიზნით ბიოლოგიური, ქიმიური ან სელექციური საშუალებების გამოყენების მოთხოვნათა დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდაათიდან ას ორმოცდაათ ლარამდე.

მუხლი 67[1]. ეროვნული პარკის ბუნების მართვადი დაცვისა და აღდგენის ზონებში, აღკვეთილსა და ბიოსფერული რეზერვატის ბუნების მართვადი დაცვისა (მანიპულაციების) და აღდგენის ზონებში განახლებადი ბუნებრივი რესურსების აღდგენისა და

მდგომარეობის გაუმჯობესების წესების დარღვევა

ეროვნული პარკის ბუნების მართვადი დაცვისა და აღდგენის ზონებში, აღკვეთილსა და ბიოსფერული რეზერვატის ბუნების მართვადი დაცვისა (მანიპულაციების) და აღდგენის ზონებში განახლებადი ბუნებრივი რესურსების აღდგენისა და მდგომარეობის გაუმჯობესების წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან სამას ლარამდე.

მუხლი 68. სახელმწიფო ტყის ფონდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაზიანება

1. სახელმწიფო ტყის ფონდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაზიანება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდაათიდან ორმოცდაათ ლარამდე.

2. დაცული ტერიტორიების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მდელოების, მინდვრებისა და ველების, ასევე სათიბი და საძოვარი სავარგულების დაზიანება და ძოვების წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათიდან ორმოცდაათ ლარამდე წვრილფეხა პირუტყვზე (ცხვარი, თხა, ღორი) და ოცდაათიდან ას ლარამდე მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდაათიდან სამოცდაათ ლარამდე წვრილფეხა პირუტყვზე (ცხვარი, თხა, ღორი) და ორმოცდაათიდან ას ორმოცდაათ ლარამდე მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე.

მუხლი 69. გარემოს დაცვის ნორმების დარღვევა

1. გარემოს დაცვის კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან სამას ლარამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევისათვის, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან ოთხას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი $69^1$. ამოღებულია (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

მუხლი $69^2$. ამოღებულია (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

მუხლი $69^3$. ამოღებულია (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

მუხლი $69^{4}$. გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევა სამეურნეო ობიექტის ექსპლუატაციაში გადაცემისას

გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევა სამეურნეო ობიექტის ექსპლუატაციაში გადაცემისას, -

გამოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან ხუთას ლარამდე.

(საქართველოს 1997 წლის 12 ივნისის კანონი _ საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., N33, გვ. 3)

მუხლი $69^{5}$. გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევა სამეურნეო ობიექტის ლიკვიდაციისას

გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევა სამეურნეო ობიექტის ლიკვიდაციისას, -გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან ოთხას ლარამდე.

მუხლი 70. ამოღებულია *(საქართველოს 1997 წლის 12 ივნისის კანონი N759 _ პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., N33, გვ. 3)*

მუხლი 71. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ტყის დანაგვიანება და დაზიანება

1. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ტყის დაზიანება რადიოაქტიური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან სხვა მავნე ნივთიერებებით, რადიოაქტიური, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვა სახის ნარჩენებით, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვაგვარი ჩამდინარე წყლებით, აგრეთვე მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევებით, რასაც ტყის გახმობა ან დაავადება მოსდევს, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ას ლარამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დადგენილი საზღვრების ფარგლებში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან სამას ლარამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ექვსასიდან რვაას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი 72. ამოღებულია (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

მუხლი $72^{1}$. სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის ან ტყითსარგებლობის დაგეგმვის წესებისა და მოთხოვნების დარღვევა

სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის წესის ან სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების აღრიცხვის სისტემის განსაკუთრებულ მოთხოვნათა

დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ას ორმოცდაათ ლარამდე.

ტყითსარგებლობის დაგეგმვის მოთხოვნათა დარღვევა, ან ტყითსარგებლობა და სატყეო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება ტყითმოწყობის ან სპეციალური გამოკვლევის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული დოკუმენტაციის გარეშე, -

გამოიწვევს დაჯარიმებას სამოცდაათიდან ორას ლარამდე.

მუხლი 73. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე არსებული ტყის დასაშრობი თხრილების, სადრენაჟო სისტემებისა და გზების მოსპობა ან დაზიანება

სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე არსებული ტყის დასაშრობი თხრილების, სადრენაჟო სისტემებისა და გზების მოსპობა ან დაზიანება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ორას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი 74. ტყეებში სამიჯნე ნიშნების მოსპობა და დაზიანება

ტყეებში სამიჯნე ნიშნების მოსპობა და დაზიანება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ათ ლარამდე.

მუხლი 75. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის დარღვევა

სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის უბნისათვის დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის მიკუთვნებისა და ამ რეჟიმის პირობებში სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების წესის დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ას ორმოცდაათ ლარამდე.

სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებისა და ტყითსარგებლობის განხორციელების რეჟიმის დარღვევა სახელმწიფო სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყის იმ უბნის ტერიტორიაზე, რომელსაც მიკუთვნებული აქვს დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი, ან სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების ან ლანდშაფტური უბნის ტერიტორიაზე მეურნეობის წარმოების რეჟიმის დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას სამოცდაათიდან ას ორმოცდაათ ლარამდე.

მუხლი 76. ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების ან ტყის ხანძრისაგან დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების მოთხოვნათა დარღვევა

ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების ან ტყის ხანძრისაგან დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების მოთხოვნათა დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ას ორმოცდაათ ლარამდე.

ტყის მოსპობა ან დაზიანება ცეცხლის წაკიდების ან ცეცხლისადმი დაუდევრად მოპყრობის შედეგად, აგრეთვე ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა, რასაც მოჰყვა ტყეში ხანძრის გაჩენა ან მისი გავრცელება გარკვეულ

ფართობზე, -
გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ორას ლარამდე.

მუხლი 77. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა ნორმების გადამეტებით ან ამ ნორმების უქონლობისას და ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედება

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ან/და დროებით შეთანხმებული გაფრქვევის დამტკიცებული ნორმების გადამეტება ან გაფრქვევა ამ ნორმების, აგრეთვე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის უქონლობისას და ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების (მათ შორის, ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური ველების) დადგენილი ნორმების გადამეტება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე.

(მუხლი 77. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის ან მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების უქონლობა, გაფრქვევის ნორმების გადამეტება ან ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედება (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის ან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების უქონლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარით.

2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გადამეტება, ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების (მათ შორის, ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური ველების) დადგენილი ნორმების გადამეტება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 1 000 ლარამდე. )

მუხლი 78. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების ექსპლუატაციის წესების დარღვევა, აგრეთვე ამ მოწყობილობათა გამოუყენებლობა

1. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების ექსპლუატაციის წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე.

2. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების გამოუყენებლობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ორი ათას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი 79. ამოღებულია (25.07.2006. N3516)

მუხლი 79[1]. საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე

საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე, – გამოიწვევს დაჯარიმებას შვიდი ათასიდან ათი ათას ლარამდე.

მუხლი 79[2]. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების დარღვევა *(5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)*

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის ან „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევაში ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ დარღვევის აღმოსაფხვრელად დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის 36[1] მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 80. ისეთ სატრანსპორტო და სხვა მოძრავ საშუალებათა საექსპლუატაციოდ გაშვება, რომელთა განაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა ნორმატივებს აღემატება

ისეთი ავტომობილების, თვითმფრინავების, გემებისა და სხვა მოძრავი საშუალებისა და დანადგარების საექსპლუატაციოდ გაშვება, რომელთა განაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა, აგრეთვე მუშაობისას მათ მიერ წარმოქმნილი ხმაურის დონე აღემატება დადგენილ ნორმატივებს, -

გამოიწვევს თანამდებობის პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 81. ისეთი ავტომოტოსატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებების ექსპლუატაცია, რომელთა განაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა დადგენილ ნორმატივებს აღემატება

მოქალაქეთა მიერ ისეთი ავტომოტოსატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებების ექსპლუატაცია, რომელთა განაფრქვევში ამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა, აგრეთვე მუშაობისას მათ მიერ წარმოქმნილი ხმაურის დონე აღემატება დადგენილ ნორმატივებს, -

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთ

მინიმალურ ოდენობამდე.

*(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128;*

*საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი N436 _ საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., N16, მუხ. 308)*

მუხლი 82. ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება ნებისმიერი ტიპის ნარჩენების ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარებში დაწვისას

ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება ნებისმიერი ტიპის ნარჩენების (მათ შორის, ფოთლების, საბურავების) ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარებში დაწვისას, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ოთხასიდან ექვსას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი 82[1]. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვის მონაცემების დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობა

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვის მონაცემების დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოცდაათი ლარის ოდენობით. (25.07.2006. N3516)

მუხლი 82[2]. გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დარღვევა (4.05.2010. N3054)

1. გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დარღვევა (გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. (25.03.2013. N453)

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

3. საწარმოო და არასაწარმოო ობიექტების მიერ ზღვაში ჩამდინარე წყლების ჩაშვებისას ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.

5. ამოღებულია (25.03.2013. N453)

6. ამოღებულია (25.03.2013. N453)

მუხლი 83. ამოღებულია (25.07.2006. N3516)

მუხლი 84. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4, $4^1$ და $4^2$ ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების მოთხოვნათა შეუსრულებლობა (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)(სათაური ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4 და $4^1$ ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების მოთხოვნათა შეუსრულებლობა (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

1. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4, $4^1$ და $4^2$ ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემდეგ მათი აღმოფხვრის თაობაზე ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე შესაბამისი ორგანოს ადმინისტრაციული მიწერილობით დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადებში შეუსრულებლობა –

გამოიწვევს ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) დადებას ამ კოდექსის იმ შესაბამისი მუხლის ან მუხლის ნაწილის სანქციის ფარგლებში, რომლის დარღვევის გამოც დაეკისრა დარღვევის აღმოფხვრა, ამ მუხლებზე მითითებით, ხოლო დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) არსებობის შემთხვევაში – იმ შესაბამისი მუხლის ან მუხლის ნაწილის სანქციის მაქსიმალური საჯარიმო თანხის გაორმაგებას, რომლის დარღვევის გამოც დაეკისრა დარღვევის აღმოფხვრა, ამ მუხლებზე მითითებით.

(1. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4 და $4^1$ ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემდეგ მათი აღმოფხვრის თაობაზე ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე შესაბამისი ორგანოს ადმინისტრაციული მიწერილობით დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადებში შეუსრულებლობა –

გამოიწვევს ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) დადებას ამ კოდექსის იმ შესაბამისი მუხლის ან მუხლის ნაწილის სანქციის ფარგლებში, რომლის დარღვევის გამოც დაეკისრა სამართალდარღვევის აღმოფხვრა, ამ მუხლებზე მითითებით, ხოლო დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) არსებობის შემთხვევაში – იმ შესაბამისი მუხლის ან მუხლის ნაწილის სანქციის მაქსიმალური საჯარიმო თანხის გაორმაგებას, რომლის დარღვევის გამოც დაეკისრა სამართალდარღვევის აღმოფხვრა, ამ მუხლებზე მითითებით.(25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის გამო ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4, $4^1$ და $4^2$ ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე შესაბამისი ორგანოს ადმინისტრაციული მიწერილობით დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადებში შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაკისრებული ძირითადი ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) გაორმაგებას.

(2. ამ მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის გამო ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) დადებიდან ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4 და $4^1$ ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე შესაბამისი ორგანოს ადმინისტრაციული მიწერილობით დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადებში შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაკისრებული ძირითადი ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) გაორმაგებას.(25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

3. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4, $4^1$ და $4^2$ ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების თანამშრომელთა უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულებისათვის ხელის შეშლა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

(3. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4 და $4^1$ ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების თანამშრომელთა უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულებისათვის ხელის შეშლა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.(25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

4. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4, $4^1$ და $4^2$ ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების თანამშრომელთა კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების, მასალებისა და ინფორმაციის წარუდგენლობა, შემოწმების პროცესში შესამოწმებელი ობიექტის მიერ წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მოთხოვნის უგულებელყოფა) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

(4. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4 და $4^1$ ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების თანამშრომელთა კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების, მასალებისა და ინფორმაციის წარუდგენლობა, შემოწმების პროცესში შესამოწმებელი ობიექტის მიერ წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მოთხოვნის უგულებელყოფა) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის შესაბამისი ორგანოს ადმინისტრაციული მიწერილობით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის $36^1$ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი $84^1$. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ დადებული ბეჭდის (ლუქის) განზრახ დაზიანება (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)(სათაური გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დადებული ბეჭდის (ლუქის) განზრახ დაზიანება (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

1. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ დადებული ბეჭდის (ლუქის) განზრახ დაზიანება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

(1. გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დადებული ბეჭდის (ლუქის) განზრახ დაზიანება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 3500 ლარის ოდენობით.

მუხლი 85. გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზების დაცვის წესების დარღვევა, აგრეთვე გარეულ ცხოველთა თვითნებური გადასახლება ახალ საბინადრო გარემოში, თვითნებური ტრანსლოკაცია და ჰიბრიდიზაცია

1. გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზების დაცვის წესების დარღვევა, აგრეთვე გარეულ ცხოველთა თვითნებური გადასახლება ახალ საბინადრო გარემოში, თვითნებური ტრანსლოკაცია (ინტროდუქცია, რეინტროდუქცია, რესტოკინგი) და ჰიბრიდიზაცია, –

გამოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან ხუთას ლარამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ გარეულ ცხოველთა სახეობების მიმართ ან სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ათას სამას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი 85$^{1}$. ქიმიურ საშუალებათა (მათ შორის, მცენარეთა დაცვის და ნიადაგის განოყიერების ქიმიურ საშუალებათა) გარემოში გამოყენების ნორმებისა და ამ ქიმიურ საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა ცხოველთა საბინადრო გარემოს

ქიმიურ საშუალებათა (მათ შორის, მცენარეთა დაცვის და ნიადაგის განოყიერების ქიმიურ საშუალებათა) გარემოში გამოყენების ნორმებისა და ამ ქიმიურ საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა ცხოველთა სამყაროს და მათ საბინადრო გარემოს, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოცდაათიდან ორას ლარამდე.

მუხლი 85$^{2}$. გარეულ ცხოველთა ზოოლოგიური კოლექციების (ზოოპარკების, ზოობაღების, ოკეანარიუმების, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა გენოფონდის რეზერვატების) გარემოდან გარეულ ცხოველთა ამოღების გზით შექმნისა და შევსების წესების დარღვევა

გარეულ ცხოველთა ზოოლოგიური კოლექციების (ზოოპარკების, ზოობაღების, ოკეანარიუმების, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა გენოფონდის რეზერვატების) გარემოდან გარეულ ცხოველთა ამოღების გზით შექმნისა და შევსების წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ორას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი 85$^{3}$. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა მოსპობა ან მათი კვერცხის ნადების, კვერცხის, ბუნაგის და სხვა ნაგებობების განადგურება, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი დაღუპვა, რაოდენობის შემცირება ან საბინადრო გარემოს დარღვევა, ანდა ამ ცხოველების მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება) მოპოვების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ პირობათა დარღვევით, მათი უკანონო ყიდვა-გაყიდვა ან დატყვევება (8.11.2011. N5201)

საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა მოსპობა ან მათი კვერცხის ნადების, კვერცხის, ბუნაგის და სხვა ნაგებობების განადგურება, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი დაღუპვა, რაოდენობის შემცირება ან საბინადრო გარემოს დარღვევა, ანდა ამ ცხოველების მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება) მოპოვების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ პირობათა დარღვევით, მათი უკანონო ყიდვა-გაყიდვა ან დატყვევება –

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ას ორმოცდაათიდან ექვსას ორმოცდაათ ლარამდე, თანამდებობის პირთა დაჯარიმებას სამასიდან რვაას ორმოცდაათ ლარამდე, დამრღვევის პირადი საკუთრების საგნების კონფისკაციით, რომლებიც აღნიშნულ დარღვევათა ჩადენის იარაღი იყო, ან უამისოდ, მოპოვებული ცხოველების კონფისკაციით.

(მუხლი 85$^{3}$. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა მოსპობა ან მათი კვერცხის ნადების, კვერცხის, ბუნაგის და სხვა ნაგებობების განადგურება, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი დაღუპვა, რაოდენობის შემცირება ან საბინადრო გარემოს დარღვევა, ან/და კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში ცხოველთა მოპოვება მათი მოპოვებისათვის დადგენილი შეზღუდვების ან/და პირობების დარღვევით, მათი სათანადო ნებართვის გარეშე ყიდვა-გაყიდვა ან დატყვევება (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა მოსპობა ან მათი კვერცხის ნადების, კვერცხის, ბუნაგის და

სხვა ნაგებობების განადგურება, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი დაღუპვა, რაოდენობის შემცირება ან საბინადრო გარემოს დარღვევა, ან/და კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში ცხოველთა მოპოვება მათი მოპოვებისათვის დადგენილი შეზღუდვების ან/და პირობების დარღვევით, მათი სათანადო ნებართვის გარეშე ყიდვა-გაყიდვა ან დატყვევება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 150-დან 850 ლარამდე, დამრღვევის პირადი საკუთრების საგნების კონფისკაციით, რომლებიც აღნიშნულ დარღვევათა ჩადენის იარაღი იყო, ან უამისოდ, მოპოვებული ცხოველების კონფისკაციით. )

მუხლი $85^4$. უკანონოდ მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტებით, გარეულ ცხოველთა დერივატებით და მათგან გამომუშავებული პროდუქციით ვაჭრობა

უკანონოდ მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტებით, გარეულ ცხოველთა დერივატებით და მათგან გამომუშავებული პროდუქციით ვაჭრობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას სამას ლარამდე, ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი დერივატებისა და მათგან გამომუშავებული პროდუქციის კონფისკაციით. (25.07.2006. N3516)

მუხლი $85^5$. გარეული ცხოველების რაოდენობის რეგულირების წესების დარღვევა

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, სასოფლო-სამეურნეო და სხვა შინაურ ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკის, ბუნებრივი გარემოსა და სამეურნეო საქმიანობსათვის ზიანის თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული, გარეული ცხოველების რაოდენობის რეგულირების წესების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან სამას ლარამდე.

*(საქართველოს 1997 წლის 12 ივნისის კანონი N759 _ პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., N33, გვ.3)*

მუხლი 86. თევზჭერისა და ნადირობის წესების დარღვევა, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობის წესების დარღვევა *(12.06.2013 N 723 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

1. თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის იარაღისა და ხერხების გამოყენებით –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარიდან 200 ლარამდე, მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის კონფისკაციით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარიდან 400 ლარამდე, სამართალდარღვევის იარაღისა და მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის კონფისკაციით.

3. თევზჭერის სპეციალური მოთხოვნების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

5. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა (გარდა ამ მუხლის პირველი–მე-4 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული დარღვევებისა) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარიდან 400 ლარამდე, სამართალდარღვევის იარაღისა და მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის კონფისკაციით.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი წყლის ზომამცირე სატრანსპორტო საშუალების (8 მეტრამდე სიგრძის კატარღა, ნავი, ნახევარბარკასი ან სხვა) გამოყენებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარიდან 800 ლარამდე, მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმისა და სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით, წყლის სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციით ან უამისოდ.

7. ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 800 ლარიდან 2000 ლარამდე, მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის, სამართალდარღვევის იარაღისა და წყლის სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციით.

8. თევზჭერა ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით, თვითნაკეთი ელექტრონული ხელსაწყოთი, ფეთქებადი ან მომწამლავი ნივთიერებით ან თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით, აგრეთვე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მოპოვება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარიდან 4000 ლარამდე, მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის, სამართალდარღვევის იარაღისა და წყლის სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციით.

9. 100 ტონის ან მასზე ნაკლები საერთო ტევადობის, 8 მეტრზე მეტი სიგრძის წყლის სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა (გარდა ამ მუხლის პირველი–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დარღვევებისა) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 4000 ლარიდან 5000 ლარამდე, მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის კონფისკაციით, სამართალდარღვევის იარაღისა და წყლის სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციით ან უამისოდ.

10. 100 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის წყლის სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა (გარდა ამ მუხლის პირველი–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დარღვევებისა) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 30000 ლარიდან 50000 ლარამდე, მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის კონფისკაციით.

11. თევზჭერის ლიცენზიის მფლობელის მიერ თევზჭერის ლიცენზიის პირობებისა და მოთხოვნების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარით.

12. ნადირობის წესების დარღვევა ნადირობის ობიექტებისთვის მიკუთვნებულ სახეობებზე ნადირობისას –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარიდან 500 ლარამდე, მოპოვებული ობიექტის კონფისკაციით ან უამისოდ.

13. ნადირობის წესის დარღვევა (გარდა ამ მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარიდან 700 ლარამდე, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის ან/და მოწყობილობის კონფისკაციით ან უამისოდ.

14. ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობის წესების დარღვევა (გარდა ამ მუხლის მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 800 ლარიდან 1000 ლარამდე, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის ან/და მოწყობილობის კონფისკაციით ან უამისოდ.

15. ნადირობა იმ იარაღით, საშუალებით ან მეთოდით, რომლით ნადირობაც აკრძალულია (გარდა ამ მუხლის მე-12, მე-13 და მე-14 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარიდან 2000 ლარამდე, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის ან/და მოწყობილობის კონფისკაციით.

მუხლი 87. ამოღებულია *(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებულება N408 _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1985 წ., N10-ის დანართი, მუხ. 370)*

მუხლი 88. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების წარმოების, მისი მოვლა-პატრონობის, მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების, ქუჩის, მოედნის სახელდების წესების დარღვევა *(8.05.2007 N4713)*

1. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ან არქეოლოგიური

სამუშაოების წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესების, შესაბამისი პროექტის ან სხვა სანებართვო პირობების დარღვევა, ასევე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული გაფრთხილების პირობების შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება, რაც დაკავშირებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მოვლა-პატრონობის ვალდებულების შეუსრულებლობასთან, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 5 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის ან ამხანაგობის დაჯარიმებას 10 000 ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის მიმართ, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 7 000 ლარით, იურიდიული პირის ან ამხანაგობის დაჯარიმებას 12 000 ლარით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის მიმართ, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 9 000 ლარით, იურიდიული პირის ან ამხანაგობის დაჯარიმებას 15 000 ლარით.

4. მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების, ქუჩის, მოედნის სახელდების წესების დარღვევა, –

გამოიწვევს მოქალაქეთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათ მინიმალურ ოდენობამდე.

5. ამ მუხლით განსაზღვრული დაჯარიმების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში შესაბამისი ჯარიმის ოდენობა გასამმაგდება წინა ჯარიმის ოდენობასთან შედარებით, ყოველ 6 თვეში.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული განთავსების წესის დარღვევით განთავსებული მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) დემონტაჟი ხორციელდება სამართალდამრღვევის ხარჯებით.

მუხლი 89. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დაცვის წესებისა და რეჟიმის დარღვევა *(8.05.2007 N4713)*

1. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დაცვის წესებისა და რეჟიმის დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ოციდან ორმოც ლარამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის, სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდახუთიდან ორმოცდაათ ლარამდე.

მუხლი 89[1]. „სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი

დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიაზე ვიზიტორთა არასაგანმანათლებლო მიზნით დაშვება *(სათაური 25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)*

1. სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიაზე ვიზიტორთა არასაგანმანათლებლო მიზნით დაშვება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 70-დან 100 ლარამდე. (*25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)*

2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევისათვის, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ორას ლარამდე.

მუხლი 89[2]. „სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიაზე ვიზიტორთა მიერ საბრძოლო, სანადირო, თევზსაჭერი იარაღისა და ნებისმიერი მოწყობილობის (გარდა მეცნიერული არამანიპულაციური დაკვირვების მოწყობილობისა) შეტანა *(სათაური 25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)*

1. სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიაზე ვიზიტორთა მიერ საბრძოლო, სანადირო, თევზსაჭერი იარაღისა და ნებისმიერი მოწყობილობის (გარდა მეცნიერული არამანიპულაციური დაკვირვების მოწყობილობისა) შეტანა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100-დან 200 ლარამდე. *(25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)*

2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევისათვის, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოცდაათიდან ორას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი 89[3]. სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღითა და ნებისმიერი სახის თევზსაჭერი საშუალებებით უკანონოდ შესვლა, შეღწევა ან გადაადგილება ან აღნიშნული ქმედების განხორციელება

ნავის გამოყენებით, სახელმწიფო ნაკრძალის თანამშრომელთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღის ან/და თევზსაჭერი საშუალებების მქონე პირთა ნაკრძალის ტერიტორიაზე შესვლაზე თანხმობის მიცემა

1. სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე ნებისმიერი პირის მიერ (გარდა იმ პირებისა, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვთ ატარონ ცეცხლსასროლი იარაღი) ცეცხლსასროლი იარაღით უკანონოდ შესვლა, შეღწევა ან/და აღნიშნულ ტერიტორიაზე გადაადგილება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან ორას ორმოცდაათ ლარამდე, ცეცხლსასროლი იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ.

2. სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე პირის მიერ ნებისმიერი სახის თევზსაჭერი საშუალებით შესვლა, შეღწევა ან გადაადგილება ან აღნიშნული ქმედების განხორციელება ნავის გამოყენებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოცდაათიდან სამას ლარამდე, სამართალდარღვევის საგნის, მათ შორის, ნავის, კონფისკაციით ან უამისოდ.

3. სახელმწიფო ნაკრძალის თანამშრომელთა მიერ (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად შექმნილი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისა და დირექციების დირექტორებისა) ცეცხლსასროლი იარაღის ან/და ნებისმიერი სახის თევზსაჭერი საშუალების (მათ შორის, ნავის) მქონე პირთა ნაკრძალის ტერიტორიაზე შესვლაზე თანხმობის მიცემა, ან/და აღნიშნულ პირთა მიერ სამართალდარღვევის ჩადენისას შესაბამისი ზომების მიუღებლობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან ხუთას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი 89⁴. ამოღებულ იქნეს *(27.12.2011. N5653 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

## თავი VIII
## ადმინისტრაციული სამართალდარღვევები მრეწველობის, ელექტრო- და თბოენერგიის გამოყენებისა და წყალმომარაგების დარგებში (18.12. 2009. N2389 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ივლისიდან)

მუხლი 90. ამოღებულია (8.04.2010. N2914)

მუხლი 90¹. ამოღებულია (8.04.2010. N2914)

მუხლი 91. ამოღებულია (8.04.2010. N2914)

მუხლი 91¹. ამოღებულია (8.04.2010. N2914)

მუხლი 91². საქართველოს ტერიტორიაზე ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული ბენზინის,

ტეტრაეთილტყვიის იმპორტი ან რეალიზაცია,
აგრეთვე ფალსიფიცირებული საყოფაცხოვრებო-
კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტი(25.12.2009. N2456 ამოქმედდეს 2010 წლის 1 თებერვლიდან)

საქართველოს ტერიტორიაზე ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის იმპორტი ან რეალიზაცია, აგრეთვე ფალსიფიცირებული საყოფაცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტი –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ასმაგ მინიმალურ ოდენობამდე, პროდუქციის კონფისკაციით.

მუხლი 92. ამოღებულია *(22.03.2005 N 1126)*

მუხლი 92[1]. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი მოთხოვნების დარღვევა *(5.07.2008 N 93)*

ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის, ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის დარგების ლიცენზიატის ან პირდაპირი მომხმარებლის, აგრეთვე სასმელი წყლის მიმწოდებლის მიერ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა, – გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

მუხლი 92[2]. ამოღებულია (17.12.2010. N4126)

მუხლი 93. ამოღებულია *(22.03.2005 N 1126)*

მუხლი 94. 1000 ვოლტზე მეტი ძაბვის ელექტროქსელების დაცვის წესების დარღვევა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი 1000 ვოლტზე მეტი ძაბვის ელექტროქსელების დაცვის წესების დარღვევა, თუ ამას მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა მომხმარებლისათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხება, ელექტროქსელების დაზიანება ან სახალხო მეურნეობის სხვა ზარალი, -

გამოიწვევს მოქალაქეთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 95. გაზის გამოყენების ნორმებისა და წესების დარღვევა; გაზის, როგორც

სათბობისა და ნედლეულის, გამოყენების ნორმებისა და წესებს დარღვევა

გაზის გაშვება გაზგამომყენებელ დანადგარებში გაზის სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების ნებართვის გარეშე; გაზის გამოყოფილი ფონდების გადამეტება ან გაზის მოხმარების დადგენილი რეჟიმის დაუცველობა; გაზის მოხმარება გაზგამომყენებელ დანადგარებზე მისი ხარჯვის დამტკიცებული კუთრი ნორმების გარეშე ან ამ კუთრი ნორმების გადამეტება;

გაზგამომყენებელი დანადგარების ექსპლუატაცია გაზის ხარჯვის ან გაზის გამოყენებით გამომუშავებული თბოენერგიისა და პროდუქციის აღურიცხავად, ან გაზგამომყენებელი დანადგარების პროექტით გათვალისწინებული გაზის წვის პროცესების ავტომატური რეგულირების საშუალებათა, ან თბოტექნიკური კონტროლის ხელსაწყოებისა თუ თბოუტილიზაციის მოწყობილობის არარსებობა (გაუმართაობა), რომლებიც უზრუნველყოფენ გაზის რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას;

გაზით მოსარგებლე საწარმოს, გაერთიანების, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის გათვალისწინებული სარეზერვო თბომეურნეობის მუშაობისათვის მოუმზადებლობა ან გაზგამომყენებელი დანადგარების მოუმზადებლობა დაწესებული სახეობის სარეზერვო სათბობის მუშაობისათვის, -

გამოიწვევს საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, მათი მოადგილეების, მთავარი ენერგეტიკოსების (მთავარი მექანიკოსების) საამქროებისა და სამსახურების უფროსების გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ექვსიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 96. ამოღებულია (8.04.2010. N2914)

მუხლი 96[1]. ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცება *(16.07.2010 N 3448 ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან)*

1. ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიატის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გადაცემის ან განაწილების ქსლიდან ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) ტრანსპორტირების სისტემიდან ან განაწილების ქსლიდან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) მოხმარება მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით –

გამოიწვევს გაფრთხილებას.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას – 15 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 96[2]. „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნების დარღვევა ნავთობისა და გაზის

სექტორში *(სათაური 25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)*1. ნავთობისა და გაზის სექტორში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს ნორმატიული აქტებით დადგენილი, ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიით, ნავთობის გადამუშავების, ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის ტრანსპორტირების ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000-დან 3 000 ლარამდე. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში ასეთი დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორი ათასიდან ხუთი ათას ლარამდე. (29.12.2006. N4296)

მუხლი 96[3]. ამოღებულია (11.03.2011. N4429)

მუხლი 96[4]. სარწყავი წყლის დატაცება (18.12. 2009. N2389 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ივლისიდან.)

1. სამელიორაციო სისტემიდან სარწყავი წყლის დატაცება –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას ორას ორმოცდაათი ლარით, იურიდიული პირის დაჯარიმებას ხუთასი ლარით. (17.12.2010. N4141 ამოქმედდეს 2011 წლის 3 იანვრიდან.)

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას ხუთასი ლარით, იურიდიული პირის დაჯარიმებას ათასი ლარით.

## თავი IX
## ადმინისტრაციული სამართალდარღვევები სოფლის მეურნეობაში. ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დარღვევა

მუხლი 97. ამოღებულ იქნეს *(8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

მუხლი 98. ამოღებულ იქნეს *(8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

მუხლი 98[1]. პასუხისმგებლობა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების

შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის (8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

2. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოების, დაფასოების, შეფუთვისა და მარკირების წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

3. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენებასა და მიმოქცევასთან დაკავშირებული სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის მითითებებისა და რეკომენდაციების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 30 ლარის ოდენობით.

მუხლი 98[2]. ამოღებულ იქნეს (8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

მუხლი 99. მასალების საკარანტინო შემოწმებისა და სათანადო დამუშავების გარეშე გატანა

სასაზღვრო საზღვაო პორტიდან (ნავმისადგმიდან), რკინიგზის სადგურიდან, ავტოვაგზლიდან (ავტოსადგურიდან), აეროპორტიდან და სხვა სასაზღვრო პუნქტიდან საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი მასალების საკარანტინო შემოწმებისა და სათანადო დამუშავების გარეშე გატანა, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ათ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 100. ამოღებულ იქნეს (8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

მუხლი 100[1]. ნარკოტიკების შემცველი ნათესების დაცვის უზრუნველსაყოფად ზომების მიუღებლობა

კანაფისა და ზეთოვანი ხაშხაშის ნათესების, ამ კულტურების მოსავლის შენახვისა და გადამუშავების ადგილების დაცვის დადგენილი რეჟიმის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი ნამკალისა და წარმოების ნარჩენების გასანადგურებლად ზომების მიუღებლობა, -

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ასი მინიმალური ოდენობით.

მუხლი 100$^{2}$. მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება

მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან, გამონაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, – ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე ვადით.

შენიშვნა: (1.07.2011. N5018)

1. ამ კოდექსით გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალების ოდენობები განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით.

მუხლი 101. მექანიზატორთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკური ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების უხეში დარღვევა

მექანიზატორთა მიერ ტრაქტორების, კომბაინების, სხვა თვითმავალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკური ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების უხეში დარღვევა, -

გამოიწვევს მექანიზატორთათვის ამ მანქანების მართვის უფლების ჩამორთმევას ერთ თვემდე ვადით.

მუხლი 102. ამოღებულ იქნეს *(8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

მუხლი 102$^{1}$. *ამოღებულ იქნეს (8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

მუხლი 102$^{2}$. *ამოღებულ იქნეს (8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

მუხლი 102$^{3}$. *ამოღებულ იქნეს (8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

მუხლი 102$^{4}$. *ამოღებულ იქნეს (8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

მუხლი 103. ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევა (15.12.2010. N4035)

1. ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევა –

გამოიწვევს მოქალაქის დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების მეხუთედ მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო თანამდებობის პირის დაჯარიმებას – შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.

2. ძაღლის საბმელის ან ალიკაპის გარეშე ყოლა თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში –

გამოიწვევს მფლობელის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, –
გამოიწვევს მფლობელის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

მუხლი 103[1]. გარეული ცხოველების ტყვეობასა და ნახევრად თავისუფალ პირობებში დაცვის, შენახვის, გამოყენებისა და გამრავლების წესების დარღვევა

გარეული ცხოველების ტყვეობასა და ნახევრად თავისუფალ პირობებში დაცვის, შენახვის, გამოყენებისა და გამრავლების წესების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ათიდან ორმოცდაათ ლარამდე.

მუხლი 104. ცხოველებისა და ფრინველებისადმი სასტიკი მოპყრობა

ცხოველებისა და ფრინველებისადმი სასტიკი მოპყრობა, რასაც მათი დაღუპვა ან დასახიჩრება მოჰყვა, აგრეთვე ცხოველებისა და ფრინველების წვალება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 105. ამოღებულ იქნეს *(8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

მუხლი 105[1]. საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობის, აგრეთვე კოლექტიური მებაღეობის ორგანიზაციისა და გაძღოლის წესების დარღვევა

მოქალაქეთა მიერ საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობა სათანადოდ შეთანხმებული პროექტის გარეშე ან მშენებლობის დაწყებისას მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებისაგან გადახვევით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.

თანამდებობის პირთა მიერ საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობის, აგრეთვე კოლექტიური მებაღეობის ორგანიზაციისა და გაძღოლის შემდეგის წესების დარღვევა:

მებაღეობის ამხანაგობის წევრად მიღების წესების დარღვევა; კოლექტიური ბაღისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობისა და ნაშენიანების პროექტის გარეშე ან ამ პროექტის დარღვევით ათვისება; სათანადოდ შეთანხმებული პროექტის გარეშე ან მშენებლობის დაწყებისას მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებისაგან გადახვევით საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობის ნებართვის მიცემა, ამგვარი სახლების საექსპლუატაციოდ მიღება; კოლექტიური ბაღის ტერიტორიაზე სათანადოდ შეთანხმებული პროექტის გარეშე ან მისგან გადახვევით საერთო სარგებლობის შენობათა და ნაგებობათა მშენებლობა; უკანონოდ საშენი მასალების გაცემა, სატრანსპორტო საშუალებათა, მექანიზმების, მუშახელის გამოყენება, მებაღეობის ამხანაგობის ობიექტების მშენებლობაში არასპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაციის ჩაბმა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 105[2]. მევენახეობა-მეღვინეობის დარგში სასაქონლო პროდუქციის წარმოებასთან და შენახვასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების წესების დარღვევა

მევენახეობა-მეღვინეობის დარგში სასაქონლო პროდუქციის წარმოებასთან და შენახვასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოცდაათიდან სამას ლარამდე.

იგივე ქმედება ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან რვაას ლარამდე.

მუხლი 105[3]. ამოღებულია *(24.06.2005 N 1789)*

მუხლი 105[4]. ამოღებულ იქნეს *(8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

თავი X

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში

მუხლი 106. რკინიგზის ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა

რკინიგზის ლიანდაგზე ისეთი საგნების დაწყობა, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ მატარებელთა მოძრაობის დარღვევა,

- გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.

რკინიგზის ლიანდაგის, დამცავი ტყის ნარგავების, თოვლსაფარის და სხვა საგზაო ობიექტების, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის ნაგებობათა და მოწყობილობათა დაზიანება, _

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოთხიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე, ტანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების სამიდან ექვს მინიმალურ ოდენობამდე.

რკინიგზის ლიანდაგებზე საჭაპანო ტრანსპორტით გავლისა და პირუტყვის გადარეკვის, ლიანდაგების მახლობლად პირუტყვის ძოვების წესების დარღვევა, _

გამოიწვევს მოქალაქეთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე.

დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს დადგენილი გაბარიტების დაუცველობა.

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან

ორ მინიმალურ ოდენობამდე.

რკინიგზის ლიანდაგებზე გავლა ნებადაურთველ ადგილებში,

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მეათედ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 107. რკინიგზის სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების დარღვევა *(8.05.2012. N6147 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.)*

1. სატვირთო მატარებლით თვითნებური მგზავრობა, მატარებელში სვლის დროს ჩაჯდომა და გადმოსვლა, ვაგონის საფეხურებსა და სახურავზე მგზავრობა, მატარებლის თვითნებური, საჭიროების გარეშე გაჩერება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 40 ლარის ოდენობით.

2. სამგზავრო ვაგონის შიდა მოწყობილობის, ბილეთის საფასურის გადახდის ავტომატური საშუალების, ლოკომოტივისა და ვაგონის მინის დაზიანება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 40 ლარის ოდენობით.

3. მატარებლის ვაგონის ფანჯრიდან და კარიდან ნაგვის და სხვა საგნების გადაყრა –

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.

4. რეგიონული მიმოსვლის მატარებლის ვაგონში (მათ შორის, ტამბურში), მაგისტრალური და საერთაშორისო მიმოსვლის სამგზავრო მატარებლებში ნებადაურთველ ადგილებში მოწევა –

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.

მუხლი $107^1$. საერთო სარგებლობის სატრანსპორტო საშუალებების შიდა მოწყობილობის დაზიანება

საჰაერო, რკინიგზის და მეტროპოლიტენის ტრანსპორტის, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის, ავტობუსის, ტროლეიბუსის, ტრამვაის და სამარშრუტო ტაქსის შიდა მოწყობილობის დაზიანება, _

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების სამიდან ექვს მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი $107^2$. მეტროპოლიტენსი მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა

მეტროპოლიტენში ლიანდაგზე ჩასვლა და სიარული, აგრეთვე ლიანდაგზე ისეთი საგნების დაწყობა, რომლთაც შეუძლიათ შეაფერხონ მატარებლის მოძრაობა, _

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე.

მოძრაობის დროს ვაგონის კარის გაღება, გაჩერებაზე კარის გაღება-დახურვის განზრახ შეფერხება, საჭიროების გარეშე მატარებლისა და ესკალატორის მოძრაობის გაჩერება, _

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ

ოდენობამდე.

მუხლი 107³. მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების დარღვევა *(30.12.2008 N 956)*

1. მეტროპოლიტენის გასასვლელ საკონტროლო პუნქტებში სუროგატების ან გადახდისუუნარო მონეტების ჩაშვება, აგრეთვე საკონტროლო პუნქტებში გასვლა ან გასვლის მცდელობა დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 15 ლარის ოდენობით.

2. მეტროპოლიტენით ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მომწამლავი ნივთიერებებისა და საყოფაცხოვრებო გაზის ბალონების გადატანა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 40 ლარის ოდენობით.

3. მეტროპოლიტენის სადგურის ვესტიბიულის, გადასასვლელების, ბაქნების, ვაგონის სალონის, ესკალატორის და ლიანდაგის დანაგვიანება-გაჭუჭყიანება, აგრეთვე მეტროპოლიტენის სადგურებსა და ვაგონებში თამბაქოს მოწევა, მატარებლის მოსაბრუნებელ ჩიხებში შეყოლა და მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების სხვა დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.

მუხლი 107⁴. მოტოციკლით, კვადროციკლით, ველოსიპედით ან სხვა, მსგავსი ტიპის მოძრავი საშუალებით თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში გადაადგილებისას საქართველოს კანონმდებლობით ან/და შესაბამისი თვითმმართველი ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესების დარღვევა (15.12.2010. N4035)

1. მოტოციკლით, კვადროციკლით, ველოსიპედით ან სხვა, მსგავსი ტიპის მოძრავი საშუალებით თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში გადაადგილებისას საქართველოს კანონმდებლობით ან/და შესაბამისი თვითმმართველი ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესების დარღვევა –

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლის ნორმები არ ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ გამოყენებულ მოძრავ საშუალებებზე.

მუხლი 108. ფრენის უსაფრთხოების წესების დარღვევა

აეროდრომის რაიონში რაიმე ისეთი ნიშნების და მოწყობილობათა განლაგება, რომლებიც აეროდრომის გამოსაცნობი მარკირებული ნიშნებისა და მოწყობილობათა

მსგავსია, ან აეროპორტის, აეროდრომის ადმინისტრაციის ნებადაურთველად პიროტექნიკური ნაწარმის დაწვა, ან ისეთი ობიექტების მოწყობა, რომლებიც ხელს უწყობენ ფრინველთა მასობრივ თავმოყრას, რაც საშიშია საჰაერო ხომალდის ფრენისათვის, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე.

შენობებსა და ნაგებობებზე ღამის და დღის მარკირებული ნიშნების ან მოწყობილობათა განლაგების წესების შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე.

სააეროდრომო მოწყობილობის, საჰაერო ხომალდების სააეროდრომო ნიშნების და მათ მოწყობილობათა დაზიანება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე.

აეროპორტის (აეროვაგზლის გარდა), აეროდრომის, ფრენის რადიო და შუქუზრუნველყოფის ობიექტების ტერიტორიაზე გავლა სათანადო ნებართვის გარეშე, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 109. სამოქალაქო საჰაერო ხომალდით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევა (26.04.2012. N6094 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

სამოქალაქო საჰაერო ხომალდით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000-დან 20 000 ლარამდე.

მუხლი 110. საჰაერო ხომალდზე ქცევის წესების დარღვევა

საჰაერო ხომალდზე მყოფ პირთა მიერ ხომალდის მეთაურის განკარგულების შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე.

საჰაერო ხომალდიდან ფოტოგრაფირების, კინოგადაღების წესებისა და რადიოკავსირის საშუალებებით სარგებლობის წესების დარღვევა, -

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე, ფირის კონფისკაციით.

მუხლი 111. სამოქალაქო ავიაციის დარგში მოქმედი ნორმატიული აქტის დარღვევა *(26.04.2012. N6094 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

სამოქალაქო ავიაციის დარგში მოქმედი ნორმატიული აქტის დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 20 000 ლარამდე.

მუხლი 111[1]. საქართველოს საჰაერო სივრცის უფლებამოსილი ორგანოს ნებართვის გარეშე გამოყენება, საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენის წესის ან საჰაერო მოძრაობის მომსახურების წესის დარღვევა (26.04.2012. N6094 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. სამოქალაქო საჰაერო ხომალდით საქართველოს საჰაერო სივრცის უფლება-მოსილი ორგანოს ნებართვის გარეშე გამოყენება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000-დან 20 000 ლარამდე.

2. სამოქალაქო საჰაერო ხომალდით საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენის წესის ან საჰაერო მოძრაობის მომსახურების წესის დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 111[2]. სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციის წესების დარღვევა *(26.04.2012. N6094 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციის წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000-დან 10 000 ლარამდე.

მუხლი 111[3]. სამოქალაქო საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების წესების დარღვევა *(26.04.2012. N6094 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

სამოქალაქო საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000-დან 20 000 ლარამდე.

მუხლი 111[4]. სამოქალაქო აეროდრომზე ფრენების უსაფრთხოების უზრუნველმყოფი და ექსპლუატაციის დადგენილი ნორმების დარღვევა *(26.04.2012. N6094 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

სამოქალაქო აეროდრომზე ფრენების უსაფრთხოების უზრუნველმყოფი და ექსპლუატაციის დადგენილი ნორმების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000-დან 10 000 ლარამდე.

მუხლი 111[5]. სამუშაო ადგილზე შესაბამისი კვალიფიკაციის

(ოსტატობის) არმქონე ავიასპეციალისტის დაშვება *(26.04.2012. N6094 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

სამუშაო ადგილზე შესაბამისი კვალიფიკაციის (ოსტატობის) არმქონე ავიასპეციალისტის დაშვება –
გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 112. საზღვაო ტრანსპორტზე მოძრაობის წესების დარღვევა

გემების პორტში შესვლისა და პორტიდან გამოსვლის, საპორტო წყლებში გემების მოძრაობისა და დგომის წესების, აგრეთვე გემში მგზავრთა ჩასხდომის, მგზავრობის და გემიდან გადმოსხდომის დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესების დარღვევა, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე.

საპორტო წყლებში საყვინთი სამუშაოების ჩატარება სათანადო ნებართვის გარეშე, ამ სამუშაოთა დროს სიგნალების მიცემის წესების დაუცველობა, -

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 113. საზღვაო სატრანპორტო საშუალებებით სარგებლობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესების დარღვევა

საზღვაო ტრანსპორტზე სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის ნაგებობათა და მოწყობილობათა დაზიანება, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების სამიდან ექვს მინიმალურ ოდენობამდე.

საზღვაო ტრანსპორტის გემებზე ნებადაურთველ ადგილას მოწევა, -

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მესამედ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 114. საზღვაო პორტებში დატვირთვის, გადმოტვირთვის და ტვირთის დაწყობის წესების დარღვევა

საზღვაო პორტებში დატვირთვის, გადმოტვირთვისა და ტვირთის დაწყობის წესების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი $114^1$. საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შესახებ კანონმდებლობის დარღვევა

1. საქართველოს კონტინენტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებში ან

მიმდებარე ზონაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ნაგებობის აღმართვა, მის გარშემო ან განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ხელოვნური კუნძულის, ნაგებობის ან მოწყობილობის ირგვლივ უსაფრთხოების ზონის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით დაწესება, აგრეთვე მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციის, ნაგებობის დაცვის, ლიკვიდაციის, კონსერვაციის ან საზღვაო ნაოსნობის წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50000 ლარით

2. საქართველოს კონტინენტური შელფის ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სათანადო ნებართვის გარეშე გამოკვლევა, დაზვერვა ან მისი ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 75000 ლარით.“.*(04.07.2002 N1625)*

მუხლი 114$^2$. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში სასაზღვრო რეჟიმის წესების დარღვევა *(28.10.2010. N3779)*

1. ზომამცირე გემის საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში გასვლის შეუტყობინებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

2. ფიზიკური პირის კუთვნილი ბაზირების პუნქტის მოწყობის წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

3. ბაზირების პუნქტში ზომამცირე გემის შენახვის წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით.

4. ბაზირების პუნქტიდან ზომამცირე გემის გასვლის წესების დარღვევა, გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

5. ბაზირების პუნქტის მოწყობის წესების დარღვევა, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

6. ზომამცირე გემით სარგებლობის, მათ შორის, ცურვის, წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

7. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში სამეურნეო, სარეწი, საძიებო და სხვა საქმიანობის განხორციელებისას სასაზღვრო რეჟიმის წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

8. ამ მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი სამართალდარღვევა, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 800 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული

ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 115. რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევა

რკინიგზის და საზღვაო ტრანსპორტზე სახანძრო უსაფრთხოების დადგენილი წესების დარღვევა, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე.

საჰაერო ტრანსპორტზე სახანძრო უსაფრთხოების დადგენილი წესების დარღვევა, - გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე.

(საქართველოს სსრ უმღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 3 აგვიეტოს ბ რძანებულება _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1987 წ, N8 მუხ. 207; საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი _ საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ, N16 მუხ. 308).

მუხლი 116. სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის

1. სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. (2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან).

$1^{1}$. პირის მიერ მისთვის 18 წლის ასაკის მიღწევამდე მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოქმედების ვადაში ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენა –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით. *(12.06.2012. N6442 ამოქმედდეს 2012 წლის 1 აგვისტოდან)*

2. სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის –

გამოიწვევს დაჯარიმებას 250 ლარის ოდენობით. *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან).*

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირს არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი პირისა და სატრანსპორტო საშუალების მფლობელის (მესაკუთრის) დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან).*

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით, ხოლო თუ სატრანსპორტო საშუალების გადამცემ პირს არა აქვს მართვის უფლება – დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან).*

4[1]. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 700 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით. *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან).*

5. სატრანსპორტო საშუალების მართვა ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 3 წლის ვადით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის (გარდა პირისა, რომელიც საქართველოს კანონებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით) დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან).*

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირს არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი პირისა და სატრანსპორტო საშუალების მფლობელის (მესაკუთრის) დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან).*

7. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 3

წლის ვადით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის (გარდა პირისა, რომელიც საქართველოს კანონებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით) დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან).*

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირს არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან).*

9. ამ მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით. *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)*

შენიშვნა:

1. პოლიციელი, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, ვალდებულია სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომლის მიმართაც არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაშია, და გამოკვლევის მიზნით წარადგინოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირთან.28.04.2006. N2962 ამოქმედდეს 2006 წლის 1 ნოემბერიდან)

2. პოლიციელი, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, ვალდებულია: სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომლის მიმართაც არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაშია; თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის ალკოჰოლის მიღების ფაქტს და ამას ადასტურებს ოქმზე ხელმოწერით, ადგილზე შეუფარდოს ადმინისტრაციული სახდელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილზევე შეამოწმოს იგი; თუ შემოწმების შედეგად დასტურდება მძღოლის მიერ ალკოჰოლის მიღების ფაქტი, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელშიც აისახება ალკოჰოლური სიმთვრალის შედეგები.

3. უფლებამოსილი პირის მიერ ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის ფაქტების დადგენის წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით. (28.04.2006. N2962)

4. ამ მუხლის მე-3, მე-4, $4^1$, მე-6 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას პირი მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე

დაიშვება დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემდეგ. (2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან).

4[1]. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემთხვევაში განსაკუთრებული გარემოებების გამოვლენისას საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა შეცვალოს ჯარიმით 500 ლარის ოდენობით. (2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან).

5. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლის შემდეგ პირს მართვის მოწმობა დაუბრუნდება სამედიცინო დაწესებულების დიაგნოსტირების საფუძველზე, რომლითაც დასტურდება ნარკომანიით დაავადების არარსებობის ფაქტი.

6. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას დამრღვევის მიერ ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურების შემთხვევაში, თუ დაზარალებულმა არ გაასაჩივრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა შეცვალოს ჯარიმით 1000 ლარის ოდენობით. (2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან).

7. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1[1] ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-5 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით. (15.05.2012. N6173)

8. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან. *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან).*

9. ამ მუხლის 4[1] და მე-9 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის, აგრეთვე ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მართვისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით. (1.07.2011. N5018)

მუხლი 117. ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდება *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)*

1. სატრანსპორტო საშუალების მართვისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდება –

გამოიწვევს *(საკონსტიტუციო სასამართლოს 6.08.2013 N 1/4/535 გადაწყვეტილება)* (გარდა პირისა, რომელიც საქართველოს კანონებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით) დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 700 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით.

შენიშვნა:

1. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჯარიმა შეიცვლება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით. (15.05.2012. N6173)

2. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისას პირი მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაიშვება დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემდეგ.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით. (1.07.2011. N5018)

მუხლი 117[1]. ამოღებულია *(საქართველოს 1997 წლის 13 მაისის კანონი N696 _ პარლამენტის უწყებანი, 199 7წ., N 23-24, გვ. 3)*

მუხლი 117[2]. ამოღებულია *(საქართველოს 1997 წლის 13 მაისის კანონი N696 _ პარლამენტის უწყებანი, 199 7წ., N 23-24, გვ. 3)*

მუხლი 118. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პერიოდული ტესტირება (გამოცდა) დადგენილი წესით, ან სხვა პირისათვის ასეთი ავტოსატრანსპორტო

საშუალების სამართავად გადაცემა (28.04.2006. N2962)

1. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პერიოდული ტესტირება (გამოცდა) დადგენილი წესით, ან მესაკუთრის ან სხვა მართლზომიერი მფლობელის მიერ სხვა პირისათვის ასეთი სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.

2. ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის მიერ ისეთი ავტოსატრანსპორტო საშუალების საექსპლუატაციოდ დაშვება, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პერიოდული ტესტირება (გამოცდა) დადგენილი წესით, –

გამოიწვევს ექსპლუატაციის განმახორციელებელი იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით. (15.05.2012. N6173)

2. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით. (15.05.2012. N6173)

3. ჯარიმის იძულებითი აღსრულება ან ჯარიმის შეცვლა ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

მუხლი $118^1$. ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა *(28.10.2010. N2772 ამოქმედდეს 2010 წლის 1 დეკემბრიდან)*

ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მის გვერდით მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა –

გამოიწვევს ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის დაჯარიმებას 40 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლს, რომლის კონსტრუქციაც არ ითვალისწინებს უსაფრთხოების ღვედებს.

2. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით. (15.05.2012. N6173)

3. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის შეცვლა ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

4. თუ საპატრულო პოლიციელი ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე შემთხვევის ადგილზე არ გამოწერს საჯარიმო ქვითარს და სამართალდარღვევის ეს ფაქტი დაფიქსირდება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც საჯარიმო ქვითარი გადაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მესაკუთრეს დაერიცხება საურავი ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი $118^2$. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა *(11.03.2008. N5851)*

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, რომელიც მოქმედებდა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის „$а^1$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.

2. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში

ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით. (15.05.2012. N6173)

3. ჯარიმის იძულებითი აღსრულება ან ჯარიმის შეცვლა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

4. თუ საპატრულო პოლიციელი ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე საჯარიმო ქვითარს შემთხვევის ადგილზე არ გამოწერს და სამართალდარღვევის ეს ფაქტი დაფიქსირდება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც საჯარიმო ქვითარი გადაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მესაკუთრეს დაერიცხება საურავი ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 118[3]. მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის ან/და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა (28.04.2006. N2962)

მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის ან/და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1[1] ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით. (15.05.2012. N6173)

2. ჯარიმის იძულებითი აღსრულება ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

3. თუ საპატრულო პოლიციელი ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე საჯარიმო ქვითარს შემთხვევის ადგილზე არ გამოწერს და სამართალდარღვევის ეს ფაქტი დაფიქსირდება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც საჯარიმო ქვითარი

გადაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მესაკუთრეს დაერიცხება საურავი ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(8.05.2007 N4707)*

მუხლი 119. სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევა (28.04.2006. N2962)

1. სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არა აქვს: *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)*

ა) მართვის მოწმობა ან ტრაქტორისტის მართვის მოწმობა, ხოლო ამ მოწმობის ჩამორთმევის შემთხვევაში – სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა; (17.05.2011. N4687)

ბ) სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტები –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.

2. იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა, საჭის სამართავი მექანიზმი ან მისაბმელი მოწყობილობა, ანდა მწყობრიდანაა გამოსული ფარები, უკანასაგაბარიტო მაშუქები დღე-ღამის ბნელ დროს, ან მინის საწმენდი მექანიზმი წვიმის ან თოვლის დროს, ანდა დარღვეულია ძრავის კვების სისტემის ჰერმეტულობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 15 ლარის ოდენობით.

3. იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც გამონაფრქვევში აქვს გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ისეთი შემცველობა, რომელიც აჭარბებს დადგენილ ნორმას, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 30 ლარის ოდენობით.

4. სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის მიერ ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ტექნიკურად გაუმართავი სატრანსპორტო საშუალების საექსპლუატაციოდ დაშვება, –

გამოიწვევს ექსპლუატაციის განმახორციელებელი იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

5. იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც თვითნებურად არის გადაკეთებული (გადაკეთებულია საწვავის ავზი, ძარა, ან დაყენებულია ბუნებრივი აირის სისტემა, ან სხვაგვარადაა შეცვლილი სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქცია და იგი არ შეესაბამება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებს ან/და ქარხანა-დამამზადებლის სტანდარტებს), –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)*

6. სატრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს იმ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა, რომელი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებასაც მართავს, –
გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. *(12.06.2012. N6442 ამოქმედდეს 2012 წლის 1 აგვისტოდან)*

7. იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის მინები დამუქებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანხმობის გარეშე, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

8. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)*

შენიშვნა:

1. ამ კოდექსის 116-ე, 117-ე, 118-ე, $118^1$, $118^2$, 119-ე, 120-ე, 121-ე, $121^1$, 123-ე, 125-ე და $127^1$ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე მართვის მოწმობის ან სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში დამრღვევს საქმის განხილვამდე დროებით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალება და მას გადაიყვანენ სპეციალურ დაცულ სადგომზე; ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები დაეკისრება დამრღვევს; სატრანსპორტო საშუალება მის მფლობელს (მესაკუთრეს) დაუბრუნდება სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ან მინდობილობის წარმოდგენის შემდეგ. დაუშვებელია სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება, თუ მას აქვს ისეთი ტექნიკური გაუმართაობა, რომლის არსებობისას აკრძალულია სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია.

2. ამოღებულ იქნეს (*2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)*

3. ამ კოდექსში აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებად ჩაითვლება ყველა სახეობის ავტომობილი, ტრაქტორი და სხვა თვითმავალი მანქანა, ტრამვაი და ტროლეიბუსი, აგრეთვე მოტოციკლი და სხვა, ძრავით მოძრავი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (მოპედის გარდა).

4. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით. (15.05.2012. N6173)

5. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის

პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის მე-4, მე-5, მე-6 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით. (15.05.2012. N6173)

6. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან. *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)*

7. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება პირზე, რომლის სატრანსპორტო საშუალების მინების დამუქება არ საჭიროებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანხმობას.

მუხლი $119^1$. გზის საფარის დანაგვიანება ან დაზიანება

1. სამშენებლო ან სხვა სახის მასალების, ნარჩენების გადაზიდვა ისეთი სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებსაც აქვს გაუმართავი საბარგული ან მისაბმელი მოწყობილობა, რაც ქმნის გზის საფარის დანაგვიანების ან დაზიანების საფრთხეს, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 900 ლარით. (24.07.2006. N3500)

მუხლი 120. სატრანსპორტო საშუალებაზე სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე, სანათი ან ხმოვანი ხელსაწყოს დაყენების წესების დარღვევა ან მისი არადანიშნულებით გამოყენება (28.04.2006. N2962)

1. სატრანსპორტო საშუალებაზე სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე, სანათი ან ხმოვანი ხელსაწყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვის გარეშე დაყენება, ანდა ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის ავტომობილისათვის განკუთვნილი შეფერილობის უკანონოდ გამოყენება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, აგრეთვე სპეციალური ხელსაწყოს კონფისკაციას.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული სპეციალური ხელსაწყოს არადანიშნულებით გამოყენება, ან ასეთი ხელსაწყოთი აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალების შეუფერხებლად გატარების წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 30 ლარის ოდენობით.

3. იმ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის შეფერხება, რომლებზედაც ჩართულია სპეციალური სიგნალები ან რომლებიც ახორციელებენ ესკორტს ან რომლებსაც მიაცილებენ, –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის (გარდა პირისა, რომელიც საქართველოს კანონებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით) დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. (2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის (გარდა პირისა, რომელიც საქართველოს კანონებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით) დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. (2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)

შენიშვნა:

1. სპეციალური სანათი ხელსაწყოს უკანონოდ დაყენებად ჩაითვლება ასეთი ხელსაწყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით სატრანსპორტო საშუალებაზე ან მის სალონში საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეთათვის შესამჩნევ ადგილზე დადგმა (მუშა მდგომარეობაში ან უამისოდ).

2. სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე, სანათი ან ხმოვანი ხელსაწყოს არადანიშნულებით გამოყენებად ჩაითვლება, თუ მისი გამოყენება ოპერატიული ან სპეციალური საშუალების დანიშნულებიდან გამომდინარე მოვალეობის შესრულებასთან არ არის დაკავშირებული.

3. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას დამრღვევის მიერ ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურების შემთხვევაში, თუ დაზარალებულმა არ გაასაჩივრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა შეცვალოს ჯარიმით 500 ლარის ოდენობით. *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)*

4. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის, აგრეთვე ამ მუხლის შენიშვნის მე-3 ნაწილით დადგენილ შემთხვევაში პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით. (15.05.2012. N6173)

5. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით. (15.05.2012. N6173)

6. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან. *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)*

7. თუ საპატრულო პოლიციელი ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის რომელიმე ფაქტზე საჯარიმო ქვითარს შემთხვევის ადგილზე არ გამოწერს და სამართალდარღვევის ეს ფაქტი დაფიქსირდება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც საჯარიმო ქვითარი გადაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მესაკუთრეს დაერიცხება საურავი ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(8.05.2007 N4707)*

მუხლი 121. სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა არასრულწლოვნისათვის ან იმ პირისათვის, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის *(28.04.2006. N2962)*

1. სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

$1^1$. ამოღებულია (25.12.2009. N2456)

2. სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა არასრულწლოვნისათვის (გარდა იმ პირისა, რომელსაც მინიჭებული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება) ან იმ პირისათვის, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა სამართალდარღვევისათვის, –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მფლობელის (მესაკუთრის) დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. (17.05.2011. N4687)

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით. (2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)

4. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით.(25.12.2009. N2456)

შენიშვნა:*(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)*

1. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^{1}$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით. (15.05.2012. N6173)

2. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას, როდესაც პირს არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, იგი მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაიშვება დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემდეგ.

3. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

4. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით. (1.07.2011. N5018)

მუხლი $121^{1}$. სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მოწმობით უკანონოდ სარგებლობა ან 18 წლის ასაკის მიღწევამდე მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოქმედების ვადაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მესამედ ჩადენა *(12.06.2012. N6442 ამოქმედდეს 2012 წლის 1 აგვისტოდან)*

1. სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ ადრე დაკარგული ან დაზიანებული და მის სანაცვლოდ გაცემული მძღოლის მოწმობებით ერთდროულად სარგებლობა ან გაუქმებული მძღოლის მოწმობით უკანონოდ სარგებლობა ან/და პირის მიერ მძღოლის მოწმობის დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების შესახებ

უფლებამოსილი ორგანოსათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება სანაცვლო მართვის მოწმობის მიღების მიზნით –

გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით.

2. პირის მიერ მისთვის 18 წლის ასაკის მიღწევამდე მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოქმედების ვადაში ამ მუხლით, აგრეთვე ამ კოდექსის 118-ე, $118^1$, $118^2$, 119-ე, 120-ე, 121-ე, 123-ე, 125-ე და $127^1$ მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე სამართალდარღვევის მესამედ ჩადენა –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით.

შენიშვნა:

1. ჯარიმის ნებაყოფლობით აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლის ვადით.

2. ჯარიმის იძულებით აღსრულება ან ჯარიმის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით შეცვლა არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

მუხლი 122. სატრანსპორტო საშუალების მართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე ან სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დადგენილი წესების დარღვევით (28.04.2006. N2962)

1. სატრანსპორტო საშუალების მართვა წინასწარი შეცნობით სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე, ან სხვაგვარად შეცვლილი სახელმწიფო სანომრე ნიშნით, ან სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე დამაგრებული სახელმწიფო სანომრე ნიშნით –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. (2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)

2. სატრანსპორტო საშუალების მართვა რეგისტრაციის დადგენილი წესების დარღვევით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

3. სატრანსპორტო საშუალების მართვა წინასწარი შეცნობით სხვისი ან შენიღბული სახელმწიფო სანომრე ნიშნით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში (გარდა სატრანსპორტო საშუალების

საქარე მინაზე დამაგრებული სახელმწიფო სანომრე ნიშნით სატრანსპორტო საშუალების მართვისა, თუ არ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი სახელმწიფო სანომრე ნიშნის შეცვლის შესახებ) დამრღვევს საქმის განხილვამდე დროებით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალება და მას გადაიყვანენ სპეციალურ დაცულ სადგომზე; ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები დაეკისრება დამრღვევს. სატრანსპორტო საშუალება მის მფლობელს (მესაკუთრეს) დაუბრუნდება სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ან მინდობილობის წარმოდგენის შემდეგ.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში შედგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და დამრღვევს მიეცემა დადგენილი ნიმუშის ცნობა, რომლის მოქმედების ვადაშიც სატრანსპორტო საშუალების მძღოლმა უნდა გაატაროს სატრანსპორტო საშუალება რეგისტრაციაში. სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციაში გაუტარებლობის შემთხვევაში იკრძალება სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია.

3. ამ მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტში მითითებული ცნობის ფორმას და მისი შევსების წესს ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

4. ამოღებულია (15.07.2012. N6173)

5. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით. (15.05.2012. N6173)

6. ჯარიმის იძულებითი აღსრულება ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

7. თუ საპატრულო პოლიციელი ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის რომელიმე ფაქტზე საჯარიმო ქვითარს შემთხვევის ადგილზე არ გამოწერს და სამართალდარღვევის ეს ფაქტი დაფიქსირდება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც საჯარიმო ქვითარი გადაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მესაკუთრეს დაერიცხება საურავი ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(8.05.2007 N4707)*

მუხლი 123. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის

მიტოვება ან სატრანსპორტო საშუალების გაჩერების
შესახებ პოლიციელის მოთხოვნის
შეუსრულებლობა (28.04.2006. N2962)

1. სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ იმ პოლიციელის მოთხოვნის ბოროტად შეუსრულებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით. (2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით ან მართვის უფლების ჩამორთმევას 2 წლამდე ვადით. (17.07.2009. N1505)

შენიშვნა:

1. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით. (15.05.2012. N6173)

2. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან. (2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)

3. თუ საპატრულო პოლიციელი ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის რომელიმე ფაქტზე საჯარიმო ქვითარს შემთხვევის ადგილზე არ გამოწერს და სამართალდარღვევის ეს ფაქტი დაფიქსირდება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც საჯარიმო ქვითარი გადაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მესაკუთრეს დაერიცხება საურავი ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(8.05.2007 N4707)*

4. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემთხვევაში განსაკუთრებული გარემოებების გამოვლენისას საქმის განმხილველ ორგანოს

შეუძლია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა შეცვალოს ჯარიმით 500 ლარის ოდენობით *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)*

5. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით.(1.07.2011. N5018)

მუხლი 124. ამოღებულია *(საქართველოს 1997 წლის 13 მაისის კანონი N696 _ პარლამენტის უწყებანი, 1997წ., N 23-24, გვ. 3)*

მუხლი 125. სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა (28.04.2006. N2962)

1. სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას, –

გამოიწვევს მართვის უფლების ჩამორთმევას ერთი თვის ვადით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილ საერთაშორისო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 250 ლარის ოდენობით. (2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)

5. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის (გარდა პირისა, რომელიც საქართველოს კანონებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით) დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. (2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)

6. საქვეითო გადასასვლელის გავლის, საგზაო ნიშნის ან გზის სავალი ნაწილის მონიშვნის ხაზების, ბუქსირების, გარე სანათი ხელსაწყოთი ან ხმოვანი სიგნალით სარგებლობის, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან ავტომაგისტრალზე მოძრაობის წესების ანდა სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის

პრიორიტეტის დარღვევა, აგრეთვე მოტოციკლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით. (15.05.2012. N6173)

$6^1$. ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვა ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში, რა დროსაც სრულად არის დაკავებული გზის სავალი ნაწილი, –

გამოიწვევს მართვის უფლების ჩამორთმევას 2 წლის ვადით. (17.07.2009. N1505)

$6^2$. გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. (15.05.2012. N6173)

7. მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული („დაუთმე გზა“, „მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია“) ან ამკრძალავი („შესვლა აკრძალულია“, „მოძრაობა აკრძალულია“) ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისათვის დაბრკოლების შექმნა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. (15.05.2012. N6173)

$7^1$. შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.(15.05.2012. N6173)

$7^2$. ამ მუხლის $7^1$ ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. (15.05.2012. N6173)

8. ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით. (17.05.2011. N4684)

9. ამ მუხლის მე-6–მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება, რომელმაც გამოიწვია საცობის შექმნა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. (15.05.2012. N6173)

10. ამ მუხლის მე-6, $6^2$, მე-7, $7^1$, $7^2$ და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის

მსუბუქი დაზიანება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 250 ლარის ოდენობით. (15.05.2012. N6173)

შენიშვნა:

1. მიტოვებულ სატრანსპორტო საშუალებას გადაიყვანენ სპეციალურ დაცულ სადგომზე ან განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების თვლების ბლოკირება სპეციალური საშუალებით, თუ ამის თაობაზე მინიშნება ახლავს ამკრძალავ ნიშანს; ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები დაეკისრება დამრღვევს. სატრანსპორტო საშუალება მის მფლობელს (მესაკუთრეს) დაუბრუნდება ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის, სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ან მინდობილობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ. თუ სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანა შეუძლებელია, სატრანსპორტო საშუალების მძღოლის დადგენის შემდეგ დამრღვევს დაეკისრება ჯარიმა ამ კოდექსით დადგენილი წესით. (20.10.2009. N1812)

2. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას დამრღვევის მიერ ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურების შემთხვევაში, თუ დაზარალებულმა არ გაასაჩივრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა შეცვალოს ჯარიმით 500 ლარის ოდენობით.(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)

$2^1$. ამოღებულა (12.06.2012. N6442 ამოქმედდეს 2012 წლის 1 აგვისტოდან)

3. ჯარიმის ნებაყოფლობით აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, $7^1$, $7^2$, მე-9 და მე-10 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის, აგრეთვე ამ მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილით დადგენილ შემთხვევაში პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლის ვადით. (12.06.2012. N6442 ამოქმედდეს 2012 წლის 1 აგვისტოდან)

4. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის მე-6, $6^2$, მე-7 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით. (15.05.2012.

N6173)

4[1]. ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში მფლობელის დაუდგენლობისას პასუხისმგებლობა ეკისრება ავტოტრანსპორტის მესაკუთრეს. *(30.12.2008 N 956)*

4[2]. ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახურების ან მათ მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიერ ოქმის შედგენიდან ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევი მძღოლის ან ავტოტრანსპორტის მესაკუთრის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(20.05.2011. N4708 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.)

5. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან. (2.07.2010.

N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)

6. თუ საპატრულო პოლიციელი ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის რომელიმე ფაქტზე საჯარიმო ქვითარს შემთხვევის ადგილზე არ გამოწერს და სამართალდარღვევის ეს ფაქტი დაფიქსირდება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც საჯარიმო ქვითარი გადაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მესაკუთრეს დაერიცხება საურავი ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(8.05.2007 N4707)*

მუხლი 125[1]. ამოღებულია *(30.12.2008 N 956)*

მუხლი 125[2]. დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის
პარკირების წესების დარღვევა *(8.06.2007 N4917)*

1. დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას ავტოტრანსპორტის პარკირებისათვის თვითმმართველი ერთეულის მიერ დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე ავტოტრანსპორტის დგომა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით, ამასთანავე, იმ

ავტოტრანსპორტს, რომელიც დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას დგას 12 საათზე მეტი დროით, ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი გადაიყვანს სპეციალურ დაცულ სადგომზე, თუ ამის თაობაზე მინიშნება ახლავს პარკირების ნიშანს. ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ჯარიმასთან ერთად დაეკისრება დამრღვევ მძღოლს ან ავტოტრანსპორტის მესაკუთრეს. (20.10.2009. N1812)

2. ამოღებულია (20.10.2009. N1812)

3. ამოღებულია (20.10.2009. N1812)

4. ამოღებულია (20.10.2009. N1812)

5. ამოღებულია (20.10.2009. N1812)

6. დედაქალაქის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დადგენილი ავტოტრანსპორტის პარკირების წესების სხვა დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით, ამასთანავე, ავტოტრანსპორტს ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი გადაიყვანს სპეციალურ დაცულ სადგომზე ან მის თვლებს გაუკეთებს ბლოკირებას სპეციალური საშუალებით, თუ ამის თაობაზე მინიშნება ახლავს პარკირების ნიშანს. სპეციალურ სადგომზე გადაყვანა დასაშვებია, თუ ავტოტრანსპორტი აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას. ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ჯარიმასთან ერთად დაეკისრება დამრღვევ მძღოლს ან ავტოტრანსპორტის მესაკუთრეს. (20.10.2009. N1812)

შენიშვნა:

1. დედაქალაქის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დადგენილი ავტოტრანსპორტის პარკირების წესებით განსაზღვრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის განსაზღვრულ პარკირების ადგილზე არაუფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია ავტოსატრანსპორტო საშუალება გადაიყვანოს სპეციალურ დაცულ სადგომზე, თუ ამის თაობაზე მინიშნება ახლავს პარკირების ნიშანს. (20.05.2011. N4708 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.)

2. სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანილი ავტოსატრანსპორტო საშუალება მის მფლობელს ან/და მესაკუთრეს დაუბრუნდება ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ. (20.05.2011. N4708 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.)

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის დაუდგენლობისას პასუხისმგებლობა ეკისრება ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს. (20.05.2011. N4708 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.)

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევი მძღოლის ან ავტოტრანსპორტის მესაკუთრის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (20.05.2011. N4708 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.)

*(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი; საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი _ საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., N16, მუხ. 308; 1995 წლის 29 ივნისის კანონი _ საქართველოს პარლამენტის უწყებები N27-30, მუხ. 649; აქართველოს 1997 წლის 13 მაისის კანონი - საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წ. გვ, 23-24, გვ. 3).*

მუხლი 125³. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევა *(11.03.2011. N4451 ამოქმედდეს 2011 წლის 15 აპრილიდან.)*

1. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე თვითმმართველი ერთეულის მიერ დადგენილი პარკირების ორგანიზების წესების დარღვევა –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისას – 200 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრების შემდეგ ორი დღის განმავლობაში სამართალდარღვევის გამოუსწორებლობა –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისას – 400 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ჯარიმების ნებაყოფლობით გადაუხდელობისას, ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის სრული ოდენობით.

4. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას ავტოტრანსპორტის პარკირებისათვის თვითმმართველი ერთეულის მიერ დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.

5. ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის ან/და მესაკუთრის მიერ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების წესების სხვა დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული ჯარიმების ნებაყოფლობით გადაუხდელობისას, ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის

ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზება განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით.

7. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მფლობელის დაუდგენლობისას პასუხისმგებლობა ეკისრება ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს.

8. ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისას მისი ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ჯარიმასთან ერთად დაეკისრება დამრღვევს ან ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს. თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება გადაყვანილი იქნება სპეციალურ დაცულ სადგომზე, იგი მის მფლობელს ან/და მესაკუთრეს დაუბრუნდება ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიზნებისათვის სამართალდარღვევა გამოსწორებულად ჩაითვლება, თუ პირი აღარ დაარღვევს ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პარკირების ორგანიზების წესებს. სამართალდარღვევის გამოუსწორებლობის გამო ჯარიმის დაკისრების შემდეგ იმავე საქმიანობის გაგრძელება ითვლება პირის მიერ ახალი სამართალდარღვევის ჩადენად, რის გამოც მის მიმართ თავიდან იწყება სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

2. ამ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის
ჩადენისას ავტოსატრანსპორტო საშუალება გადაყვანილი იქნება სპეციალურ დაცულ სადგომზე ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების თვლებს გაუკეთდება ბლოკირება სპეციალური საშუალებებით, თუ ეს დადგენილია ავტოტრანსპორტის პარკირების წესებით და ამის თაობაზე მინიშნება ახლავს პარკირების ნიშანს. სპეციალურ დაცულ

სადგომზე გადაყვანა დასაშვებია, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას.

**მუხლი 126. ამოღებულია**

*(საქართველოს 1997 წლის 12 ივნისის კანონით _ საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997, N გვ. )*

**მუხლი 127. ქვეითად მოსიარულის ან საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილის მიერ მოძრაობის წესების დარღვევა, აგრეთვე საავტომობილო გზის გასწვრივ პირუტყვის ძოვების წესების დარღვევა** *(23.06.2005 N 1753)*

1. ქვეითად მოსიარულის, ველოსიპედისტის, მზიდავის ან გზით მოსარგებლე სხვა პირის მიერ საგზაო მოძრაობის რეგულირების სიგნალისადმი დაუმორჩილებლობა, საგზაო ნიშნის ან გზის სავალი ნაწილის მონიშვნის მოთხოვნათა უგულებელყოფა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 3 ლარის ოდენობით.

2. სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზის გასწვრივ მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვის მოვების წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით. (2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)

3. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. *(2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)*

შენიშვნა: პირუტყვის მესაკუთრეს არ უნაზღაურდება ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შედეგად პირუტყვის დაღუპვით ან დაშავებით მიყენებული ზიანი. (27.12.2011. N5628 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

მუხლი 127[1]. საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის გადაზიდვისა და ავტოსადგურის მუშაობის წესების დარღვევა (24.11.2006. N3769)

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის (გარდა ამ კოდექსის 129[1] მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 30 ლარის ოდენობით.

2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებითა და კონვენციებით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის (გარდა ამ კოდექსის 129[1] მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით. (8.11.2011. N5202 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

3. ავტოსადგურის მუშაობის წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

4. ამოღებულია (24.11.2006. N3769)

5. ავტოსადგურის ფუნქციონირება განსაკუთრებული რეგულირების ზონაში თვითმმართველი ერთეულის მიერ დადგენილი წესების დარღვევით –

გამოიწვევს ავტოსადგურის მესაკუთრე ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 1000 ლარის ოდენობით. (15.12.2010. N4035)

შენიშვნა:

1. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს ჯარიმასთან ერთად დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით; ამასთანავე, ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლის ვადით.

2. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით. (15.05.2012. N6173)

3. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით. (15.05.2012. N6173)

მუხლი 128. რკინიგზის, საზღვაო, საავტომობილო ტრანსპორტით და ელექტროტრანსპორტით საშიშ ნივთიერებათა ან საგანთა გადაზიდვის წესების დარღვევა

რკინიგზის ტრანსპორტით საშიშ ნივთიერებათა ან საგანთა ხელბარგით გადაზიდვის წესების დარღვევა, -

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.

საზღვაო ტრანსპორტით საშიშ ნივთიერებათა ან საგანთა გადაზიდვის წესების დარღვევა, -

გამოიწვევს მოქალაქეთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

ავტობუსით, ტროლეიბუსით, ტრამვაით, სამარშრუტო ტაქსით საშიშ ნივთიერებათა ან საგანთა გადატანა, აგრეთვე მათი ბარგად ან შემნახველ საკანში ჩაბარება, -

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.

იმ საშიშ ნივთიერებათა ან საგანთა ნუსხა, რომელთა გადაზიდვის წესების დარღვევისათვის ამ მუხლით დაწესებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, განისაზღვრება შესაბამის სახეობათა ტრანსპორტზე მოქმედი გადაზიდვის წესით.

*(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულება-საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1987 წ., N8 მუხ. 207; საქართველოს*

*რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი – საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., N16 მუხ. 308).*

მუხლი 128[1]. რკინიგზის ტრანსპორტით საშიში ტვირთების გადაზიდვის ნორმატიულ-ტექნიკური წესების შეუსრულებლობა

რკინიგზის ტრანსპორტით საშიში ტვირთების გადაზიდვის ნომატიულ-ტექნიკური წესების შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ას ლარამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან ხუთას ლარამდე.

(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი; საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი _ საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., N16, მუხ. 308; 1995 წლის 29 ივნისის კანონი _ საქართველოს პარლამენტის უწყებები N27-30, მუხ. 649; აქართველოს 1997 წლის 13 მაისის კანონი - საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წ. გვ, 23-24, გვ. 3).

მუხლი 128[2]. ხე-ტყის პირველადი გადამუშავების, ხე-ტყის ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის მოთხოვნათა დარღვევა (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან)

1. ხე-ტყის პირველადი გადამუშავება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ.

2. უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის პირველადი გადამუშავება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, ხე-ტყის ან/და მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქციის კონფისკაციით, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 4000 ლარის ოდენობით, ხე-ტყის ან/და მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქციისა და სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით.

4. ხე-ტყის ტრანსპორტირება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სათანადო დოკუმენტის ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ხე-ტყის კონფისკაციით ან უამისოდ.

(4. ხე-ტყის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სათანადო დოკუმენტის ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე ტრანსპორტირება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხე-ტყის კონფისკაციით ან უამისოდ. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, ხე-ტყის კონფისკაციით.

$5^1$. ამოღებულია (25.03.2013. N453)

$5^2$. ამოღებულია (25.03.2013. N453)

6. თვითმმართველი ერთეულის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარის საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სათანადო დოკუმენტის გარეშე ტრანსპორტირება (გარდა ამ კოდექსის $151^1$ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე სახერხ საამქროში შეტანა (განთავსება) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხე-მცენარის კონფისკაციით ან უამისოდ.

(6. თვითმმართველი ერთეულის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სათანადო დოკუმენტის გარეშე ტრანსპორტირება (გარდა ამ კოდექსის $151^1$ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე სახერხ საამქროში შეტანა (განთავსება) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხე-მცენარის კონფისკაციით ან უამისოდ. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

7. ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით, ხე-მცენარის კონფისკაციით.

8. სოციალური ჭრების შედეგად მოპოვებული ხე-ტყის ტრანსპორტირება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესების დარღვევით ან ასეთი ხე-ტყის ნებისმიერი ფორმით გასხვისება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხე-ტყის კონფისკაციით ან უამისოდ.

(8. სოციალური ჭრების შედეგად მოპოვებული ხე-ტყის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესების დარღვევით ტრანსპორტირება ან ასეთი ხე-ტყის

ნებისმიერი ფორმით გასხვისება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხე-ტყის კონფისკაციით ან უამისოდ. *(25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)*)

შენიშვნა:

1. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამართალდამრღვევს საქმის განხილვამდე დროებით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალება მასზე არსებულ ხე-ტყესთან/ხე-მცენარესთან ერთად და მას გადაიყვანენ სპეციალურ დაცულ სადგომზე; ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები დაეკისრება სამართალდამრღვევს; სატრანსპორტო საშუალება მის მფლობელს (მესაკუთრეს) დაუბრუნდება ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის საქმის განხილვის დასრულებისა და სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ან მინდობილობის წარმოდგენის შემდეგ (საჭაპნე ტრანსპორტის შემთხვევაში სარეგისტრაციო მოწმობა არ მოითხოვება), გარდა ამ კოდექსის 249-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. ამ მუხლის მიზნებისთვის უკანონოდ მოპოვებულ ხე-ტყედ ჩაითვლება ხე-ტყე, რომელსაც საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ აქვს სათანადო დოკუმენტი ან ამავე აქტით დადგენილი წესით არ არის მარკირებული სპეციალური ფირნიშით.

(2. ამ მუხლის მიზნებისთვის უკანონოდ მოპოვებულ ხე-ტყედ ჩაითვლება ხე-ტყე, რომელსაც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ აქვს სათანადო დოკუმენტი ან იმავე აქტით დადგენილი წესით არ არის მარკირებული სპეციალური ფირნიშით. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით ოქმის შემდგენი უფლებამოსილია დაათვალიეროს პირველადი გადამუშავების ადგილები, გააჩეროს შესაბამისი სატრანსპორტო საშუალება, ასევე მოითხოვოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი, სატრანსპორტო საშუალებისა და ბუნებრივი რესურსების წარმოშობის დოკუმენტები, ხოლო დარღვევის აღმოჩენისას მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები.

### მუხლი $128^{3}$. ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის

მოთხოვნების დარღვევა (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან)

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილ ვადებში ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ანგარიშის (მათ შორის, ყოველთვიური ანგარიშის) ან ხე-ტყის მარკირების სპეციალური ფირნიშის საკონტროლო ფირნიშის შესაბამის ორგანოში წარუდგენლობა, ასევე სპეციალური ფირნიშის ან/და მისი საკონტროლო ფირნიშის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში შესაბამისი განაცხადის წარდგენის დადგენილი წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

3. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილი ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების (გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, უკანონო ხე-ტყის/ ხე-მცენარის ან/და მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქციის კონფისკაციით ან უამისოდ. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 4000 ლარის ოდენობით, უკანონო ხე-ტყის/ხე-მცენარის ან/და მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქციის კონფისკაციით.

5. ამ მუხლის მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში ამ მუხლის მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა უკანონო ხე-ტყის/ხე-მცენარის მიღებასთან, შენახვასთან, გადამუშავებასთან ანდა ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით –

გამოიწვევს დაჯარიმებას 4000 ლარის ოდენობით, უკანონო ხე-ტყის/ხე-მცენარის ან/და მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების

პროდუქციის და სახერხი დანადგარებისა და მოწყობილობების კონფისკაციით.

**შენიშვნა:** ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უკანონოდ ჩაითვლება ის ხე-ტყე/ხე-მცენარე, რომელიც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში დადგენილი წესით არ არის მარკირებული სპეციალური ფირნიშით. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

მუხლი $128^4$. იმპორტირებული ხე-ტყის მარკირებისთვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევა (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან)

1. იმპორტირებული ხე-ტყის მარკირებისთვის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, ხე-ტყის კონფისკაციით.

მუხლი $128^5$. ხე-ტყით მოსარგებლის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტისა და სპეციალური ფირნიშების გამოყენების, ხე-ტყის მარკირების, ასევე მათი აღრიცხვისა და ანგარიშგების წესების დარღვევა 25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. ხე-ტყით მოსარგებლის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტისა და სპეციალური ფირნიშების გამოყენების, ხე-ტყის მარკირების, ასევე მათი აღრიცხვისა და ანგარიშგების წესების დარღვევა, აგრეთვე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ან ხე-ტყის მარკირების სპეციალური ფირნიშების დაუხარჯავი ან/და დაზიანებული ფორმების საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილი წესით წარუდგენლობა, ხოლო დაკარგვის შემთხვევაში – შესაბამისი განაცხადის წარდგენის დადგენილი წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 129. დაწესებულ ნორმაზე ზევით ხელზარგისა და ფასგადაუხდელი

ბარგის გადაზიდვა

რკინიგზისა და საზღვაო ტრანსპორტით დაწესებულ ნორმაზე ზევით ხელბარგის გადაზიდვა.

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

ავტობუსით, ტროლეიბუსით, ტრამვაით, საქალაქო მიმოსვლის სამარშრუტო ტაქსით ფასგადაუხდელი ბარგის გადაზიდვა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ბარგის თითოეული ადგილისათვის შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

საგარეუბნო მიმოსვლის სამგზავრო ავტოტრანსპორტით ფასგადაუხდელი ბარგის გადაზიდვა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ბარგის თითოეული ადგილისათვის შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

საქალაქთაშორისო მიმოსვლის სამგზავრო ავტოტრანსპორტის ფასგადაუხდელი ბარგის გადაზიდვა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ბარგის თითოეული ადგილისათვის შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი $129^1$. ტვირთამწეობის დადგენილი ნორმის ზევით ტვირთის გადაზიდვა ავტოსატრანსპორტო საშუალებით (1.12.2009. N2214)

საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა, რომელთა თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და სრული მასა – 44 ტონას ან/და გადასაზიდი ტვირთის მასა – დამამზადებლის მიერ მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილ ტვირთამწეობის ზღვარს, –

გამოიწვევს ავტოსატრანსპორტო საშუალების ოპერატორის ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის დაჯარიმებას თითოეულ ზედმეტ ტონაზე 500 ლარის ოდენობით (არასრულ ტონაზე ჯარიმა გამოიანგარიშება პროპორციულად).

შენიშვნა:

1. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომლის ტვირთი არ ექვემდებარება დაშლა-დანაწილებას/გადანაწილებას და რომლის მოძრაობა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული რეკომენდაციის წარდგენის შემთხვევაში.

2. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას საზღვაო ნავსადგურში განთავსებული საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც შემდგომ გადაადგილდება საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით, საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიიდან უახლოესი, 10 კმ-ის რადიუსში მდებარე,

საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის ზონისაკენ. (27.03.2012. N5953)

3. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ამ მუხლით გათვალისწინებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე (გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებისა, რომლის ტვირთის სრული მასა აღემატება დამამზადებლის მიერ მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილ ტვირთამწეობის ზღვარს), რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას გადაადგილდება საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, საგადასახადო ორგანოს განთავსების ადგილიდან უახლოესი, 25 კმ-ის რადიუსში მდებარე რკინიგზის სადგურისაკენ – საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის ზონისაკენ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით. (27.03.2012. N5953)

4. თუ საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებისას (გარდა საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით საქართველოს ტერიტორიის დატოვებისა) ავტოსატრანსპორტო საშუალების თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და სრული მასა – 44 ტონას ან/და გადასაზიდი ტვირთის მასა – დამამზადებლის მიერ მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილ ტვირთამწეობის ზღვარს, ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი (მესაკუთრე) თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს ზედმეტი ტვირთის ჩამოცლას/დაშლა-დანაწილებას/გადანაწილებას (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მითითებულ დაცულ ადგილას), ტვირთის დაცვას/შენახვას და შემდგომ ტრანსპორტირებას. (27.03.2012. N5953)

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის ამავე კოდექსის 290-ე მუხლით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში სააღსრულებო ბიურომ ჯარიმის იძულებითი გადახდევინება პრიორიტეტულად განახორციელოს იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ყადაღის დადებით ან/და იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით, რომლითაც ჩადენილ იქნა ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. (17.05.2011. N4684)

მუხლი 130. უბილეთო მგზავრობა *(30.12.2008 N 956)*

1. მგზავრების უბილეთო გაფრენა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე.

2. მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა:

ა) რეგიონული მიმოსვლის მატარებლით –

გამოიწვევს დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით;(8.05.2012. N6147 ამოქმედდეს

გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.)

ბ) მაგისტრალური მიმოსვლის მატარებლით –

გამოიწვევს დაჯარიმებას 40 ლარის ოდენობით; (8.05.2012. N6147 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.)

გ) საგარეუბნო საზღვაო ტრანსპორტის გემით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთი მეათედი მინიმალური ოდენობით;

დ) ადგილობრივი და შორეული მიმოსვლის საზღვაო ტრანსპორტის გემით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარი მინიმალური ოდენობით.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებებით ხუთიდან ათი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

4. მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა:

ა) ტროლეიბუსით, ტრამვაით, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ავტობუსით ან სამარშრუტო ტაქსით (მიკროავტობუსით), –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 ლარის ოდენობით. (20.10.2009. N1812)

შენიშვნა: ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი 50 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მიმოსვლის ავტობუსით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთი მეათედი მინიმალური ოდენობით.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებებით ხუთიდან ათი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა:

ა) ტროლეიბუსით, ტრამვაით, საქალაქო მიმოსვლის ავტობუსით ან სამარშრუტო ტაქსით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთი მეათედი მინიმალური ოდენობით;

ბ) საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მიმოსვლის ავტობუსით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 131. რკინიგზის, საზღვაო და საავტომობილო ტრანსპორტზე ტვირთის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის წესების დარღვევა

მოძრავი შემადგენლობის, კონტეინერების, მცურავი და ტვირთის გადასაზიდად გათვალისწინებული სხვა სატრანსპორტო საშუალებების, აგრეთვე გადაზიდვის მოწყობილობათა დაზიანება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე.

სატვირთო ვაგონების, ავტომობილების, ავტომობილების მისაბმელების, კონტეინერების, ტრიუმების და მცურავ საშუალებათა სხვა სატვირთო სათავსოების პლომბებისა და საკეტ მოწყობილობათა დაზიანება, მათგან პლომბების აგლეჯა, ცალკეული სატვირთო ადგილებისა და მათი შეფუთვის პაკეტების, სატვირთო ეზოების, რკინიგზის სადგურების, სატვირთო საავტომობილო სადგურების,საკონტეინერო პუნქტების, (მოედნების), პორტების (ნავსადგომების) და იმ საწყობების ღობის დაზიანება, რომლებიც გამოიყენება ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ოპერაციების შესასრულებლად, აგრეთვე სატვირთო ეზოების, საკონტეინერო პუნქტების (მოედნების), პორტების (ნავსადგომების) სატვირთო რაიონების და ზემოაღნიშნული საწყობების ტერიტორიაზე სათანადო ნებართვის გარეშე ყოფნა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 132. ამოღებულია (26.04.2012. N6094 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

მუხლი 133. ამოღებულია *(23.06.2005 N 1753)*

მუხლი 134. გზის, რკინიგზის გადასასვლელის ან საგზაო ნაგებობის მოვლა-შენახვის წესების დარღვევა

მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გზის, რკინიგზის გადასასვლელის ან სხვა საგზაო ნაგებობის მოვლა შენახვის დადგენილი წესების დარღვევა, ანდა ზომების მიუღებლობა გზის ცალკეულ უბანზე მოძრაობის დროულად ასაკრძალად ან შესაზღუდად, როცა ამ გზით სარგებლობა საფრთხეს უქმნის მოძრაობას, აგრეთვე გზის, რკინიგზაზე გადასასვლელისა თუ სხვა საგზაო ნაგებობის ან საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალების დაზიანება ან გზის საფარის გაჭუჭყიანება, გზის სავალ ნაწილზე, ტროტუარზე ან გვერდულზე სამშენებლო ან სხვა მასალის დაყრა, გარე ვაჭრობის მოწყობა, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ საგზაო პოლიციის მიერ მიცემული წერილობითი მითითების შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელისა თუ სხვა პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ან სხვა ფიზიკური პირის დაჯარიმებას

ოცდახუთიდან ოცდაათ ლარამდე ოდენობით.

საერთო სარგებლობის საავტომობილო გზასთან სხვა დანიშნულების გზის თვითნებური მიერთება, გზის ღერძიდან 100 მეტრზე ახლოს ან ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე რაიმე ობიექტის უნებართვო მშენებლობა ან ობიექტის მშენებლობაზე დადებული შეთანხმების პირობების დარღვევა, პლაკატების, ტრანსპარატების, აფიშების, სარეკლამო ფირნიშების, არასტანდარტული საგზაო ნიშნების უნებართვოდ განთავსება, გზის თვითნებურად გადათხრა ან სამუშაოთა წარმოებაზე დადებული შეთანხმების პირობების შეუსრულებლობა, ანდა შესაბამისი ნებართვის გარეშე საზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების შესაკეთებლად მიღება, -

გამოიწვევს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის თუ სხვა პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ან სხვა ფიზიკური პირის დაჯარიმებას ორმოცდახუთიდნ ორმოცდაათ ლარამდე ოდენობით.

ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების დაზიანება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოციდან ას ორმოცდაათ ლარამდე ოდენობით.

მუხლი 135. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელება სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე *(20.05.2011. N4708 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.)*

1. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელება სანებართვო პირობების დარღვევით –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

2. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელება შესაბამისი ნებართვის გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით კონტროლის განმახორციელებელი უფლებამოსილი სამსახური, ფიზიკური ან იურიდიული პირი უფლებამოსილია კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ კონტროლის განმახორციელებლის მიერ ნებართვის მფლობელისთვის სანებართვო პირობების დარღვევის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დარღვევის ნებართვის გამცემის მიერ დადგენილ ვადაში აღმოუფხვრელობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ამ კოდექსის $36^1$ მუხლით დადგენილი წესით.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ნებაყოფლობითი

აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 135[1]. საქართველოს ტერიტორიაზე შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანისას ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს მიერ დამტკიცებული მოძრაობის მარშრუტის დარღვევა (29.06.2012. N6609 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.)

საქართველოს ტერიტორიაზე შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანისას თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე შემომავალი $M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტობუსებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს მიერ დამტკიცებული მოძრაობის მარშრუტის დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 136. ამოღებულია *(საქართველოს 1997 წლის 13 მაისის კანონი N696 _ პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., N 23-24, გვ. 3)*

მუხლი 137. ამოღებულია *(საქართველოს 1997 წლის 13 მაისის კანონი N696 _ პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., N 23-24, გვ. 3)*

მუხლი 138. ამოღებულია *(საქართველოს 1998 წლის 28 აპრილის კანონი N1349 _ პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., N19-20, გვ. 18)*

მუხლი 139. ამოღებულია *(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 9 აგვისტოს ბრძანებულება N 1832)*

მუხლი 139[1]. ამოღებულია *(28.10.2010. N3779)*

მუხლი 139[2]. ტრანსპორტის შესაბამის სფეროში ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა (22.02.2011. N4223)

ამოქმედდეს 2011 წლის 15 აპრილიდან).

ტრანსპორტის სფეროში ლიცენზიის ან/და ნებართვის მფლობელის მიერ შესაბამის სფეროში ნორმატიული აქტით (გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნორმატიული აქტებისა) დადგენილი მოთხოვნების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარამდე.

მუხლი 139[3]. ტრანსპორტის სფეროში ლიცენზირების/ნებართვის გაცემის ან/და სერტიფიცირების/შესაბამისობის დეკლარაციის წესების დარღვევა *(25.05.2006 N3180)*

პირის მიერ ტრანსპორტის სფეროში სათანადო ლიცენზიის/ნებართვის ან/და სერტიფიკატის/შესაბამისობის დეკლარაციის ან/და მოწმობის გარეშე საქმიანობა, ან შესაბამისი ლიცენზიის ან/და ნებართვის ან/და სერტიფიკატის/შესაბამისობის დეკლარაციის ან/და მოწმობის პირობების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარამდე.

მუხლი 139[4]. „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა ან მათი შესრულების ვადების დარღვევა

„დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა ან მათი შესრულების ვადების დარღვევა,–

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარამდე. *(14.08.2003 N 2963)*

მუხლი 140. ამოღებულია *(საქართველოს 2000 წლის 13 დეკემბრის კანონი N686 – სსმ I, 2000 წ., N51, მუხ. 149)*

მუხლი 141. რადიოდანადგართა მოწყობა და ექსპლუატაცია სათანადო რეგისტრაციის ან ნებართვის გარეშე

რადიოსატრანსლაციო კვანძის მოწყობა და ექსპლუატაცია სათანადო რეგისტრაციის ან ნებართვის გარეშე (როცა ასეთი საჭიროა), მისი სიმძლავრის მიუხედავად, -

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.

რადიოსატრანსლაციო წერტილის მოწყობა და ექსპლუატაცია სათანადო რეგისტრაციის ან ნებართვის გარეშე (როცა ასეთი საჭიროა), მიუხედავად იმ რადიოსატრანსლაციო კვანძის უწყებრივი კუთვნილებისა, საიდანაც იგი იდგმება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 142. რადიოგადამცემ მოწყობილობათა უნებართვოდ დამზადება და გამოყენება

რადიოგადამცემ მოწყობილობათა უნებართვოდ დამზადება და გამოყენება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე გადამცემი მოწყობილობის კონფისკაციით.

მუხლი 143. კავშირგაბმულობის ხაზებისა და ნაგებობების დაცვის წესების დარღვევა

კავშირგაბმულობის ხაზებისა და ნაგებობების დაცვის წესების დარღვევა, აგრეთვე კავშირგაბმულობის სახაზო და საკაბელო ნაგებობების დაზიანება, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 144. ტაქსოფონების, სატელეფონო კაბინების, საფოსტო და მონეტების დასახურდავებელი ავტომატების, სატელეფონო გამანაწილებელი კარადებისა და სააბონენტო მოწყობილობათა დაზიანება, აგრეთვე ტელეფონების თვითნებური ჩართვა

ტაქსოფონების, სატელეფონო კაბინების, საფოსტო და მონეტების დასახურდავებელი ავტომატების, სატელეფონო გამანაწილებელი კარადებისა და სააბონენტო მოწყობილობათა დაზიანება, აგრეთვე მოქმედ აბონენტთა ხაზში ტელეფონების თვითნებური ჩართვა, -

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 144[1]. მაუწყებლობის სფეროში ულიცენზიოდ ან/და ავტორიზაციის გარეშე საქმიანობა ან მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის გარეშე საქმიანობა ან ულიცენზიოდ, ნებართვის ან მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობა (სათაური (22.05.2012. N6256)

1. მაუწყებლობის სფეროში ულიცენზიოდ ან/და ავტორიზაციის გარეშე საქმიანობა ან მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის გარეშე საქმიანობა ან ულიცენზიოდ, ნებართვის ან მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით. (22.05.2012. N6256)

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი მესამედ და მეტჯერ, –

გამოიწვევს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დაჯარიმებას 50 000 ლარის

ოდენობით.

4. იგივე ქმედება, ჩადენილი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განმეორებით, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

მუხლი $144^2$. ამოღებულია *(23.12.2004 N 783)*

მუხლი $144^3$. რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების დაპროექტების, წარმოების, მშენებლობის, გამოყენების, ექსპლუატაციის, უცხო ქვეყნიდან შემოტანისა და რეალიზაციის წესების დარღვევა

რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების დაპროექტება, წარმოება, მშენებლობა, გამოყენება, ექსპლუატაცია, უცხო ქვეყნიდან შემოტანა და რეალიზაცია საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ გაცემული სათანადო ნებართვის გარეშე,

გამოიწვევს დადარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.

მუხლი $144^4$. რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების დამონტაჟებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევა

საცხოვრებელ ადგილებში ისეთი რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების დამონტაჟება და ექსპლუატაცია, რომლებიც არ შეესაბამება ამ საშუალებებისა და მოწყობილობებისათვის დადგენილ ტექნიკური ექსპლუატაციის ნორმებს და საზიანოა მოსახლეობის დანმრთელობისათვის,

გამოიწვევს დადარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

მუხლი $144^5$. რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებით მომუშავე კავშირგაბმულობის საშუალებების რეგისტრაციაში გაუტარებლობა

რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებით მომუშავე კავშირგაბმულობის საშუალებების, რომლებიც ელექტრომაგნიტური გამოსხივების წყაროებია, საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში რეგისტრაციაში გაუტარებლობა,

გამოიწვევს დადარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 144⁶. ამოღებულია *(23.12.2004 N 783)*

მუხლი 144⁷. ამოღებულია *(23.12.2004 N 783)*

მუხლი 144⁸. ამოღებულია *(23.12.2004 N 783)*

მუხლი 144⁹. ამოღებულია *(23.12.2004 N 783)*

მუხლი 144¹⁰. ფილმის დემონსტრატორის მიერ ფილმის (მათ შორის, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების) კინოდარბაზში ჩვენება პირველადი წარმოების ენაზე, საქართველოს სახელმწიფო ენაზე სავალდებულო სუბტიტრირების ან გახმოვანების პირობის დაუცველად, ანდა ფილმის არაპირველადი წარმოების ენაზე ჩვენება *(18.06.2010. N3116 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.)*

1. ფილმის დემონსტრატორის მიერ ფილმის (მათ შორის, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების) კინოდარბაზში ჩვენება პირველადი წარმოების ენაზე, საქართველოს სახელმწიფო ენაზე სავალდებულო სუბტიტრირების ან გახმოვანების პირობის დაუცველად, ანდა ფილმის არაპირველადი წარმოების ენაზე ჩვენება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი მესამედ ან მეტჯერ, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

## თავი XI

## ადმინისტრაციული სამართალდარღვევები მოქალაქეთა საბინაო უფლებების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში

მუხლი 145. აღრიცხვაზე აყვანის და საცხოვრებელ სახლებსა და საცხოვრებელ სადგომებში შესახლების წესების დარღვევა

თანამდებობის პირთა მიერ საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანის, აღრიცხვიდან მოხსნისა და მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესის, საცხოვრებელ სახლებსა და საცხოვრებელ სადგომებში შესახლების დადგენილი ვადების დაუცველობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე. *(17.03.2007 N 436)*

მუხლი 146. ამოღებულია (29.12.2006. N4283)

მუხლი 146[1]. დასუფთავების წესების დარღვევა (12.11.2010. N3807)

1. ქვეითად მოსიარულის მიერ ან ავტოსატრანსპორტო საშუალების სალონიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გზაზე დაყრა –

გამოიწვევს ქვეითად მოსიარულის ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსი, სამარშრუტო ტაქსი (მიკროავტობუსი)) შემთხვევაში –სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

1[1]. ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაგდება, დატოვება ან დაყრა –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 500 ლარის ოდენობით. (15.12.2010. N4035)

2. სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების, უვარგისი კონსტრუქციების, მასალების, ნივთების, მიწისა და კლდოვანი ქანების გზებზე, მდინარეებში, ტბებში და მათ ნაპირებზე, ფერდობებსა და ხევებში, პარკებში, ბაღებში, სკვერებში, გაზონებში, ეზოებში, სპორტულ მოედნებზე, ავტოსადგომებთან, ბაზრებთან ან სხვა ადგილებში დაყრა, ნარჩენებისა და ნაგვის გატანის, გატანა-გადაზიდვისა და დასუფთავების წესების დარღვევა –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 1 000 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 3 000 ლარის ოდენობით.

4. იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების გატანაზე ხელშეკრულების გაუფორმებლობა ნარჩენების გამტან საწარმოებთან (შესაბამისი მუნიციპალიტეტის სათანადო დასახლებაში ნარჩენების გამტანი საწარმოების მომსახურების არსებობის შემთხვევაში) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამოღებულია (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

მუხლი 146[2]. დედაქალაქის ტერიტორიაზე დასუფთავების წესების დარღვევა *(3.06.2011. N4735 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.)*

1. ქვეითად მოსიარულის მიერ ან ავტოსატრანსპორტო საშუალების

სალონიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების დედაქალაქის ტერიტორიაზე გადაგდება, დატოვება, დაყრა ან სხვა ტიპის ქმედება –

გამოიწვევს ქვეითად მოსიარულის ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსი, სამარშრუტო ტაქსი (მიკროავტობუსი)) შემთხვევაში – სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

2. სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების, უვარგისი კონსტრუქციების, მასალების, ნივთების, მიწისა და კლდოვანი ქანების გზებზე, მდინარეებში, ტბებში და მათ ნაპირებზე, ფერდობებზე, ხევებში, პარკებში, ბაღებში, სკვერებში, გაზონებზე, ეზოებში, სპორტულ მოედნებზე, ავტოსადგომებთან, ბაზრებთან ან სხვა ადგილებში დაყრა, ნარჩენებისა და ნაგვის გატანის, გადატანა-გადაზიდვისა და დასუფთავების წესების დარღვევა –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 1 000 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 3 000 ლარის ოდენობით.

4. იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების გატანაზე ხელშეკრულების გაუფორმებლობა ნარჩენების გამტან საწარმოებთან –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (საზოგადოებრივი ტრანსპორტის გარდა) სალონიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გზაზე დაყრის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე დაჯარიმების უფლებამოსილების მქონე პირმა ადგილზე არ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი (საჯარიმო ქვითარი) ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლს არ შეუფარდა ადმინისტრაციული სახდელი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ეს ფაქტი დაფიქსირებულია ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება გაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

მუხლი 147. ამოღებულია *(22.06.2001 N994)*

„მუხლი $147^{1}$. ამოღებულია (29.12.2006. N4283)

მუხლი $147^{2}$. ამოღებულია *(22.06.2001 N994)*

მუხლი 148. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევა

1. ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევა, აგრეთვე ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესების დაუცველობა, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის მიმაგრებული ან/და მიმდებარე ტერიტორიის მოუვლელობა, მასზე სამშენებლო ან სხვა ნარჩენების თვითნებური დაყრა, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 1 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 5 000 ლარის ოდენობით.

3. თვითმმართველი ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესების დარღვევით თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა, გარდა პირუტყვის მესაკუთრის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა, –

გამოიწვევს წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრის დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით. (15.12.2010. N4035)

4. ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა –

გამოიწვევს წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. (15.12.2010. N4035)

შენიშვნა: (15.12.2010. N4035)

1. ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვი იმყოფება მეთვალყურეობის გარეშე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი პირუტყვს გადაიყვანს სპეციალურ ადგილზე და ამ მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომამდე განახორციელებს მის მოვლა-პატრონობას. მესაკუთრეს პირუტყვი დაუბრუნდება მხოლოდ ჯარიმის, მისი სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

2. სამართალდამრღვევის მიერ ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით

დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მისთვის დაკისრებული ჯარიმისა და პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ხდება პირუტყვის რეალიზება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (15.05.2012. N6173)

მუხლი 149. სასმელი წყლის უკანონო მოხმარება და წყალარინების ქსლით უკანონო სარგებლობა *(16.07.2010 N 3448 ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან)*

1. სასმელი წყლის უკანონო მოხმარება, აგრეთვე წყალარინების ქსლით უკანონო სარგებლობა –

გამოიწვევს გაფრთხილებას.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას – 15 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 150. თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება

1. სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ღობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2[1]. სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულება ადმინისტრაციული ორგანოების შენობათა ფასადებზე, აგრეთვე მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილზე, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. (17.07.2009. N1505)

2[2]. ამ მუხლის 2[1] ნაწილით გათვალისწინებული ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით ან, თუ საქმის გარემოებათა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, – ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე ვადით.(17.07.2009. N1505)

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. *(8.05.2007 N4713)*

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 10 დღის ვადაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლის $2^2$ ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით. (1.07.2011. N5018)

მუხლი $150^1$. თვითმმართველი ერთეულის იერსახის თვითნებური შეცვლა

1. თვითმმართველი ერთეულის იერსახის თვითნებური შეცვლა, მათ შორის, შენობა-ნაგებობის ფერის შეცვლა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით. *(8.05.2007 N4713)*

3. სავენტილაციო სისტემის, ბანკომატის, სარეცხის საშრობის, გისოსების, ჯიხურების, დახლების ან/და სხვა მსუბუქი კონსტრუქციის თვითნებური მონტაჟი ან/და განთავსება, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 1 000 ლარის ოდენობით.

4. იგივე ქმედება, ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით. *(8.05.2007 N4713)*

5. ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 20 დღის ვადაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 151. თვითმმართველი ერთეულის მწვანე ნარგავების დაზიანება ან/და თვითნებური განადგურება

1. თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწაზე მწვანე ნარგავების დაზიანება ან/და თვითნებური მოჭრა, ან გამწვანებისათვის გამოყოფილი ზოლის დაზიანება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით. (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით. (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

3. თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში მწვანე ნარგავების შინაური ცხოველის მიერ დაზიანება ან/და განადგურება –

გამოიწვევს შინაური ცხოველის მესაკუთრის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. (15.12.2010. N4035)

შენიშვნა: (15.12.2010. N4035)

1. ჯარიმის გადახდა შინაური ცხოველის მესაკუთრეს არ ათავისუფლებს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

2. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ შინაური ცხოველი იმყოფება მეთვალყურეობის გარეშე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი შინაურ ცხოველს გადაიყვანს სპეციალურ ადგილზე და ამ მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომამდე განახორციელებს მის მოვლა-პატრონობას. მესაკუთრეს შინაური ცხოველი დაუბრუნდება მხოლოდ ჯარიმის, მისი სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

3. სამართალდამრღვევის მიერ ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მისთვის დაკისრებული ჯარიმისა და პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ხდება პირუტყვის რეალიზება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (15.05.2012. N6173)

მუხლი 151[1]. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაზიანება, თვითნებური გაჩეხვა ან/და გადატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-აღდგენის წესების დარღვევა (15.12.2010. N4067)

1. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაზიანება, თვითნებური გაჩეხვა ან/და გადატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-აღდგენის წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის და იარაღის კონფისკაციით ან მის გარეშე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის და იარაღის კონფისკაციით ან მის გარეშე.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, სამართალდამრღვევი პირის მიერ უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს, სამართალდარღვევის ფაქტის განგრძობადობის აღკვეთის ან სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით მიმართოს პოლიციას.

2. დაუმორჩილებლობა გულისხმობს სამართალდამრღვევი პირის მიერ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემების წარუდგენლობას, სამართალდარღვევის ფაქტის განგრძობადობის აღკვეთის ან სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით მიცემული სიტყვიერი მითითების

შეუსრულებლობას.

3. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი ჩადენილი სამართალდარღვევისათვის ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (22.03.2011. N4464 ამოქმედდეს 2011 წლის 16 აპრილიდან.)

მუხლი 152. ტერიტორიის დაზიანება სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას

1. ეზოების, ქუჩებისა და მოედნების თვითნებური გადათხრა, მათი სამშენებლო მასალებით ჩახერგვა, გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 1 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარით, იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას 3 000 ლარით. *(8.05.2007 N4713)*

3. ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 10 დღის ვადაში, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 3 000 ლარის ოდენობით. (29.12.2006. N4283)

**მუხლი 152[1]. ამოღებულია (29.12.2006. N4283)**

მუხლი 152[2]. საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის თვითნებური შეზღუდვა

1. საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის თვითნებური შეზღუდვა, –

გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიულ პირთა დაჯარიმებას – 2 000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 20 დღის ვადაში, –

გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიულ პირთა დაჯარიმებას – 4 000 ლარის ოდენობით. (29.12.2006. N4283)

მუხლი 152[3]. ქ. თბილისის ტერიტორიის დაზიანება სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას *(22.03.2011. N4464 ამოქმედდეს 2011 წლის 16 აპრილიდან.)*

1. ქ. თბილისის ტერიტორიაზე ეზოების, სკვერების, ქუჩებისა და მოედნების თვითნებური გადათხრა, სამშენებლო მასალებით მათი ჩახერგვა, გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება ან/და უფლებამოსილი ორგანოს მიერ სამუშაოების წარმოებისთვის დადგენილი პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 4000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი ჩადენილი სამართალდარღვევისათვის ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი XII
## ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ვაჭრობისა და ფინანსების დარგში

მუხლი 153. მეწარმე სუბიექტების მიერ ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევა

1. მეწარმე სუბიექტების მიერ ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე.

2. ამოღებული *(29.06.2007 N 5116)*

3. ამოღებულია *(03.06.2005 N 1555)*

4. ამოღებულია *(03.06.2005 N 1555)*

5. ამოღებულია *(03.06.2005 N 1555)*

*(საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 ივნისის კანონი _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991წ., N6, მუხ. 429;*

*საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი N436 _ საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., N16, მუხ. 308;*

*საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის კანონი N313 _ პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., N19-20, გვ.*

*32;*

*საქართველოს1996 წლის 27 ნოემბრის კანონი N508 _ პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., N31-32/6, გვ. 4;*

*საქართველოს 1999 წლის 9 ივნისის კანონი N2070 – სსმ I, 1999 წ., N24(31), მუხ. 109;*

*საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი N2382 – სსმ I, 1999 წ., N43(50), მუხ. 221;*

*საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი N2382 – სსმ I, 1999 წ., N43(50), მუხ. 221)*

მუხლი 153[1]. საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევა *(1.07.2011. N5004 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღე).*

1. საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევა, მათ შორის, ანგარიშსწორების პროცესში უცხოური ვალუტის გამოყენება (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებისა ან/და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა) –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 400 ლარის ოდენობით.

2. მეწარმე სუბიექტის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების გადასახდელად ვარგისობის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და მათი მიღება-გამოცვლის წესის დარღვევა –

გამოიწვევს ინდივიდუალური მეწარმის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 400 ლარის ოდენობით.

3. მეწარმე სუბიექტის მიერ მომხმარებელთან ანგარიშსწორების ერთი თეთრის სიზუსტით განუხორციელებლობა –

გამოიწვევს ინდივიდუალური მეწარმის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 400 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლის პირველი ნაწილი არ ვრცელდება საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებზე.

მუხლი 153[2]. ამოღებულია *(29.12.2004 N 923)*

მუხლი 153[3]. გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე (28.04.2006. N2962)

1. გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე, –

გამოიწვევს ფიზიკური ან/და იურიდიული პირის დაჯარიმებას 20-დან 50 ლარამდე ოდენობით სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

2. იგივე ქმედება, რომელიც დაკავშირებულია სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასთან, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50-დან 100 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით სამართალდარღვევის საგნის

კონფისკაციით.

შენიშვნა:(20.05.2011. N4708 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.)

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დარღვევის დადგენილ ვადაში აღმოუფხვრელობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ამ კოდექსის $36^{1}$ მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი $153^{4}$. გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევა და გარე რეკლამის განთავსება შესაბამისი ნებართვის გარეშე *(5.12.2008 N 630)*

1. გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

2. გარე რეკლამის განთავსება შესაბამისი ნებართვის გარეშე, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, უკანონო გარე რეკლამის საშუალების კონფისკაციით.

შენიშვნა:

ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სახდელის დადების შემდეგ ნებართვის მფლობელის მიერ დადგენილ ვადაში სანებართვო პირობების დარღვევის აღმოუფხვრელობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ამ კოდექსის $36^{1}$ მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი$153^{5}$. ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუცირების წესის დარღვევა (1.07.2011. N5004 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღე).

ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუცირების წესის დარღვევა –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 3000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: კონფისკებული რეპროდუქციები გადაეცემა საქართველოს ეროვნულ ბანკს.

მუხლი $153^{6}$. ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე (11.10.2011. N5097)

1. ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე –

გამოიწვევს ფიზიკური ან/და იურიდიული პირის დაჯარიმებას 20 ლარით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

2. იგივე ქმედება, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი ორგანოს

უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასთან, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა განმეორებით –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

შენიშვნა:

1. ამ კოდექსის 22-ე მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება და სამართალდამრღვევი პირის მიმართ სიტყვიერი შენიშვნის გამოყენება არ ათავისუფლებს პირს სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციისაგან.

2. დაუმორჩილებლობა გულისხმობს სამართალდამრღვევი პირის მიერ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემების წარუდგენლობას, სამართალდარღვევის ფაქტის განგრძობადობის აღკვეთის მიზნით მიცემული სიტყვიერი მითითების შეუსრულებლობას.

3. თუ ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის აღმოჩენისას ვერ დგინდება სამართალდამრღვევი პირი, სამართალდარღვევის საგნები ექვემდებარება კონფისკაციას.

4. სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესს ადგენს ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო.

მუხლი 154. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ სასურსათო და არასასურსათო პროდუქციით ვაჭრობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევა

ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ სასურსათო და არასასურსათო პროდუქციით ვაჭრობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათი მინიმალური ოდენობით.

*(04.07.2002 N1621)*

მუხლი 154[1]. პურპროდუქტებით უზრუნველყოფის სისტემის რეორგანიზაციის დადგენილი წესების დარღვევა

პურპროდუქტებით ქვეყნის უზრუნველყოფის სისტემის რეორგანიზაციის დადგენილი წესების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ასიდან ხუთას მინიმალურ ოდენობამდე.

პურპროდუქტების საწარმოებში სავაჭრო ობიექტებში პროდუქციის შესყიდვის, წარმოების ან რეალიზაციის წესების დარღვევა, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ასიდან ორას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 154$^{2}$. პურპროდუქტების საწარმოების მუშაობის უწყვეტი ციკლის დარღვევა

პურპროდუქტების საწარმოების მუშაობის უწყვეტი ციკლის დარღვევა ან ამ საწარმოების რეორგანიზაცია, ანდა სხვა სახის საქმიანობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს პურპროდუქტების წარმოების უწყვეტი ციკლის დარღვევა ან შეწყვეტა, აგრეთვე სხვა სახის საქმიანობა, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას პურპროდუქტების წარმოების დადგენილ წესს, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთი ათასიდან ათი ათას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 154$^{3}$. ამოღებულია (8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

მუხლი 155. სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკების მიერ არყით და სხვა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 155$^{1}$. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების რეალიზაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის წესების დარღვევა *(23.06.2005 N 1753)*

1. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატებით ვაჭრობა არასტაციონარული სავაჭრო ობიექტებიდან, აგრეთვე ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების რეალიზაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის წესების სხვაგვარი დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი დიდი ოდენობით ან ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 30 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლით დიდ ოდენობად ითვლება ნავთობის მსუბუქი, საშუალო

და მძიმე დისტილატების 200 ლიტრზე მეტი რაოდენობა, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – 2000 ლიტრზე მეტი რაოდენობა.

*(2000 წლის 5 მაისის საქართველოს კანონი, საკანონმდებლო მაცნე I, 2000წ, N18, მუხლი 47).*

მუხლი 155[2]. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია და გადაზიდვა (15.12.2009. N2349 )

1. აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ორი ათას ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით 30 დღემდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათი ათასი ლარის ოდენობით, ხოლო თუ საქმის გარემოებათა მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომის გამოყენება საკმარისად არ ჩაითვლება, – ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით 60 დღემდე, სამართალდარღვევის საგნის, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალებების კონფისკაციით ან კონფისკაციის გარეშე.

მუხლი 155[3]. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა

1. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია იმ სავაჭრო ობიექტში, სადაც წარმოებს ბავშვთა ტანსაცმლისა და სათამაშოების რეალიზაცია, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასი ლარით.

2. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, სკოლაში, 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში და მათი კუთვნილი ტერიტორიებიდან 50 მეტრის დაშორებით, აგრეთვე ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათი ლარით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოცდაათი ლარით.

4. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია 18 წლამდე ასაკის პირზე, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასი ლარით.

5. სიგარეტის ღერების, ერთეული შეფუთვის (კოლოფის) რეალიზაცია, თუ მასში სიგარეტის 20 ღერზე ნაკლებია, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათი ლარით.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი

განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, – გამოიწვევს დაჯარიმებას ორასი ლარით.

მუხლი 155[4]. ფართო მოხმარების საქონლის, ტანსაცმლის, სპორტული ინვენტარის, სათამაშოების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და კვების პროდუქტების რეალიზაციის წესების დარღვევა

1. ფართო მოხმარების საქონლის, ტანსაცმლის, სპორტული ინვენტარის, სათამაშოების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და კვების პროდუქტების რეალიზაციისას „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული თამბაქოს პროდუქციის (გარდა მოწევასთან დაკავშირებული აქსესუარებისა) რეკლამა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათი ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოცდაათი ლარით.

მუხლი 155[5]. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციის ადგილებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილებისაგან და თამბაქოზე უარის თქმის მსურველთათვის კონსულტაციის მისაღებად საკონტაქტო ტელეფონის განთავსებისაგან თავის არიდება

თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციის ადგილებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილებისაგან და თამბაქოზე უარის თქმის მსურველთათვის კონსულტაციის მისაღებად საკონტაქტო ტელეფონის განთავსებისაგან თავის არიდება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასი ლარით.

მუხლი 155[6]. თამბაქოს პროდუქციის დიზაინის დარღვევა

1. „თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლით დადგენილი თამბაქოს პროდუქციის დიზაინის დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 800 ლარის ოდენობით. (17.12.2010. N4126)

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათას ხუთასი ლარით. *(5.12.2003 N 3136)*

მუხლი 156. ცეცხლსასროლი გლუვლულიანი სანადირო თოფის გაყიდვის წესების დარღვევა

სავაჭრო საწარმოების (ორგანიზაციების) მუშაკთა მიერ ცეცხლსასროლი გლუვლულიანი სანადირო თოფის და მისი საბრძოლო მასალების მიყიდვა იმ მოქალაქეების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგნიზაციებისათვის, რომელთაც არა აქვთ შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში ასეთივე დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 157. იმ ჰუმანური დახმარების პროდუქციის გაყიდვა, რომელიც განკუთვნილი იყო უფასოდ გასაცემად

კომერციულ სტრუქტურებში (მიუხედავად მათი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა) იმ ჰუმანური დახმარების პროდუქციის გაყიდვა, რომელიც განკუთვნილი იყო მოქალაქეებისა ან იურიდიული პირებისათვის გასაცემად, -

გამოიწვევს დაჯარიმებას პროდუქციაზე დადებული ფასის ხუთმაგი ოდენობით, ამ პროდუქციის კონფისკაციით, ხოლო თუ საქმის გარემოებათა მიხედვით დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომების გამოყენება საკმარისად არ ჩაითვლება, -

ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით ოცდაათ დღემდე.

მუხლი 157[1]. საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელის და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევა *(23.06.2005 N 1732)*

1. შემოსავლის მიღების მიზნით ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის უკანონო რეპროდუცირება ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლა, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად მათი კონტრაფაქციული ასლების არამართლზომიერი შეძენა, იმპორტი, შენახვა, გაყიდვა, გაქირავება ან სხვა უკანონო გზით გამოყენება, აგრეთვე, შემოსავლის მიღების მიზნით საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელის და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების სხვა დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან სამი ათას ლარამდე კონტრაფაქციული ასლების, აგრეთვე, იმ მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით, რომლებიც გამოიყენება მათი რეპროდუცირებისათვის ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლისთვის.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან ხუთი ათას ლარამდე კონტრაფაქციული ასლების და, აგრეთვე, იმ მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით, რომლებიც გამოიყენება მათი რეპროდუცირებისათვის ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლისთვის.

შენიშვნა: კონფისკებული კონტრაფაქციული ასლები, მათი რეპროდუცირების ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლისთვის საჭირო მასალები, მოწყობილობები და ტექნიკური საშუალებები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გადაეცემა საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელს ან მონაცემთა ბაზის დამამზადებელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

### მუხლი 157[2]. ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე მითითებული უფლების მართვის ინფორმაციის შეცვლა, განადგურება ან გაყალბება *(23.06.2005 N 1732)*

1. ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე მითითებული „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „უფლების მართვის ინფორმაციის“ უკანონო შეცვლა, განადგურება ან გაყალბება რასაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლების, აგრეთვე, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლების, აგრეთვე, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით.

შენიშვნა: კონფისკებული კონტრაფაქციული ასლები, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალები, მოწყობილობები და ტექნიკური საშუალებები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გადაეცემა საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელს ან მონაცემთა ბაზის დამამზადებელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

### მუხლი 157[3]. ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის (აღნიშვნის) შეცვლა ან განადგურება *(23.06.2005 N 1732)*

1. ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის (აღნიშვნის) უკანონო შეცვლა ან განადგურება –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებისა და, აგრეთვე, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან ხუთი ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლების, აგრეთვე, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით.

შენიშვნა: კონფისკებული კონტრაფაქციული ასლები, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალები, მოწყობილობები და ტექნიკური საშუალებები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გადაეცემა საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელს ან მონაცემთა ბაზის დამამზადებელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 157[4]. „საქპატენტში“ პატენტზე ან დიზაინის რეგისტრაციაზე წარდგენილი განაცხადის არსის განზრახ გამჟღავნება (4.05.2010. N3034)

1. „საქპატენტში“ პატენტზე ან დიზაინის რეგისტრაციაზე წარდგენილი განაცხადის არსის განზრახ გამჟღავნება (გარდა განმცხადებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ გამჟღავნებისა) „საქპატენტის“ მიერ ოფიციალურ ბიულეტენში მის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებამდე –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში –

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან ხუთი ათას ლარამდე.

მუხლი 158. სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის უკანონო გამოყენება *(23.06.2005 N 1732)*

1. სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო დამზადება ან მათი სხვაგვარი უკანონო გამოყენება, აგრეთვე, სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებით უკანონოდ ნიშანდებული (მარკირებული) საქონლის წარმოება ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე, საქონლისა და მისი დამზადებისათვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობების კონფისკაციით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე, საქონლისა და მისი დამზადებისათვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობების კონფისკაციით.

**შენიშვნა:** სასაქონლო (მომსახურების) ნიშნით, საქონლის ადგილ-წარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებით უკანონოდ ნიშანდებული (მარკირებული) საქონელი ექვემდებარება ჩამორთმევას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის გადაეცემა უფლების მფლობელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო მისი დამზადებისათვის საჭირო მასალები და მოწყობილობები ექვემდებარება

განადგურებას.

მუხლი $158^1$. მომხმარებლის უფლებების შელახვა

მომხმარებლის უფლებების განზრახ შელახვა, რასაც მოჰყვა ქონებრივი ზარალი, -გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი $158^2$. ამოღებულია *(5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)*

მუხლი 159. რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და

გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა (რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის და აბრის დაკვეთისა და განთავსებისათვის დადგენილი წესების დარღვევა *(სათაური 28.05.2013 N 618 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან)*)

1. რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 3 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით. *(29.12.2006. N4283)*

3. აბრის დაკვეთისა და განთავსებისათვის დადგენილი წესების დარღვევა –

გამოიწვევს ფიზიკური და იურიდიული პირების გაფრთხილებას. *(28.05.2013 N 618 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან)*

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაში გაფრთხილების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისას – 300 ლარის ოდენობით. *(28.05.2013 N 618 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან)*

მუხლი $159^1$. არასათანადო რეკლამის განთავსება (გავრცელება)

არასათანადო რეკლამის განთავსება (გავრცელება), -

გამოიწვევს ფიზიკური პირების დაჯარიმებას განთავსებული (გავრცელებული) რეკლამის სრული ღირებულების ოთხმაგი ოდენობით, იურიდიული პირებისა და დაწესებულებებისა _ განთავსებული (გავრცელებული) რეკლამის სრული ღირებულების შვიდმაგი ოდენობით.

მუხლი 159$^{2}$. ამოღებულ იქნეს *(8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

მუხლი 159$^{3}$. ამოღებულ იქნეს *(8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

მუხლი 159$^{4}$. ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების რეკლამა

ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტების, საწოვრიანი ბოთლებისა და სატყუარების ნებისმიერი სახის რეკლამა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორას ორმოცდაათიდან ხუთას ლარამდე.

იგივე მოქმედება, განმეორებით ჩადენილი ერთი წლის განმავლობაში, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან შვიდას ლარამდე.

მუხლი 159$^{5}$. სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალების არასწორად შერჩევა ან სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა (20.11.2009. N2109 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალების არასწორად შერჩევა ტენდერის ან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესყიდვის სხვა საშუალებების თავიდან აცილების მიზნით, ან სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა შესყიდვის განხორციელების საშუალებების იმ მონეტარული (ფულადი) ზღვრების თავიდან აცილების მიზნით, რომლებიც დადგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით, –

გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

მუხლი 159$^{6}$. სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესების დარღვევა (20.11.2009. N2109 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის საშუალებით ან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესყიდვის სხვა საშუალებებით განხორციელებისას განცხადების ან სატენდერო დოკუმენტაციის არასწორად შედგენა –

გამოიწვევს სატენდერო კომისიის შესაბამისი წევრის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

2. სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების, საკვალიფიკაციო შერჩევისა და პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების არასათანადოდ (ტენდენციურად) შეფასება –

გამოიწვევს სატენდერო კომისიის შესაბამისი წევრის დაჯარიმებას 1500 ლარის

ოდენობით.

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების წესების დარღვევა –

გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის (სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო კომისიის მიერ განხორციელებისას –სატენდერო კომისიის შესაბამისი წევრის) დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

მუხლი 159⁷. სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილების პირობებისა და წესების დარღვევა *(20.11.2009. N2109 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილების პირობებისა და წესების დარღვევა –

გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი თანამდებობის პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

მუხლი 159⁸. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა (8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული დავის ადმინისტრაციული წესით განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის (სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო კომისიის მიერ განხორციელებისას – სატენდერო კომისიის შესაბამისი წევრის) დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

მუხლი 159⁹. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის მიუწოდებლობა ან ყალბი ინფორმაციის მიწოდება (8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით ან შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი ინფორმაციის მიუწოდებლობა ან ყალბი ინფორმაციის მიწოდება –

გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის დაჯარიმებას 1500 ლარის

ოდენობით.

მუხლი 159[10]. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილ ნივთიერებათა პოპულარიზაცია ან რეკლამა ან მათი შექმნის, მოხმარების, გამოყენებისა და შეძენის ადგილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ოდენობით. (22.05.2012. N6246 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილ ნივთიერებათა პოპულარიზაცია ან რეკლამა ან მათი შექმნის, მოხმარების, გამოყენებისა და შეძენის ადგილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ფიზიკური პირის მიერ –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი იურიდიული პირის მიერ, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის

მუხლი 160. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.1280*

მუხლი 161. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.1280)*

მუხლი 162. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.1280)*

მუხლი 163. სერტიფიკატის გაცემის წესების დარღვევა

სერტიფიკატის გაცემის წესების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების სამასიდან ხუთას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 164. სამეწარმეო საქმიანობის წესის დარღვევა (8.11.2011. N5202 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. აკრძალული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ან უნებართვოდ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას) საჭიროებს, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ოთხასიდან ხუთას ლარამდე.

2. მეურნე სუბიექტების საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში მათ მიერ სავაჭრო ოპერაციების (მომსახურების) განხორციელება –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების შვიდასი მინიმალური ოდენობით.

მუხლი $164^{1}$. ამოღებულია *(29.12.2004 N 923)*

მუხლი $164^{2}$. ამოღებულია *(29.12.2004 N 923)*

მუხლი $164^{3}$. ამოღებულია *(29.12.2004 N 923)*

მუხლი $164^{4}$. სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირთა მოთხოვნებისა და მითითებების შეუსრულებლობა

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების და მათი თანადებობის პირთა მოთხოვნების შეუსრულებლობა გადასახადებისა და სხვა გადასახდელების გაანგარიშებისა და ბიუჯეტში გადახდის საკითხებზე, აგრეთვე გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრაზე, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან სამოცდაათ ლარამდე.

ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შორის სავალუტო ანგარიშზე) შესრულებული (შესასრულებელი) ოპერაციებისა და არსებული ფულად სახსრების შესამოწმებლად სახელმწიფო საგადასახადო ოგანოების მუშაკთა დაუშვებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ასოცდაათ ლარამდე.

ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მოთხოვნის შესაბამისად გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შორის სავალუტო ანგარიშზე) გასულ საანგარიშო პერიოდში შესრულებული ოპერაციებისა და ამ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების შესახებ მონაცემების წარუდგენლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ასორმოცდაათიდან ასოთხმოც ლარამდე.

ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებიდან (მათ შორის სავალუტო ანგარიშიდან) ფულად სახსრების გაცემის, გადარიცხვისა და ჩამოწერის ოპერაციების შეჩერების შესახებ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მითითების შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან ორასორმოცდაათ ლარამდე.

$164^{5}$ მუხლი. კვების პროდუქტების უკანონო წარმოება *(09.12.2004 N 662)*

1. ალკოჰოლიანი სასმელებისა და ეთილის სპირტის წარმოების სფეროში ლიცენზიის გარეშე საქმიანობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორი ათასი ლარით.

2. ლუდის, უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის, მათ შორის, მინერალური

წყლის, სასაქონლო პროდუქციის წარმოების სფეროში ლიცენზიის გარეშე საქმიანობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორი ათასი ლარით.

3. ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოების სფეროში ლიცენზიის გარეშე საქმიანობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით. (17.12.2010. N4126)

4. ყველა სხვა სახის კვების პროდუქტების წარმოება ლიცენზიის გარეშე, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასი ლარით.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორი ათასი ლარით.

მუხლი 165. საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების გახსნის წესის დარღვევა და ბიუჯეტში თანხების გადარიცხვაზე დავალებების შეუსრულებლობა

ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ საგადასახადო ორგანოებში აღრიცხვაზე აყვანის დამადასტურებეი დოკუმენტების წარუდგენლად გადამხდელთათვის საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების გახსნა და ანგარიშების გახსნის შესახებ საგადასახადო ორგანოებში ინფორმაციის წარუდგენლობა, აგრეთვე ბიუჯეტში თანხების გადარიცხვაზე საგადასახადო დავალებების (განკარგულებების) მიუღებლობა და მიღებული საგადასახადო დავალებების (განკარგულებების) უწინარესად შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ასოცდაათ ლარამდე.

მუხლი 165[1]. გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორად გადახდევინება

სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორად გადახდევინება და გადამხდელთათვის ზარალის მიყენება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ასოცდაათ ლარამდე.

მუხლი 165[2]. წიაღით სარგებლობის გადასახადისაგან თავის არიდება

წიაღით სარგებლობის გადასახადისაგან თავის არიდება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას რვაასიდან ათას ლარამდე.

მუხლი 165[3]. ცენტრალური ბიუჯეტიდან ან სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდიდან გამოყოფილი, ანდა ცენტრალური ბიუჯეტის ან სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდის კუთვნილი ფულადი სახსრების გადარიცხვისა და გაცემის დაგვიანება

ცენტრალური, საგანგებო ან საქართველოს ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტიდან, ანდა სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდიდან მნიშვნელოვანი

სოციალური ღონისძიებების, სხვა მიზნობრივი პროგრამის დასაფინანსებლად ან სხვა სპეციალური დანიშნულებით გამოყოფილი, ანდა ცენტრალური, საგანგებო ან საქართველოს ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტის ანდა სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდის კუთვნილი ფულად სახსრების დანიშნულებისამებრ გადარიცხვის, გადაგზავნის, განაწილების ან გაცემის არასაპატიო მიზეზით დაგვიანება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას რვაასიდან ათას ლარამდე.

მუხლი $165^4$. ამოღებულია (1.07.2011. N5004 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღე).

მუხლი $165^5$. ამოღებულია (1.07.2011. N5004 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღე).

მუხლი $165^6$. ამოღებულია (1.07.2011. N5004 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღე).

მუხლი $165^7$. ამოღებულია (1.07.2011. N5004 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღე).

მუხლი $165^8$. ამოღებულია (1.07.2011. N5004 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღე).

მუხლი $165^9$. ამოღებულია (1.07.2011. N5004 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღე).

მუხლი $165^{10}$. საგადასახადო ანგარიშგების ვალდებულების დარღვევა (5.06.2012. N6395)

1. მოვალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშგების ვალდებულების დარღვევა –

იწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

## თავი XIII
## საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინსტრაციული სამართალდარღვევები

მუხლი 166. წვრილმანი ხულიგნობა

წვრილმანი ხულიგნობა, ესე იგი საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს,

–

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით ან, თუ საქმის გარემოებათა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, – ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით. (17.07.2009. N1505)

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს

ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით. (1.07.2011. N5018)

მუხლი 167. ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა დასახლებულ პუნქტებსა და საამისოდ გამოუყოფელ ადგილებში ან დადგენილი წესის დარღვევით

ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა დასახლებულ პუნქტებსა და საამისოდ გამოუყოფელ ადგილებში, აგრეთვე გამოყოფილ ადგილებში, მაგრამ დადგენილი წესის დარღვევით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 167[1]. ამოღებულია *(სართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 168. ამოღებულია *(სართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 168[1] ამოღებულია *(სართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 169. ამოღებულია *(სართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 170. არასრულწლოვანის დათრობა

მშობლების ან სხვა პირთა მიერ არასრულწლოვანის დათრობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 171. საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმა ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა

სპირტიანი სასმელების სმა ქუჩებში, სტადიონებზე, სკვერებში, პარკებში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა, სადაც სპირტიანი სასმელების

ჩამოსხმით გაყიდვა ნებადართულია მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ, ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფ მდგომარეობაში ყოფნა, -

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის ზომების გამოყენებიდან ერთი წლის განმავლობაში, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში ორჯერ დაედო ადმინისტრაციული სახდელი საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისათვის ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნისათვის, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოთხიდან რვა მინიმალურ ოდენობამდე ანდა გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ორ თვემდე, ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომების მიღება ჩაითვლება არასაკმარისად, -

ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით ოცდაათ დღე-ღამემდე.

საზოგადოებრივ ადგილებში თექვსმეტ წლამდე მოზარდების მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა, აგრეთვე მათ მიერ სპირტიანი სასმელების სმა, -

გამოიწვევს მშობლების ან მათი შემცვლელი პირების დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით. (1.07.2011. N5018)

მუხლი 171[1]. თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევა

1. საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მათ შორის, ავტობუსში, სამარშრუტო ტაქსიში, ტრამვაი-ტროლეიბუსში, მატარებელსა და საზღვაო ხომალდში, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულება-ორგანიზაციებისა და მასობრივი თავშეყრის ადგილის დახურულ შენობა-ნაგებობებში, საზოგადოებრივი კვების ობიექტში, სადაც აკრძალულია მაგარი სპირტიანი სასმელების რეალიზაცია და მოხმარება, თამბაქოს მოწევა საამისოდ გამოყოფილი სპეციალური ადგილის ფარგლებს გარეთ, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთი ლარით.

1. საჰაერო ხომალდში თამბაქოს მოწევა საამისოდ გამოყოფილი სპეციალური ადგილის ფარგლებს გარეთ, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასი ლარით.

3. სკოლამდელი აღზრდის, ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში, აგრეთვე 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში თამბაქოს მოწევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათი ლარით.

4. ყველა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მასობრივი თავშეყრის ადგილის დახურული შენობა-ნაგებობების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების მფლობელთა მიერ, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულება-ორგანიზაციების დახურული შენობა-ნაგებობების, სკოლამდელი აღზრდის, სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებების, 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილი დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ „თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განუხორციელებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. (17.12.2010. N4126)

5. ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათი ლარით.

მუხლი 171[2]. თამბაქოს ინდუსტრიის განმახორციელებელი პირის მიერ თამბაქოს პროდუქციის, თამბაქოს პროდუქციის მწარმოებელი ფირმის სასაქონლო ნიშნის ან ლოგოტიპის დემონსტრირება სამედიცინო ან/და სასწავლო ღონისძიებების ორგანიზებისას და ჩატარებისას

1. თამბაქოს ინდუსტრიის განმახორციელებელი პირის მიერ თამბაქოს პროდუქციის, თამბაქოს პროდუქციის მწარმოებელი ფირმის სასაქონლო ნიშნის ან ლოგოტიპის დემონსტრირება სამედიცინო ან/და სასწავლო ღონისძიებების ორგანიზებისას და ჩატარებისას, –

გამოიწვევს დაჯარიმებას სამასი ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასი ლარით.

მუხლი 171[3]. თვრამეტ წლამდე ასაკის პირის ჩაბმა თამბაქოს ინდუსტრიაში

1. თვრამეტ წლამდე ასაკის პირის ჩაბმა თამბაქოს ინდუსტრიაში,–

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასი ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასი ლარით. *(5.12.2003 N 3136)*

მუხლი 172. არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობა (22.05.2012. N6246 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. მშობლების ან მათი შემცვლელი პირების მიერ არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობა, არასრულწლოვნის მიერ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება ან მათ მიერ სხვა სამართალდარღვევის ჩადენა (საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა, სპირტიანი სასმელების მიღება) –

გამოიწვევს მშობლების ან მათ შემცვლელ პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

2. წვრილმანი ხულიგნობა ან ხულიგნობა, ჩადენილი თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე მოზარდის მიერ, –

გამოიწვევს მშობლების ან მათ შემცვლელ პირთა დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

3. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისათვის ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ფაქტების შესახებ შეუტყობინებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით.

მუხლი $172^{1}$. ამოღებულია

მუხლი $172^{2}$. ამოღებულია

მუხლი $172^{3}$. პროსტიტუცია

პროსტიტუცია, –

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

შენიშვნა: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $143^{1}$ ან/და $143^{2}$ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე დაზარალებულად ცნობილი პირი, თუ აღნიშნული ქმედება მათ ჩაიდინეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე. (28.04.2006. N2952)

მუხლი $172^{4}$. შვილად აყვანის სფეროში სოციალური მუშაკის მიერ უფლებამოსილების გადამეტება ან მის მიერ მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება *(18.12.2007 N5627 ამოქმედდეს 2008 წლის 1 მაისიდან)*

შვილად აყვანის სფეროში სოციალური მუშაკის მიერ უფლებამოსილების

გადამეტება ან მის მიერ მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300-დან 1000 ლარამდე ოდენობით.

მუხლი 172[5]. სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე შემოსული მელოგინის, მისი გაპარვის ან მელოგინის მიერ ჩვილის მიტოვების შესახებ ინფორმაციის შეუტყობინებლობა (18.12.2009. N2384 ამოქმედდეს 2010 წლის 1 მარტიდან)

სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე შემოსული მელოგინის, მისი გაპარვის ან მელოგინის მიერ ჩვილის მიტოვების შესახებ ინფორმაციის შეუტყობინებლობა –

გამოიწვევს იურიდიული პირის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

## თავი XIV
## მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

მუხლი 173. სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა (28.10.2011. N5171 ამოქმედდეს 2011 წლის 1 დეკემბრიდან)

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთიდან ექვს თვემდე ვადით, ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით, ხოლო თუ საქმის გარემოებათა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომების გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული – ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს

ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით.

მუხლი 173[1]. სასამართლოში მსაჯულის გამოცხადებისათვის ხელის შეშლა

თანამდებობის პირის მიერ, რა საბაბითაც უნდა იყოს, სასამართლოში მსაჯულის გამოცხადებისათვის ხელის შეშლა, რათა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 173[2]. სასამართლოს კერძო განჩინების (დადგენილების) ან მოსამართლის წარდგინების გამო ზომების მიუღებლობა

თანამდებობის პირის მიერ სასამართლოს კერძო განჩინების (დადგენილების) ან მოსამართლის წარდგინების განუხილველად დატოვება ან მათში აღნიშნული კანონების დარღვევების თავიდან აცილებისათვის ღონისძიებათა მიუღებლობა, აგრეთვე კერძო განჩინებაზე (დადგენილებაზე) ან წარდგინებაზე დაგვიანებული პასუხის გაცემა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 173[3]. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობა

საქართველოს პარლამენტი დროებითი საგამოძიებო კომისიის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 173[4]. სახალხო დამცველის მოთხოვნის შეუსრულებლობა

სახალხო დამცვლეის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოციდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი173[5]. სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისათვის ხელის შეშლა

სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანოსათვის ან თანამდებობის პირისათვის მოვალეობის განხორციელებისას ხელის შეშლა, -

გამოიწვევს პასუხისმგებელი პირის დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ასორმოცდაათიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 173[6]. შვილად აყვანის დადგენილი წესის დარღვევა

შვილად აყვანის დადგენილი წესის დარღვევა, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო თანამდებობის პირების დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების სამასიდან ხუთას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 173[7]. გასაშვილებელი ბავშვის ან მშვილებლის ძებნა საჯარო განცხადებით

გასაშვილებელი ბავშვის ან მშვილებლის ძებნა ან შეთავაზება საჯარო განცხადების მეშვეობით, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათასი მინიმალური ოდენობით, ხოლო თანამდებობის პირისა – შრომის ანაზღაურების ორი ათასი მინიმალური ოდენობით.

მუხლი 173[8]. ამოღებულია *(2.10.2008 N 309)*

მუხლი 173[9]. შვილობილად აყვანის დადგენილი წესის დარღვევა

შვილობილად აყვანის დადგენილი წესის დარღვევა, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათი მინიმალური ოდენობით, ხოლო თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ასი მინიმალური ოდენობით.

მუხლი 173[10]. ამოღებულია (28.12.2011. N5662)

მუხლი 173[11]. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიერ საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და გამოქვეყნების კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა *(16.12.2005 N 2262)*

პოლიტიკურ გაერთიანებაში საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და გამოქვეყნების კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 1500 ლარამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, თუ შემოწირულობის თანხა აღემატება 5000 ლარს, –

გამოიწვევს ამ პირის დაჯარიმებას 3000-დან 5000 ლარამდე.

მუხლი 173[12]. ნაფიცი მსაჯულის (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის) მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობა *(24.09.2010. N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)*

1. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის საპატიო მიზეზის გარეშე

გამოუცხადებლობა სასამართლოში განსაზღვრულ დროს, –
გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 1000 ლარამდე.
2. ნაფიცი მსაჯულის საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობა არსებითი სასამართლო განხილვისას, –
გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 1500 ლარამდე.
3. ნაფიცი მსაჯულის მიერ მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, –
გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 1500 ლარამდე.

მუხლი 173[13]. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა (15.12.2010. N4072 ამოქმედდეს 2011 წლის 1 თებერვლიდან)

1. სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული მშობლის მიერ მეორე მშობლისათვის შვილის გადაცემის შესახებ ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელების შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა –
გამოიწვევს გაფრთხილებას.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –
გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 174. თვითნებობა
თვითნებობა, ესე იგი კანონით დადგენილი წესის დარღვევით ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულვებული უფლების თვითნებურად განხორციელება, რასაც მოქალაქეების ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის არსებითი ზიანი არ მოჰყოლია,_
გამოიწვევს მოქალაქეთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 174[1]. შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა
1. შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა, –
გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორის მიერ, –
გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

3. სასამართლოს შესასვლელის ბლოკირება, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საქართველოს საერთო სასამართლოში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პლენუმის გადაწყვეტილება N2/482,483,487,502 2011 წლის 18 აპრილი), –

გამოიწვევს პატიმრობას 90 დღემდე ვადით.

4. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, მე-11 და $11^1$ მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან პატიმრობას 90 დღემდე ვადით, ხოლო თუ დამრღვევი ორგანიზატორია – დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით ან პატიმრობას 90 დღემდე ვადით. (27.04.2010. N3007)

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით. (1.07.2011. N5018)

მუხლი $174^2$. შეკრებისათვის ან მანიფესტაციისათვის ხელის შეშლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით

შეკრებისათვის ან მანიფესტაციისათვის, აგრეთვე მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი $174^3$. ამოღებულია (28.12.2011. N5662)

მუხლი $174^4$. ამოღებულია (28.12.2011. N5662)

მუხლი $174^5$. ამოღებულია (28.12.2011. N5662)

მუხლი $174^6$. ამოღებულია (28.12.2011. N5662)

მუხლი $174^7$. ამოღებულია *(16.12.2005 N 2262)*

მუხლი $174^8$. ამოღებულია (28.12.2011. N5662)

მუხლი $174^9$ ამოღებულია (28.12.2011. N5662)

მუხლი $174^{10}$. ამოღებულია (28.12.2011. N5662)

მუხლი $174^{11}$. ამოღებულია (28.12.2011. N5662)

მუხლი $174^{12}$. ამოღებულია (28.12.2011. N5662)

მუხლი $174^{13}$. ამოღებულია (28.12.2011. N5662)

მუხლი $174^{14}$. ამოღებულია (28.12.2011. N5662)

მუხლი 175. ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევა

ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევა იმ პირის მიერ, რომელსაც დაუწესეს ზედამხედველობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი $175^1$. მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების შესახებ სათანადო ორგანოებისათვის შეუტყობინებლობა

მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების შესახებ მონაცემების მიწოდებისათვის ვალდებული თანამდებობის პირის მიერ სათანადო ორგანოებისათვის შეუტყობინებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთას მინიმალურ ოდენობამდე.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი.

მუხლი $175^2$. დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა (28.12.2009. N2512 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან)

1. შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით.

2. დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე ვადით ან გამასწორებელ სამუშაოებს სამ თვემდე ვადით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით. (1.07.2011. N5018)

მუხლი 176. ამოღებულია *(20.12.2005 N 2379)*

მუხლი $176^1$. 21 წლამდე ასაკის პირის სამორინეში ან/და აზარტულ კლუბში სათამაშოდ დაშვება ან 18 წლამდე ასაკის პირის სათამაშო აპარატების სალონში სათამაშოდ დაშვება ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ თამაშობებში მონაწილეობის დაშვება (24.04.2012. N6057 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

1. 21 წლამდე ასაკის პირის სამორინეში ან/და აზარტულ კლუბში სათამაშოდ დაშვება ან 18 წლამდე ასაკის პირის სათამაშო აპარატების სალონში სათამაშოდ

დაშვება ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ თამაშობებში მონაწილეობის დაშვება –

გამოიწვევს აზარტული ან მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ორგანიზატორის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 176[2]. ინტერნეტით მომსახურების გაწევის ობიექტში (გარდა აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ნებართვით მოწყობილი ობიექტისა) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაში (24.04.2012. N6057 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

1. ინტერნეტით მომსახურების გაწევის ობიექტში (გარდა აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ნებართვით მოწყობილი ობიექტისა) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაში –

გამოიწვევს ინტერნეტით მომსახურების გაწევის ობიექტის მფლობელის დაჯარიმებას 15 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ინტერნეტით მომსახურების გაწევის ობიექტის მფლობელის დაჯარიმებას 30 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 177. სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევა ან შეუსრულებლობა (*24.06.2005 N 1789*)

სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებზე, აგრეთვე შესაბამისი ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევა ან შეუსრულებლობა, ან ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის, მოწყობილობის, ხანძრის ავტომატურად აღმოსაჩენი და ჩასაქრობი საშუალებების გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევა –

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – ორ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 177[1]. საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირების და ლიცენზირების წესების დარღვევა

საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირების და ლიცენზირების მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოციდან სამოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო თუ საქმის გარემოების მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომების გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით ოცდაათ დღემდე.

შენიშვნა: (1.07.2011. N5018)

1. უცხოელი მოქალაქეები ავტოსატრანსპორტო მომსახურების განხორციელებისას ლიცენზირების წესების დარღვევის შემთხვევაში დაჯარიმდებიან ადგილზე საპატრულო პოლიციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით.

მუხლი $177^{2}$. ამოღებულია (*24.06.2005 N 1789 გამოქვეყნებადან 15-ე დღეს)*

მუხლი $177^{3}$. ამოღებულია (*24.06.2005 N 1789 გამოქვეყნებადან 15-ე დღეს)*

მუხლი $177^{4}$. ამოღებულია (*24.06.2005 N 1789 გამოქვეყნებადან 15-ე დღეს)*

მუხლი $177^{5}$. ამოღებულია (*24.06.2005 N 1789 გამოქვეყნებადან 15-ე დღეს)*

მუხლი $177^{6}$. ამოღებულია (*24.06.2005 N 1789 გამოქვეყნებადან 15-ე დღეს)*

მუხლი $177^{7}$. ამოღებულია (*24.06.2005 N 1789 გამოქვეყნებადან 15-ე დღეს)*

მუხლი $177^{8}$. ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის სფეროში დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დარღვევა

სახელმწიფო გეოდეზიური ზედამხედველობის ორგანოს კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობა, ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოების წარმოებისას ტექნიკური ნორმებისა და სტანდარტების, ტოპოგრაფიული, კარტოგრაფიული, აეროკოსმოსური გადაღების მასალებისა და გრავიმეტრიული მონაცემების აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, _

გამოიწვევს ფიზიკურ პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ას ლარამდე, ხოლო იურიდიულ პირთა _ ასიდან ორას ლარამდე.

მუხლი $177^{9}$. სახელმწიფო გეოდეზიური პუნქტების დაცვის წესების დარღვევა

სახელმწიფო გეოდეზიური პუნქტების დაცვის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა გარე ნიშნების, მიწისქვეშა ცენტრების დაზიანება ან დანგრევა, _

გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას ორასიდან ხუთას ლარამდე, ხოლო იურიდიულ პირთა _ ხუთასიდან ათას ლარამდე.

მუხლი $177^{10}$. ამოღებულია (25.07.2006. N3516)

მუხლი $177^{11}$. ობიექტის ექსპლუატაციის შეჩერების, აგრეთვე პროდუქციის (ნედლეულის) წარმოება-რეალიზაციის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოების დადგენილების (მიწერილობის) შეუსრულებლობა

ობიექტის ექსპლუატაციის შეჩერების, აგრეთვე პროდუქციის (ნედლეულის) წარმოება-რეალიზაციის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოების დადგენილების (მიწერილობის) შეუსრულებლობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათას ხუთასიდან ორი ათას ხუთას ლარამდე. *(08.05.2003 N 2291)*

მუხლი 178. სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა

ლიცენზიის გარეშე სავალუტო ოპერაციების წარმოება ან მომსახურება, _

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათი მინიმალური ოდენობით, თანამდებობის პირთა _ სამოცდაათი მინიმალური ოდენობით, ხოლო თუ საქმის გარემოების მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომის გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, _ ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით ოცდაათ დღემდე.

უცხოური ვალუტის ეროვნულ ვალუტაზე გადაცვლაზე უსაფუძვლოდ უარის თქმა ვალუტის გადამცვლელი დაწესებულების მუშაკის მიერ, _

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოთხმოცი მინიმალური ოდენობით, ხოლო თუ საქმის გარემოების მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომის გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, _ ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით ოცდაათ დღემდე.

მუხლი $178^{1}$. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შექმნისაგან თავის არიდება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის, აგრეთვე მისი თავისუფალი გადაადგილებისათვის აუცილებელი პირობების შექმნისაგან თავის არიდება _

გამოიწვევს დაჯარიმებას 300-დან 500 ლარამდე.

მუხლი $178^{2}$. ობიექტების დაპროექტებისას და მშენებლობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებისა და

მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლობა

დასახლებული პუნქტების დაპროექტებისა და განაშენიანების, საცხოვრებელი რაიონების ფორმირების, საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავების, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლობა _

გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 800 ლარამდე.

მუხლი 178[3]. ამოღებულია *(23.12.2005 N2461)*

მუხლი 179. პოლიგრაფიული და საშტემპელო-საგრავირო საწარმოების გახსნის, გასამრავლებელი ტექნიკის შეძენის, გაყიდვის, გამოყენების, აღრიცხვისა და შენახვის წესების დარღვევა

თანამდებობის პირების მიერ პოლიგრაფიული და საშტაპელო-საგრავირო საწარმოების გახსნის, პოლიგრაფიული მოწყობილობების, გასამრავლებელი აპარატების, შრიფტებისა და მატრიცების შეძენისა და გაყიდვის წესების დარღვევა, _

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

პოლიგრაფიული მოწყობილობების, გასამრავლებელი აპარატების, შრიფტებისა და მატრიცების გამოყენების, აღრიცხვისა და შენახვის წესების დარღვევა ამ წესების დაცვისათვის პასუხისმგებელ პირთა მიერ, _

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 179[1]. სერტიფიცირების სფეროში აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიის (ცენტრის) მიერ გამოცდის ოქმის გაყალბება *(25.11.2004 N 604)*

ძვირფასი ლითონების სინჯის გასაყალბებლად სერტიფიცირების სფეროში აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიის (ცენტრის) მიერ გამოცდის ოქმის გაყალბება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას იმ საქონელში გადახდილი თანხის ათმაგი ოდენობით, რომელზედაც გაიცა სერტიფიკატი.

ძვირფასი ქვების გასაყალბებლად სერტიფიცირების სფეროში აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიის (ცენტრის) მიერ გამოცდის ოქმის გაყალბება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას იმ საქონელში გადახდილი თანხის სამმაგი ოდენობით, რომელზედაც გაიცა სერტიფიკატი.

მუხლი 179[2]. შავი და ფერადი ლითონების, მათი შემცველი ნაკეთობების, აგრეთვე მათი ჯართისა და ნარჩენების შეგროვების, შეძენის, ტრანსპორტირების, გაყიდვის ან ჩაბარების დადგენილი წესის დარღვევა

შავი და ფერადი ლითონების, მათი შემცველი ნაკეთობების, აგრეთვე მათი

ჯართისა და ნარჩენების შეგროვების, შეძენის, ტრანსპორტირების, გაყიდვის ან ჩაბარების დადგენილი წესის დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 3000 ლარამდე, შავი და ფერადი ლითონების, მათი შემცველი ნაკეთობების, აგრეთვე მათი ჯართისა და ნარჩენების კონფისკაციით.

იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი დარღვევისათვის, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 3000-დან 5000 ლარამდე, შავი და ფერადი ლითონების, მათი შემცველი ნაკეთობების, აგრეთვე მათი ჯართისა და ნარჩენების კონფისკაციით. *(21.06.2002 N 1567)*

მუხლი $179^3$. ფალსიფიცირებული ან მავნებელი ალკოჰოლიანი სასმელის რეალიზაცია *(11/07/2007 N5242* მავნებელი ალკოჰოლიანი სასმელის რეალიზაცია (25.12.2009. N2456 ამოქმედდეს 2010 წლის 1 თებერვლიდან)

1. საზოგადოებრივი კვების ან სავაჭრო ობიექტის მიერ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მავნებელი არასერტიფიცირებული ალკოჰოლიანი სასმელის რეალიზაცია –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით. (25.12.2009. N2456 ამოქმედდეს 2010 წლის 1 თებერვლიდან)

2. იგივე ქმედება, ჩადენილი ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

მუხლი $179^4$. საგამოცდო ლაბორატორიის მიერ ღვინის ლაბორატორიული გამოცდის ოქმის გაყალბება, სერტიფიკაციის ორგანოს მიერ ღვინის სერტიფიკატის გაყალბება *(11.07.2007 N 5244)*

1. საგამოცდო ლაბორატორიის მიერ ღვინის ლაბორატორიული გამოცდის ოქმის გაყალბება, სერტიფიკაციის ორგანოს მიერ ღვინის სერტიფიკატის გაყალბება, მათში არასწორი მონაცემების განზრახ შეტანით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

მუხლი $179^5$. ღვინის სერტიფიკატში მითითებული პროდუქციის შეუსაბამო პროდუქციის საექსპორტო პარტიაში განთავსება ან ექსპორტი *(11.07.2007 N 5244)*

1. ღვინის სერტიფიკატში მითითებული პროდუქციის შეუსაბამო პროდუქციის საექსპორტო პარტიაში განთავსება ან ექსპორტი, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 180. მოქალაქეთა მიერ ცეცხლსასროლი გლუვლულიანი სანადირო იარაღის შეძენის, შენახვის, გადაცემის ან გაყიდვის წესის დარღვევა

მოქალაქის მიერ ცეცხლსასროლი გლუვლულიანი სანადირო იარაღის შეძენა, შენახვა, სხვა პირისათვის გადაცემა ან გაყიდვა შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვის გარეშე, _

გამოიწვევს დაჯარიმებას ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე, იარაღის კონფისკაციით ან უიმისოდ.

იგივე მოქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი დარღვევისათვის, _

გამოიწვევს დაჯარიმებას ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 181. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების შენახვის ან გადაზიდვის წესების დარღვევა

იარაღის შენახვაზე შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვის მქონე მოქალაქეთა მიერ ცეცხლსასროლი გლუვლულიანი სანადირო და კუთვნილი იარაღის და საბრძოლო მასალების შენახვის ან გადაზიდვის წესების დარღვევა, _

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე, ან იარაღის და საბრძოლო მასალების სასყიდლით ჩამორთმევას.

იგივე მოქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი დარღვევისათვის, _

გამოიწვევს დაჯარიმებას ნახევრიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე იარაღის და საბრძოლო მასალების კონფისკაციით ან უამისოდ.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების შენახვის ან გადაზიდვის წესების დარღვევა მათი მოვლა-დაცვისათვის პასუხისმგებელი საწარმოს, დაწესებულებების და ორგანიზაციის მუშაკების მიერ, აგრეთვე მათ მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების გამოყენება არადანიშნულებისამებრ, _

გამოიწვევს დაჯარიმებას ერთიდან ორნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი დარღვევისათვის, _

გამოიწვევს დაჯარიმებას ორიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 182. ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციის (ხელახალი რეგისტრაციის) ვადების ან მისი აღრიცხვაზე აყვანის წესების დარღვევა

მოქალაქეთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციის (ხელახალი რეგისტრაციის) დადგენილი ვადების ან შინაგან საქმეთა ორგანოებში მისი აღრიცხვაზე აყვანის წესების დარღვევა საცხოვრებელი ადგილის შეცვლის დროს, _

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 182[1]. პნევმატური იარაღის უკანონო ბრუნვა, პნევმატური იარაღის რეგისტრაციის ვალდებულების შეუსრულებლობა და დასახლებულ ადგილას სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული პნევმატური იარაღიდან სროლა (24.04.2012. N6058)

1. ფიზიკური პირის მიერ სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლების მქონე სანადირო ან სპორტული პნევმატური იარაღის რეგისტრაციის გარეშე ტარება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, პნევმატური იარაღის კონფისკაციით.

2. სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული პნევმატური იარაღის ტარების წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, პნევმატური იარაღის კონფისკაციით.

3. ტირის, სასროლეთის, სასროლო-სანადირო სტენდის გახსნის ნებართვის მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებული სანადირო ან სპორტული პნევმატური იარაღის კანონით დადგენილ ვადაში დაურეგისტრირებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით, პნევმატური იარაღის კონფისკაციით.

4. ისეთი პნევმატური იარაღის შეძენა, შენახვა, ტარება, საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა, რომელიც არ დაიშვება სამოქალაქო ბრუნვაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, პნევმატური იარაღის კონფისკაციით.

5. დასახლებულ ადგილას სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული პნევმატური იარაღიდან სროლა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, პნევმატური იარაღის კონფისკაციით.

მუხლი 182[2]. ტირის, სასროლეთის, სასროლო-სანადირო სტენდის შესაბამისი ნებართვის გარეშე ფუნქციონირება (24.04.2012. N6058)

1. ტირის, სასროლეთის, სასროლო-სანადირო სტენდის შესაბამისი ნებართვის გარეშე ფუნქციონირება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც შეეფარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი, –
გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

მუხლი 183. ცეცხლსასროლი გლუვლულიანი სანადირო იარაღის და საბრძოლო მასალების რეალიზაციისაგან თავის არიდება

ცეცხლსასროლი გლუვლულიანი სანადირო იარაღის და საბრძოლო მასალების რეალიზაციისაგან თავის არიდება იმ მოქალაქეთა მიერ, რომლებსაც შინაგან საქმეთა ორგანოებმა გაუუქმეს მათი შენახვის ნებართვა მონადირეთა საზოგადოებიდან გამოსვლის გამო, _

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე იარაღისა და საბრძოლო მასალების სასყიდლით ჩამორთმევით.

მუხლი 183[1]. წყალქვეშა სანადირო თოფების შეძენის, გაყიდვის, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და გამოყენების წესების დარღვევა

წყალქვეშა სანადირო თოფების შეძენის, გაყიდვის, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და გამოყენების წესების დარღვევა, _

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთნახევარ მინიმალურ ოდენობამდე, თოფების კონფისკაციით ან უამისოდ, თამამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთნახევარ მინიმალურ ოდენობამდე, თოფების კონფისკაციით ან უამისოდ.

იგივე მოქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი დარღვევისათვის, _

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე, თოფების კონფისკაციით ან უამისოდ, თამამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ერთიდან ორნახევარ მინიმალურ ოდენობამდე, თოფების კონფისკაციით ან უამისოდ.

მუხლი 184. ამოღებულია (1992 წლის 3 აგვიტოს დეკრეტით.)

მუხლი 185. საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისათვის დადგენილი წესების დარღვევით ცხოვრება

საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისათვის დადგენილი წესების დარღვევით ცხოვრება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] ან/და 143[2] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე დაზარალებულად ცნობილი პირი, თუ აღნიშნული ქმედება მათ ჩაიდინეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე.

მუხლი 185[1]. პირის გარდაცვალების შესახებ შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა (25.05.2012. N6317)

თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულის მიერ, აგრეთვე სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან კერძო სამედიცინო დაწესებულების, პათოლოგანატომიური საქმიანობის (კლინიკური პათოლოგიის) და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განმახორციელებელი დაწესებულების, პანსიონატის, თავშესაფრის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი ადმინისტრაციის წარმომადგენლის, ასევე გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემაზე უფლებამოსილი პირის მიერ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის პირის გარდაცვალების შესახებ კანონით დადგენილი წესით შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 185[2]. ბავშვის დაბადების შესახებ შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა (25.05.2012. N6317)

სამშობიარო ან სხვა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის ბავშვის დაბადების შესახებ შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.“.

მუხლი 186. ამოღებულია (24.06.2011. N4943)

მუხლი 187. რეგისტრაციაში არგატარება ან რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმა

საქართველოში მცხოვრებ პირთა რეგისტრაციისათვის პასუხისმგებელ პირთა მიერ საქართველოში მცხოვრები პირის რეგისტრაციაში არგატარება ან რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმა,

- გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოც მინიმალურ ოდენობამდე.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოც მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 187[1]. თანამდებობის პირის მიერ მოქალაქის უფლებების განხორციელებაზე უარის თქმა

თანამდებობის პირის მიერ მოქალაქის უფლებების განხორციელებაზე უარის თქმა პირის სხვა საცხოვრებელ ადგილას რეგისტრაციის ან რეგისტრაციის არქონის გამო, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 50 მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 187[2]. ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირად ცნობის შესახებ პირის რეგისტრაციაზე უკანონოდ უარის თქმა (6.12.2011. N5371 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს)

ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირად ცნობის შესახებ პირის რეგისტრაციაზე უკანონოდ უარის თქმა –

გამოიწვევს დაჯარიმებას ოციდან ორმოცდაათ ლარამდე.

მუხლი 188. ამოღებულია *(საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის კანონი N318 _ პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., N19-20, გვ.26)*

მუხლი 189. პასპორტების უკანონოდ ჩამორთმევა და მათი გირაოდ მიღება

თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეთათვის პასპორტების უკანონოდ ჩამორთმევა, აგრეთვე მათ მიერ პასპორტების გირაოდ მიღება, -

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 190. სასაზღვრო ზონაში შესვლის ან ცხოვრების წესების დარღვევა

სასაზღვრო ზონაში შესვლის, აგრეთვე ცხოვრების ან რეგისტრაციის *(04.07.2002 N1625)* წესების დარღვევა, -

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 190[1]. ამოღებულია *(24.12.2004 N791)*

მუხლი 190[2]. სასაზღვრო გამტარ პუნქტებში რეჟიმის დარღვევა

სასაზღვრო გამტარ პუნქტებში რეჟიმის დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50-დან 100 ლარამდე. *(04.07.2002 N1625)*

მუხლი 191. საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელ მოქალაქეთა ყოფნის, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტით მგზავრობის წესების დარღვევა

1. უცხოელი მოქალაქის ყოფნა საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ 10 დღიდან 3 თვემდე პერიოდის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 180 ლარის ოდენობით. (23.06.2006. N3382)

1[1]. უცხოელი მოქალაქის ყოფნა საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ 3 თვეზე მეტ ხანს, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 360 ლარის ოდენობით. (23.06.2006. N3382)

იმ საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის თანამდებობის პირთა მიერ, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკაში იღებენ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, ან უზრუნველყოფენ მათ მომსახურებას, ასრულებენ უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტით მგზავრობის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ მოვალეობებს, მათი რეგისტრაციის, ჩაწერის ან ამოწერის, მათთვის საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრების, მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლის უფლების შესახებ დოკ

უმენტების გაფორმების დადგენილი წესის დარღვევა,

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე.

მოქალაქეთა მიერ, რომლებიც მოიწვევენ საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს კერძო საქმეებზე და დაუთმობენ მათ საცხოვრებელ ფართობს, დადგენილი წესით მათი დროულად რეგისტრაციის, ჩაწერის ან ამოწერის უზრუნველყოფის ზომების მიუღებლობა,

- გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე.

მოქალაქეების მიერ უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქობის არმქონე პირთათვის ბინის, სატრანსპორტო საშუალებების მიცემა ან სხვა მომსახურების გაწევა უცხოელი მოქალაქეებისა და მოქლაქეობის არმქონე პირთა საქართველოს რესპუბლიკაში ყოფნის დადგენილი წესების და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტით მგზავრობის წესების დარღვევა,

- გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის პირველი და 1[1] ნაწილებით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ამის თაობაზე ეცნობება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს, რომლებიც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირის მიერ ჯარიმის თანხის გადახდამდე მასზე არ გასცემენ საქართველოს ვიზას და მას არ მიეცემა საქართველოში შემოსვლის ნებართვა. *(5.12.2008 N 620)*

2. ამოღებულია *(29.06.2007 N 5116)*

*(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128;*

*საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი N436 _ საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., N16, მუხ. 308)*

მუხლი 192. უცხოეთის გემის კაპიტნის მიერ გემის ეკიპაჟის წევრთა ნაპირზე გადასასვლელი საშვის დაუბრუნებლობა

საკონტროლო-გასაშვებ პუნქტში უცხოეთის გემის კაპიტნის მიერ საქართველოს რესპუბლიკის პორტში გაჩერებისას გემის ეკიპაჟის წევრთა ნაპირზე გადასვლისა და პორტის ტერიტორიაზე და საპორტო ქალაქში მათი ყოფნის უფლების დამადასტურებელი საშვის დაუბრუნებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საშვი არ დააბრუნეს გემის ეკიპაჟის წევრის თვითნებური გამოუცხადებლობის გამო, -

გამოიწვევს კაპიტნის დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 193. ამოღებულია (29.12.2006.N4232)

მუხლი 194. საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობა (27.03.2012. N5953)

საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობა არსებული წესების დარღვევით, აგრეთვე შენობა-ნაგებობების მშენებლობა დადგენილი წესებისა და ნორმების დარღვევით –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას ას ორმოცდაათიდან ორას ლარამდე, ხოლო იურიდიული პირისა – სამასიდან ხუთას ლარამდე.

მუხლი 195. ბეჭდის (პლომბის/ლუქის) განზრახ დაზიანება ან აგლეჯა

უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ დადებული ბეჭდის (პლომბის/ლუქის) განზრახ დაზიანება ან აგლეჯა, გარდა ამ კოდექსის $44^3$ მუხლით, $84^1$ მუხლით, 131-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 132-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

მუხლი 196. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი $196^1$. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილებაში გამოძახებაზე გამოუცხადებლობა

გასაწვევ უბანზე მიწერისათვის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების

სამხედრო განყოფილებაში გამოძახებაზე მოქალაქის გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზის გარეშე, -

გამოიწვევს გაფრთხილებას. *(04.07.2002 N1619 2003 წლის 1 იანვრიდან)*

მუხლი 196[2]. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილებებში იმ ახალგაზრდების სიების წარუდგენლობა, რომლებიც მიწერილ უნდა იქნენ გასაწვევ უბნებზე

საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების, სასწავლებლების ხელმძღვანელთა ან სამხედრო-სააღრიცხვო მუშაობისათვის პასუხისმგებელ სხვა პირთა და სახლის მეპატრონეთა მიერ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილებებში დადგენილ ვადაში იმ ახლგაზრდების სიების წარუდგენლობა, რომლებიც მიწერილ უნდა იქნენ გასაწვევ უბნებზე, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით *(04.07.2002 N1619 2003 წლის 1 იანვრიდან).*

აღნიშნული დარღვევის განმეორებით ჩადენა ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. *(04.07.2002 N1619 2003 წლის 1 იანვრიდან).*

მუხლი 196[3]. სამუშაოდ ან სასწავლებლად იმ სამხედროვალდებულთა მიღება, რომლებიც სამხედრო აღრიცხვაზე არ არიან აყვანილნი

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელთა ან სხვა შესაბამის თანამდებობის პირთა მიერ სამუშაოდ ან სასწავლებლად იმ სამხედროვალდებულთა მიღება, რომლებიც სამხედრო აღრიცხვაზე არ არიან აყვანილნი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

აღნიშნული დარღვევის განმეორებით ჩადენა ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 600 ლარის ოდენობით. *(07.05.2003 N2234)*

მუხლი 196[4]. სამხედრო ვალდებულთა და ახალწვეულთათვის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილებებში გამოძახების შეუტყობინებლობა

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების და სასწავლებლების ხელმძღვანელთა ან სამხედრო-სააღრიცხვო მუშაობისათვის პასუხისმგებელ სხვა თანამდებობის პირთა მოქმედება, რომლებმაც ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილებების მოთხოვნით ვერ უზრუნველყვეს სამხედრო ვალდებულთა და ახალწვეულთათვის ადგილობრივი

მმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილებებში გამოძახების შეტყობინება ან დააბრკოლეს მოქალაქეთა დროზე გამოცხადება შესაკრებ პუნქტებში თუ გასაწვევ უბნებზე, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ დარღვევათაგან ერთ-ერთი განმეორებით ჩადენა ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. *(04.07.2002 N1619 2003 წლის 1 იანვრიდან)*

მუხლი 196[5]. სამხედრო ვალდებულთა და ახალწვეულთა პირველადი აღრიცხვისათვის საჭირო დოკუმენტების არადროული წარდგენა, აგრეთვე მათთვის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილებებში გამოძახების შეუტყობინებლობა

საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების, იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ, რომლებიც სახლების ექსპლუატაციას, ან სამხედრო სააღრიცხვო მუშაობისათვის პასუხისმგებელ სხვა თანადებობის პირთა, აგრეთვე სახლის მეპატრონეთა მიერ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ სამხედრო ვალდებულთა და ახალწვეულთა პირველადი აღრიცხვა, სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის ან აღრიცხვიდან მოხსნის გასაფორმებლად საბინაო დავთრების, ჩაწერის ბარათებისა და სამხედრო ვალდებულ ან ახალწვეულ მობინადრეთა სამხედრო-სააღრიცხვო დოკუმენტების (სამხედრო ბილეთების, გასაწვევ უბნებზე მიწერის მოწმობების) არადროული წარდგენა, აგრეთვე მათთვის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილებებში გამოძახების შეუტყობინებლობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ დარღვევათაგან ერთ-ერთის განმეორებით ჩადენა ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.*(04.07.2002 N1619 2003 წლის 1 იანვრიდან)*

მუხლი 196[6]. სამხედრო ვალდებულთა და ახალწვეულთა შესახებ ცნობების შეუტყობინებლობა

საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების თანამდებობის პირთა მიერ, რომლებსაც ევალებათ მმართველობის შეატყობინონ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილებებს ცნობები ინვალიდებად ცნობილი ყველა სამხედრო ვალდებულისა და ახალწვეულის შესახებ, ინვალიდობის ჯგუფის მიუხედავად, ასეთი ცნობების შეუტყობინებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების თანამდებობის პირთა მოქმედება, რომლებმაც არ შეატყობინეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილებებს ცნობები სამხედრო ვალდებულთა და ახალწვეულთა მიერ გვარის, სახელის, მამის სახელის შეცვლის, მათი დაბადების თარიღისა და ადგილის შესახებ მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩაწერის აქტებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, აგრეთვე სამხედრო ვალდებულთა და ახალწვეულთა გარდაცვალების რეგისტრაციის შემთხვევების შესახებ, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

ამ მუხლის პირველ ან მეორე ნაწილში გათვალისწინებულ დარღვევათაგან ერთ-ერთის განმეორებით ჩადენა ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. *04.07.2002 N1619 2003 წლის 1 იანვრიდან)*

მუხლი 197. სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევა

სამხედროვალდებულთა მიერ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილებაში გამოძახებაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზის გარეშე, ან იმ სააღრიცხვო ორგანოსათვის, სადაც სამხედრო აღრიცხვაზე იმყოფებიან, საცხოვრებელი ადგილის მისამართის, განათლების, სამუშაო ადგილისა და თანამდებობის შეცვლის შესახებ ცნობების დადგენილი ვადის დარღვევით შეტყობინება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

აღნიშნულ დარღვევათაგან ერთ-ერთის განმეორებით ჩადენა ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

მუხლი $197^1$. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამწვევ კომისიაში გამოუცხადებლობა სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან თავის არიდების მიზნით

სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამწვევ კომისიაში გამოუცხადებლობა სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან თავის არიდების მიზნით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული ჯარიმის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა, –

გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღის ვადით.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით. (1.07.2011. N5018)

მუხლი $197^2$. სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის წესის დარღვევა *(01.07.2005 N1857)*

სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის წესის დარღვევა,

რომელიც არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, –

გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით ოცდაათ დღემდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით. (1.07.2011. N5018)

მუხლი 197[3]. სამხედრო სარეზერვო სამსახურში გამოუცხადებლობა სამხედრო სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით

1. პირის მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურში გამოუცხადებლობა სამხედრო სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობა –

გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღის ვადით. (27.12.2006. N4194)

შენიშვნა: ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით. (1.07.2011. N5018)

მუხლი 198. სამხედრო ბილეთის განზრახ გაფუჭება ან დაკარგვა

სამხედრო-სააღრიცხვო დოკუმენტების (სამხედრო ბილეთებისა და გასაწვევ უბანზე მიწერის მოწმობების) განზრახ გაფუჭება ან დაუდევრად შენახვა, რასაც მოჰყვა მათი დაკარგვა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

აღნიშნულ დარღვევათაგან ერთ-ერთის განმეორებით ჩადენა ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. *(07.05.2003 N2234)*

მუხლი 199. ამოღებულია *(06.04.2005 N 1234)*

კარი მესამე

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად უფლებამოსილი ორგანოები

თავი XV

ძირითადი დებულებანი

მუხლი 200. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად უფლებამოსილი ორგანოები (თანამდებობის პირები)

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ:

1) რაიონის (ქალაქის) სასამართლოები, მოსამართლეები (ადმინისტრაციული მოსამართლეები);

2) შინაგან საქმეთა ორგანოები, სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები და

საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების საამისოდ უფლებამოსილი სხვა ორგანოები (თანამდებობის პირები).

შენიშვნა:

თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს და ამას ადასტურებს ოქმზე ხელმოწერით, მას ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი. თუ დამრღვევი სადავოდ ხდის მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს, მას შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. (28.04.2006. N2962)

მუხლი 201. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად უფლებამოსილი ორგანოების (თანამდებობის პირთა) კომპეტენციის გამიჯვნა

რაიონის (ქალაქის) სასამართლოები (მოსამართლეები, ადმინისტრაციული მოსამართლეები), შინაგან საქმეთა ორგანოები, სახელმწიფო ინსპექციათა ორგანოები და სხვა უფლებამოსილი ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ საქმეებს, რომლებიც ამ კოდექსითა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით მათ გამგებლობას განეკუთვნება.

მუხლი 202. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა საქმეების განსახილველად უფლებამოსილი კოლეგიური ორგანოების შექმნის წესი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად უფლებამოსილი კოლეგიური ორგანოების შექმნის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მუხლი 203. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 204. თანამდებობის პირთა უფლებამოსილება (28.04.2006. N2962)

1. თანამდებობის პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან განიხილონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, შეუძლიათ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში და მხოლოდ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას განახორციელონ ამ კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელების დადება.

2. იმ თანამდებობის პირთა ნუსხა, რომლებიც ამ კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული ორგანოების სახელით განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი XVI
## ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ქვემდებარეობა

მუხლი 205. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 206. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 207. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი $207^{1}$. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის $42^{1}$ და $42^{2}$ მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 44-ე–$44^{3}$, $44^{5}$, $44^{7}$–$44^{12}$, 45-ე, 46-ე, $46^{1}$, 48-ე–49-ე, $50^{1}$–$55^{4}$, 56-ე, 57-ე–59-ე, $59^{2}$, $59^{3}$, მე-60, $60^{3}$, 61-ე, $61^{1}$, 63-ე, $63^{1}$, 64-ე, $64^{1}$, 65-ე, 66-ე–69-ე, 71-ე, $72^{1}$–78-ე, $79^{1}$–$82^{2}$, 84-ე–86-ე, 88-ე–$89^{3}$, $91^{2}$, 94-ე, 95-ე, 99-ე, $100^{1}$, $100^{2}$, $103^{1}$, 104-ე და $105^{1}$ მუხლებით, $127^{1}$ მუხლის მე-5 ნაწილით, $128^{1}$–$128^{5}$, 143-ე, 144-ე, $144^{10}$, 145-ე, $146^{1}$, 148-ე, 150-ე–151-ე, 152-ე, $152^{2}$–$153^{1}$ და $153^{3}$–$153^{5}$ მუხლებით, $153^{6}$ მუხლის მე-2 ნაწილით, 154-ე–$154^{2}$, $155^{1}$–156-ე, $157^{1}$–$158^{1}$, 159-ე–$159^{1}$, $159^{4}$–$159^{10}$, 163-ე, 164-ე, $164^{4}$, $165^{1}$–$165^{3}$, 166-ე, 167-ე და 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, $171^{1}$, $172^{4}$, $172^{5}$, 173-ე, $173^{4}$–$173^{7}$, $173^{9}$, $173^{12}$, $174^{1}$, $175^{1}$, $175^{2}$, $177^{8}$, $177^{9}$, $177^{11}$, 178-ე, $179^{1}$–$179^{3}$, 180-ე–183-ე, 187-ე–$187^{2}$, 189-ე, 191-ე მუხლებით (გარდა 191-ე მუხლის პირველი და $1^{1}$ ნაწილებისა), 192-ე, 195-ე, $196^{2}$–$196^{6}$ და $197^{1}$ მუხლებით. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

მუხლი $208^{1}$

თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის სახით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა ან ადმინისტრაციული პატიმრობა სხვა სახის სახდელთან ერთად და ადმინისტრაციული სახდელის

შეფარდების შესახებ დადგენილების გამომცემი მივა დასკვნამდე, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს სახდელის სახით უნდა შეეფარდოს ადმინისტრაციული პატიმრობა ან ადმინისტრაციული პატიმრობა სხვა სახის სახდელთან ერთად, ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ დადგენილების გამომცემი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს დაუყოვნებლივ წარუდგენს შესაბამის სასამართლოს, რომელიც განიხილავს საქმეს და გამოიტანს შესაბამის დადგენილებას. (17.07.2009. N1505)

მუხლი $208^2$. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა (26.04.2012. N6090)

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს და შესაბამისი ოქმის საფუძველზე იღებს დადგენილებას ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების თაობაზე.

მუხლი 209. შინაგან საქმეთა ორგანოები (28.04.2006. N2962)

1. შინაგან საქმეთა ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის $107^1$–$107^3$, 108-ე, $114^1$, $114^2$, 116-ე, 117-ე, 118-ე–119-ე, 120-ე–123-ე, 125-ე და 127-ე მუხლებით, $127^1$ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 128-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, $129^1$ მუხლით, 131-ე მუხლით (საავტომობილო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის), 134-ე მუხლით, $153^6$ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 171-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილებით, 172-ე, $176^1$, $182^1$, $182^2$, 190-ე და $190^2$ მუხლებით, 191-ე მუხლის პირველი და $1^1$ ნაწილებით (მათ შორის, სასაზღვრო გამტარ პუნქტზე გამოვლენისას). (22.05.2012. N6246)

2. ამ კოდექსის 116-ე–122-ე მუხლებით, 123-ე მუხლის პირველი ნაწილით, 125-ე, 127-ე მუხლებით, $127^1$ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, $129^1$ მუხლით გათვალისწინებული დარღვევების ჩადენისას, თუ სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას, პოლიციელი, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და დამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს.

$2^1$. ამ კოდექსის $114^2$ მუხლით, $153^6$ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 190-ე და $190^2$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა ჩადენისას, თუ შესაბამისი სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევ პირს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს. (11.10.2011. N5097)

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევების (გარდა ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისა) საქმეს განიხილავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ უფლებამოსილი პირი.

მუხლი $209^{1}$. ამოღებულია (2.03.2001 N753)

მუხლი $209^{2}$. ამოღებულია (1.07.2011. N5004 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღე).

მუხლი $209^{3}$. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (15.12.2010. N4035)

1. ამ კოდექსის $55^{5}$, 103-ე, $107^{2}$, $107^{3}$ და $107^{4}$ მუხლებით, $114^{2}$ მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, $125^{2}$ და $125^{3}$ მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე და $135^{1}$ მუხლებით, $146^{2}$ მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, $151^{1}$ და $152^{3}$ მუხლებით და $153^{6}$ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი. (11.10.2011. N5097)

2. ამ კოდექსის $107^{4}$ მუხლით, $114^{2}$ მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, $125^{2}$ მუხლით, $125^{3}$ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებითა და $146^{2}$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ჩადენისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას). (3.06.2011. N4735 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.)

$2^{1}$. ამ კოდექსის $119^{1}$ მუხლით და $153^{6}$ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას, თუ შესაბამისი სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას,

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევ პირს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას).(11.10.2011. N5097)

3. ამ კოდექსის $55^5$ და 103-ე მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე და $135^1$ მუხლებით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, $151^1$ და $152^3$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას). (22.03.2011. N4464 ამოქმედდეს 2011 წლის 16 აპრილიდან.

4. ამ კოდექსის $55^5$, 103-ე და $107^4$ მუხლებით, $114^2$ მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, $125^2$ მუხლით, $125^3$ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე და $135^1$ მუხლებით, $146^2$ მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, $151^1$ და $152^3$ მუხლებით და $153^6$ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური. (11.10.2011. N5097)

მუხლი 210. სახანძრო ზედამხედველობის ორგანოები *(29.12.2004 N955)*

1. სახანძრო ზედამხედველობის ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 115-ე და 177-ე მუხლებით.

2. სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ ამ ორგანოების უფლებამოსილ თანამდებობის პირებს – თანამდებობის პირთა დაჯარიმებისა შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე, მოქალაქეთა – შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 211. რკინიგზის ტრანსპორტის ორგანოები (8.05.2012. N6147 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.)

1. საქართველოს რკინიგზის შესაბამისი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის

ფარგლებში განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 44-ე მუხლით (რკინიგზის ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის), 106-ე და 107-ე მუხლებით, 115-ე მუხლის პირველი ნაწილით, 129-ე მუხლის პირველი ნაწილით, 130-ე და 131-ე მუხლებით (რკინიგზის ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის).

2. რკინიგზის ტრანსპორტის ორგანოების სახელით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ საქართველოს რკინიგზის დირექტორთა საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირებს.

3. საქართველოს რკინიგზის შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, ამ კოდექსის 106-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 107-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 129-ე მუხლის პირველი ნაწილით (რკინიგზის ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის), 130-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (რკინიგზის ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის) გათვალისწინებული ჯარიმის გადახდევინების მიზნით საჯარიმო ქვითარი გამოწეროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შეუდგენლად, თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის მისთვის დადებულ ადმინისტრაციულ სახდელს. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული პირი გამოწერს საჯარიმო ქვითარს, ასევე ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

მუხლი 212. საზღვაო ტრანსპორტის ორგანოები

საზღვაო ტრანსპორტის ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის), 112-ე, 113-ე, 114-ე მუხლებით, 115-ე მუხლის პირველი ნაწილით, 129-ე მუხლის პირველი ნაწილით, 130-ე, 131-ე მუხლებით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის).

საზღვაო ტრანსპორტის ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ:

პორტის კაპიტანს და მის მოადგილეს, ცვლის უფროსს, უფროს კაპიტანს და სამხედრო ზედამხედველობის კაპიტანს, საზღვაო ვაგზლის უფროსს და მის მოადგილეს, გემის კაპიტანს;

რაზმის უფროსს და მის მოადგილეს, ცალკეული რაზმის ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკის უფროს ინსტრუქტორს და ინსტრუქტორს.

ცვლის უფროსის, უფროსი კაპიტნის და საპორტო ზედამხედველობის კაპიტნის მიერ დადებული ჯარიმის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს შრომის

ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობას.

ამ მუხლში დასახელებულ თანადებობის პირებს უფლება აქვთ 113-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 129-ე მუხლის პირველი ნაწილით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის) და 130-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის) გათვალისწინებული ჯარიმა გაადაახდევინონ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ოქმის შეუდგენლად, თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის მასზე დაკისრებულ ადმინისტრაციულ სახდელს.

მუხლი 213. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (26.04.2012. N6094 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ამ კოდექსის 109-ე და 111-ე–111[5] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინის-ტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახ-დელების დადების უფლება აქვთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფლებამოსილ პირებს.

მუხლი 214. საავტომობილო ტრანსპორტისა და ელექტროტრანსპორტის ორგანოები (28.04.2006. N2962)

1. საავტომობილო ტრანსპორტისა და ელექტროტრანსპორტის ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 127[1] მუხლის მე-3 ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 129-ე მუხლის მე-2–მე-4 ნაწილებით და 130-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) (საავტომობილო ტრანსპორტსა და ელექტროტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის). *(30.12.2008 N 956)*

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ორგანოების სახელით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ კონტროლიორ-რევიზორს, ბილეთის კონტროლიორს და საავტომობილო ტრანსპორტისა და ელექტროტრანსპორტის (ტროლეიბუსი, ტრამვაი) სხვა, საამისოდ უფლებამოსილ მუშაკებს.

მუხლი 215. შრომის სახელმწიფო ინსპექტორები

შრომის სახელმწიფო ინსპექტორები განიხილავენ კოდექსის 42-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს. ამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ:

ა) შრომის მთავარ სახელმწიფო ინსპექტორს – დაჯარიმებისა შრომის ანაზღაურების ორას მინიმალურ ოდენობამდე;

ბ) შრომის სახელმწიფო ინსპექტორებს – დაჯარიმებისა შრომის ანაზღაურების ას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 216. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 217. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 218. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 219. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანოები

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 165-ე და 194-ე მუხლებით, ხოლო ამ კოდექსის $129^{1}$, 157-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს – თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ:

ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 157-ე, 165-ე, $165^{10}$ და 195-ე მუხლებით, – საგადასახადო ორგანოების უფროსებსა და მათ მოადგილეებს, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილ თანამდებობის პირებს; (5.06.2012. N6395)

ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის $129^{1}$, 194-ე და 195-ე მუხლებით, – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფროსსა და მის მოადგილეებს, სამმართველოს უფროსსა და მის მოადგილეს, რეგიონალური საგადასახადო ორგანოების უფროსებსა და მათ მოადგილეებს, საგადასახადო ორგანოების სხვა, სათანადოდ უფლებამოსილ პირებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სხვა უფლებამოსილ თანამდებობის პირებს; *(17.08.2010 N 3593 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)*

გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, რომელიც

გათვალისწინებულია ამ კოდექსის $179^3$ მუხლით, – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილ პირებს. 3 11.2009. N1930 ამოქმედდეს 2009 წლის 1 დეკემბრიდან.

მუხლი $219^1$. ამოღებულია *(5.12.2008 N 620)*

მუხლი 220. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანოები

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა (რომლებიც ჩადენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების, სამხედრო მოსამსახურეთა და სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვეულ პირთა მიერ) საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილით, 125-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, $196^1$, 197-ე და 198-ე მუხლებით.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ:

ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის $196^1$, 197-ე და 198-ე მუხლებით – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილებების ხელმძღვანელებს;

ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილით, 125-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით – სამხედრო საავტომობილო ინსპექციის თანამდებობის პირებს, უფროსს ან მის მოადგილეს, სამხედრო საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარეს, უფროს ინსპექტორს, აგრეთვე სამხედრო საავტომობილო ინსპექციის შტატგარეშე ინსპექტორებად დადგენილი წესით დანიშნულ ოფიცრებს, გაფრთხილების სახით;

გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის $197^3$ მუხლით – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციას.

3. ოქმებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების, სამხედრო მოსამსახურეთა და სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვეულ პირთა მიერ ჩადენილ იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ, რომელთათვისაც შეიძლება დადებულ იქნეს ადმინისტრაციული სახდელი, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის სახით, სამხედრო საავტომობილო ინსპექცია გადასცემს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს. (29.12.2006. N4322)

მუხლი 221. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის

განმახორციელებელი ორგანო და დაწესებულება

1.სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოები და დაწესებულებები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2.სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოებისა და დაწესებულებების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ: საქართველოს მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმს (მოადგილეს), აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმებს (მოადგილეებს), ქალაქებისა და რაიონების მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმებს (მოადგილეებს). *(08.05.2003 N 2291)*

მუხლი 222. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი *(12.06.2013 N 723 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილ თანამშრომლებს აქვთ ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე, $51^2$, $51^4$, $51^5$, 52-ე, 53-ე, $53^1$, $53^2$, 54-ე, $54^1$, $55^1$, $55^4$, 56-ე, 57-ე–$57^3$, 58-ე, $58^1$, 59-ე, $59^3$, მე-60, $60^3$, $61^1$, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, $69^4$, $69^5$, 71-ე, $72^1$–78-ე, $79^1$, $79^2$, 82-ე–$82^2$, 84-ე–$85^5$, 86-ე მუხლებით (გარდა 86-ე მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილებისა), 89-ე–$89^3$, $103^1$ და $128^3$–$128^5$ მუხლებით, $146^1$ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 151-ე მუხლით (გარდა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) და $173^5$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება.

მუხლი $222^1$. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ორგანოები (24.06.2011. N4943)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ორგანოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აქვთ ამ კოდექსის 185-ე, $185^1$ და $185^2$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება.

მუხლი $222^2$. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო(25.03.2013. N453

ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

ნავთობისა და გაზის სექტორში იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 56-ე, 57-ე, $57^{2}$, $96^{2}$ და $173^{5}$ მუხლებით, განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფლებამოსილ თანამშრომლებს.

მუხლი 223. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირები განიხილავენ ამ კოდექსის $98^{1}$, $179^{4}$ და $179^{5}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს.
2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების შეფარდების უფლება აქვთ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილ პირებს.

მუხლი $223^{1}$. პირველადი წყალმოსარგებლეები (17.12.2010. N4141 ამოქმედდეს 2011 წლის 3 იანვრიდან.)

ამ კოდექსის $96^{4}$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს ადგილზე განიხილავს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს პირველადი წყალმოსარგებლეების მიერ უფლებამოსილი პირი.

მუხლი 224. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 225. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3*

*აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 225[1]. ამოღებულია (28.10.2010. N3779)

მუხლი 226. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 227. ამოღებულია *(საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128)*

მუხლი 228. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია *(23.12.2004 N 783)*

ამ კოდექსის 141-ე, 142-ე, 144[1] და 144[3]–144[5] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.

მუხლი 228[1]. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია *(20.11.2007 N5471)*

ამ კოდექსის 92[1] მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას.

მუხლი 228[2]. ელექტროენერგეტიკის ან ბუნებრივი გაზის სექტორის ლიცენზიატი, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური *(16.07.2010 N 3448 ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან)*

1. ამ კოდექსის 96[1] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ შესაბამისად ელექტროენერგეტიკის ან ბუნებრივი გაზის სექტორის სათანადო ლიცენზიატებს და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს ან მათ მიერ უფლებამოსილ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს.

2. ამ კოდექსის 96[1] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის ფიზიკური პირის დაჯარიმების შესახებ დადგენილებას იძულებით აღასრულებენ შესაბამისად ელექტროენერგეტიკის ან ბუნებრივი გაზის სექტორის სათანადო ლიცენზიატები და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების მიხედვით. თუ ამ ნაწილში მითითებულმა პირებმა ვერ განახორციელეს იძულებითი აღსრულება, ფიზიკური პირის დაჯარიმების შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. ამ კოდექსის $96^1$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის იურიდიული პირის/დაწესებულების დაჯარიმების შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი $228^3$. სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები *(16.07.2010 N 3448 ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან)*

1. ამ კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ სასმელი წყლის მიმწოდებელ კომპანიებს ან მათ მიერ უფლებამოსილ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს.

2. ამ კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის ფიზიკური პირის დაჯარიმების შესახებ დადგენილებას იძულებით აღასრულებენ სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. თუ ამ ნაწილში მითითებულმა პირებმა ვერ განახორციელეს იძულებითი აღსრულება, ფიზიკური პირის დაჯარიმების შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. ამ კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის იურიდიული პირის/დაწესებულების დაჯარიმების შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 229. ამოღებულია (*24.06.2005 N 1789 გამოქვეყნებადან 15-ე დღეს)*

მუხლი $229^1$. ამოღებულია *(25.11.2004 N 604)*

მუხლი $229^2$. ამოღებულია*(22.03.2005 N 1126)*

მუხლი $229^3$. ამოღებულია (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

მუხლი $229^4$. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ღვინის ეროვნული სააგენტო (24.11.2011. N5300)

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ღვინის ეროვნული სააგენტო განიხილავს ამ კოდექსის $105^2$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და

ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

მუხლი $229^5$. **ამოღებულია** *(21.07.2010 N 3535 ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან)*

მუხლი $229^6$. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები (27.12.2011. N5653 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის ორგანოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აქვთ ამ კოდექსის $173^{13}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება.

კარი მეოთხე
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება
თავი XVII
ძირითადი დებულებანი

მუხლი 230. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანები

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა, მისი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, გამოტანილი დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა, აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, მოქალაქეთა აღზრდა კანონის დაცვის სულისკვეთებით, კანონიერების განმტკიცება.

მუხლი 231. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი იმ ორგანოებში (თანამდებობის პირთა მიერ), რომლებიც უფლებამოსილნი არიან განიხილონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, განისაზღვრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსით, საქართველოს რესპუბლიკის სხვა ნორმატიული *(04.07.2002 N1625)* აქტებით და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი სასამართლოებში განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 232. გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებას

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს:

1) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო;

2) იმ პირთა მიმართ, ვისაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებია თექვსმეტი წელი;

3) მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თუ უმოქმედობის ჩამდენი პირის შეურაცხადობის გამო;

4) თუ პირი მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობისა ან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში;

5) ამნისტიის აქტის მიღების გამო, თუ იგი აუქმებს ადმინისტრაცული სახდელის გამოყენებას;

6) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი აქტის გაუქმების გამო;

7) თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის მომენტისათვის განვლო ამ კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებულმა ვადებმა;

8) თუ არსებობს იმავე ფაქტზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ კომპეტენტური ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ან ამხანაგური სასამართლოს გაუუქმებელი გადაწყვეტილება, თუ მასალები ამხანაგურ სასამართლოს გადასცა იმ ორგანომ (თანამდებობის პირმა), რომელსაც აქვს მოცემულ საქმეზე ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება, ან გაუუქმებელი დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე ამავე ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის არსებობისას;

9) იმ პირის გარდაცვალების გამო, რომლის მიმართ დაწყებული იყო საქმის წარმოება.

10) ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე, $51^1$–$51^5$, 52-ე, 53-ე, $53^1$, $53^2$, 54-ე, $54^1$, 55-ე, $55^1$–$55^5$, 56-ე, 57-ე, $57^1$–$57^3$, 58-ე, $58^1$, $58^2$, 59-ე, $59^3$, მე-60, $60^3$, 61-ე, $61^1$, 63-ე, $63^1$, 64-ე, $64^1$, 65-ე, 66-ე, $66^1$, $66^2$, 67-ე, $67^1$, 68-ე, 69-ე, $69^4$, $69^5$, 71-ე, $72^1$, 73-ე–78-ე, $79^1$, $79^2$, 82-ე, $82^1$, $82^2$, 84-ე, $84^1$, 85-ე, $85^1$–$85^5$, 86-ე, 89-ე, $89^1$–$89^3$, $91^2$, $96^2$, $103^1$, 104-ე, $128^2$–$128^5$, $146^1$, $146^2$, 148-ე, 150-ე, 151-ე, $151^1$, 152-ე, $152^3$, $165^2$ და $173^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის, თუ სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ან იმ პირის მიერ, რომლის უფლებამოსილების ფარგლებშიც

მოქმედებდა იგი, დადებულია „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის $57^{10}$ მუხლით გათვალისწინებული შეთანხმება, რომელიც მოიცავს პერიოდს, როდესაც ჩადენილ იქნა ზემოხსენებული სამართალდარღვევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთანხმება გაუქმებულია. (20.03.2012.N5916) ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

მუხლი 233. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავენ კანონის და საქმის განმხილველი ორგანოს (თანამდებობის პირის) წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის საწყისებზე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად.

მუხლი 234. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ღია განხილვა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება ღიად.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების აღმზრდელობით და გამაფრთხილებელი როლის ამაღლების მიზნით ასეთი საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს უშუალოდ შრომით კოლექტივებში, დამრღვევის სწავლის ან საცხოვრებელ ადგილას.

მუხლი $234^{1}$. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვა (28.04.2006. N2962)

ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე, რაც გულისხმობს საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამორკვევას, მის გადაწყვეტას საქართველოს კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, ადგილზე ადმინისტრაციული სახდელის დადებას და საჯარიმო ქვითრის ჩაბარებას დამრღვევისათვის.

მუხლი 235. საპროკურორო ზედამხედველობა კანონების შესრულებაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებისას

პროკურორს, ახორციელებს რა ზედამხედველობას კანონების შესრულებაზე

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებისას, უფლება აქვს: აღძრას წარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ; გაეცნოს საქმის მასალებს; შეამოწმოს ორგანოების (თანამდებობის პირთა) მოქმედების კანონიერება საქმის წარმოების დროს; მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში; განაცხადოს შუამდგომლობანი, მისცეს დასვნები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ საკითხებზე; შეამოწმოს შესაბამისი ორგანოების (თანამდებობის პირთა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების სისწორე; გააპროტესტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის გამო შეტანილ საჩივარზე მიღებული დადგენილება და გადაწყვეტილება; შეაჩეროს დადგენილების აღსრულება, აგრეთვე შეასრულოს კანონით გათვალისწინებული სხვა მოქმედებანი.

მუხლი 236. მტკიცებულებანი (28.04.2006. N2962)

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

2. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით. *(8.05.2007 N4707)*

მუხლი 237. მტკიცებულებათა შეფასება

ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათს ერთობლიობაში.

მუხლი 238. პროკურორისათვის ან გამოძიების ორგანოსათვის მასალების გადაცემა *(24.09.2010. N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)*

თუ საქმის განხილვის დროს ორგანო (თანამდებობის პირი) დაასკვნის, რომ დარღვევა შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, იგი მასალებს გადასცემს პროკურორს ან გამოძიების ორგანოს.

## თავი XVIII
## ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

მუხლი 239. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ შედგება ოქმი, საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისა თუ საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოს წარმომადგენლის მიერ, ოქმი არ დგება ამ კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

2. ამ კოდექსის $42^{1}$ და $42^{2}$ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს კოლექტიური შრომითი დავის მომწესრიგებელი სამსახური;

$2^{1}$. ამ კოდექსის $42^{3}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. (24.06.2004. N1789 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

3. ამ კოდექსის $57^{2}$ მუხლით, $60^{1}$ მუხლის მე-2 ნაწილით, 61-ე, 95-ე, $128^{1}$ და $173^{5}$ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები. (8.04.2010. N2914)

4. ამ კოდექსის 48-ე–49-ე, 51-ე–$51^{2}$, $51^{4}$, $51^{5}$, 52-ე, 53-ე, $53^{1}$, $53^{2}$, 54-ე, $54^{1}$, $55^{1}$, $55^{4}$, 56-ე, 57-ე–59-ე, $59^{3}$, მე-60, $60^{3}$, $61^{1}$, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, $69^{4}$, $69^{5}$, 71-ე, $72^{1}$–78-ე, $79^{1}$, $79^{2}$, 82-ე–$82^{2}$, 84-ე–86-ე, 89-ე–$89^{3}$, $91^{2}$, $103^{1}$, 104-ე და $128^{2}$–$128^{5}$ მუხლებით, $146^{1}$ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 151-ე მუხლით (გარდა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) და $173^{5}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლები. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

$4^{1}$. ამ კოდექსის $59^{2}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი თანამშრომლები. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

$4^{2}$. ამ კოდექსის 48-ე მუხლით, 49-ე მუხლის მე-2 ნაწილით, $51^{1}$, $51^{2}$, $53^{1}$ , $55^{4}$, 58-ე, $58^{1}$, $58^{2}$, 59-ე, მე-60, $60^{3}$, $61^{1}$, 63-ე , $63^{1}$, $64^{1}$ და 65-ე მუხლებით, 66-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, $66^{1}$–69-ე, $69^{4}$ და $69^{5}$ მუხლებით, 71-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 73-ე, 76-ე, 77-ე, 78-ე, $79^{1}$, $79^{2}$, 82-ე და $82^{1}$ მუხლებით, $82^{2}$ მუხლის პირველი–მე-4 ნაწილებით, 84-ე, 85-ე–$85^{5}$, 86-ე მუხლებით (გარდა 86-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებისა), 89-ე–$89^{3}$, $91^{2}$, $128^{2}$ მუხლებით (გარდა $128^{2}$ მუხლის მე-2, მე-6

და მე-7 ნაწილებისა), $146^{1}$ და $173^{5}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალ- დარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. (5.05.2011 N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან) **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

$4^{3}$. ამ კოდექსის 51-ე და $51^{2}$ და $54^{1}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები. (5.05.2011 N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

5. ამოღებულია (23.06.2005 N1765)

6. ამ კოდექსის 95-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ აგრეთვე გაზის მეურნეობის საამისოდ უფლებამოსილი მუშაკები თავისი კომპეტენციის ფარგლებში. (29.12.2004. N976)

7. ამოღებულია (23.06.2005 N1765)

8. ამოღებულია (25.07.2006. N3516)

9. ამ კოდექსის $92^{1}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი. (20.11.2007. N5471)

10. ამ კოდექსის 88-ე და $144^{10}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილი პირები ან მისი მმართველობის სფეროში შემავალი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში. (29.06.2012. N6609 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

$10^{1}$. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ამ კოდექსის 88-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი პირები. (29.06.2012. N6609 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

11. ამ კოდექსის $107^{1}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ პოლიციის, რკინიგზის, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის ორგანოების მიერ უფლებამოსილი თანამდებობის პირები;

12. ამ კოდექსის $107^{2}$ და $107^{3}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების დაცვისადმი ზედამხედველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირები;

13. ამ კოდექსის 45-ე, 81-ე, 107-ე, $114^{1}$, $114^{2}$, 116-ე, 117-ე, 118-ე–123-ე, 125-ე და 127-ე მუხლებით, $127^{1}$ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 134-ე, 150-ე და $153^{3}$ მუხლებით, $153^{6}$ მუხლის მე-2 ნაწილით, 166-ე, 173-ე, $174^{1}$, $175^{2}$, $176^{1}$, $177^{1}$, 180-ე–183-ე, 190-ე და $190^{2}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 166-ე და $197^{2}$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში ოქმებს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი. (11.10.2011. N5097)

$13^{1}$. ამ კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის მიმართ ჩადენისას, აგრეთვე ამავე კოდექსის 246-ე მუხლის „$გ^{1}$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი. (24.06.2011. N4958)

$13^{2}$. ამ კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს აღსრულების პოლიციელი. (28.10.2011. N5171 ამოქმედდეს 2011 წლის 1 დეკემბრიდან)

14. ამ კოდექსის $51^{3}$, $53^{3}$, 55-ე, $55^{2}$, $55^{3}$ და $107^{4}$ მუხლებით, $114^{2}$ მუხლის მე-6 ნაწილით, $119^{1}$ მუხლით, $127^{1}$ მუხლის მე-5 ნაწილით, 145-ე, $146^{1}$, 148-ე, 150-ე, $150^{1}$, 151-ე, 152-ე და $153^{4}$ მუხლებით, $153^{6}$ მუხლის მე-2 ნაწილით, 159-ე და $159^{1}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები. (11.10.2011. N5097)

15. ამოღებულია (29.12.2012. N4283)

16. ამ კოდექსის 153-ე, $153^{1}$, $154^{1}$, $154^{2}$, $155^{1}$, 158-ე, $158^{1}$, $159^{4}$, 163-ე, $165^{3}$ და 178-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ორგანოები ან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანოების უფლებამოსილი პირები. (22.06.2011. N6550 ამოქმედდეს 2012 წლის 1 ივლისიდან)

$16^{1}$. ამ კოდექსის $159^{10}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები და შინაგან საქმეთა ორგანოების უფლებამოსილი პირები. (22.05.2012. N6246 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

17. ამოღებულია (02.10.2008. N309)

18. ამ კოდექსის $173^{3}$ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს შეადგენს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე;

19. ამ კოდექსის 153-ე, $153^{1}$, $153^{5}$, $155^{1}$–$155^{6}$, 157-ე, 158-ე, 164-ე, $164^{4}$, 165-ე–$165^{3}$, 178-ე, $179^{3}$, 194-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირები. (1.07.2011N5004 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

20. ამ კოდექსის $173^{4}$ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს სახალხო დამცველი;

21. ამ კოდექსის $173^{5}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ კანონით განსაზღვრული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები;

22. ამ კოდექსის $179^{2}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები; (18.12.2009. N2384 ამოქმედდეს 2010 წლის 1 მარტიდან)

23. ამ კოდექსის $174^{2}$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, მისდამი დაქვემდებარებული საარჩევნო კომისიები, მის მიერ უფლებამოსილი პირები ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები; (28.12.2011. N5662)

24. $177^{8}$, $177^{9}$ და $177^{10}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენენ სახელმწიფო გეოდეზიური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორები და ადგილობრივი თვითმმართველობისა ან მმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები;

$24^{1}$. ამოღებულია (25.07.2006. N3516)

$24^{2}$. ამოღებულია

$24^{3}$. ამოღებულია (24.06.2005. N1789 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

25. ამოღებულია (08.05.2012, №6156);

26. ამოღებულია (01.07.2011, №5004);

27. ამ კოდექსის $55^{5}$, $107^{2}$ და $107^{3}$ მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, $125^{2}$ და $125^{3}$ მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე, $135^{1}$, $146^{2}$,

$150^{1}$, $151^{1}$, $152^{2}$ და $152^{3}$ მუხლებითა და $153^{6}$ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ოქმს ადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახურები ან მათ მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი; (11.10.2011. N5097)

28. ამ კოდექსის $127^{1}$ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი პირი; (22.02.2011. N4223 ამოქმედდეს 2011 წლის 15 აპრილიდან)

29. ამ კოდექსის $91^{2}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ორგანო კანონით უფლებამოსილი ორგანოს დასკვნის საფუძველზე. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

30. ამოღებულია (16.12.2005. N2262)

31. ადგილობრივი ტყის ფონდის მიწებზე ამ კოდექსის 49-ე, 51-ე, $51^{2}$, 52-ე, 63-ე, 64-ე, 65-$65^{1}$, 66-67-ე, 68-ე, 71-ე, 73-76-ე და 86-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ უფლებამოსილი თანამდებობის პირები;

32. ამოღებულია (08.05.2003. N2292)

33. ამ კოდექსის $157^{1}$–$157^{4}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები ან ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები; (28.06.2010. N3160)

34. ამ კოდექსის 94-ე მუხლით ენერგეტიკის სფეროში გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია; (20.11.2007. N5471)

35. ამ კოდექსის 141–142-ე, $144^{1}$–$144^{9}$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ოქმს ადგენენ საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საამისოდ უფლებამოსილი პირები;

36. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების და ნავთობის გადამუშავების, ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების საქმიანობის სფეროში ჩადენილ, ამ კოდექსის 56-ე, 57-ე, $57^{2}$, $96^{2}$ და $173^{5}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირი. *(25.03.2013. N453 ამოქმედდეს*

*გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)*

37. ამ კოდექსის $159^{5}$–$159^{9}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლებამოსილი პირები ან/და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანოები. (22.06.2012. N6550 ამოქმედდეს 2012 წლის 1 ივლისიდან)

38. ამ კოდექსის $44^{2}$, $44^{5}$ და $44^{7}$–$44^{12}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები. (22.05.2012. N6446 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

39. ამ კოდექსის $105^{2}$ მუხლითა და $164^{5}$ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ღვინის ეროვნული სააგენტო; (24.11.2011. N6550)

$39^{1}$. ამოღებულია (08.05.2012, №6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს);

40. ამოღებულია (24.02.2004. N3409)

41. ამ კოდექსის $58^{2}$ მუხლითა და 86-ე მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ გამოვლენის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოსთან ერთად). ამ კოდექსის 86-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-5–მე-10 და მე-12–მე-15 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სასაზღვრო ზოლსა და ზონაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ გამოვლენის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოსთან ერთად). *(12.06.2013 N 723 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

42. ამ კოდექსის $46^{1}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირები;

43. ამოღებულია (03.06.2005. N1555)

44. ამ კოდექსის 43-ე, 44-ე, $44^{1}$, $44^{3}$ მუხლებით, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილით, $60^{1}$ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, $60^{3}$, $173^{5}$, $177^{11}$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ოქმს ადგენენ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები;

45. ამ კოდექსის $178^1$–$178^2$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები, ხოლო $178^3$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ერთობლივად ადგენენ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირები. (20.11.2007. N5471)

46. ამ კოდექსის $42^5$–$42^9$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამოსილი პირები;

47. ამ კოდექსის $139^2$ და $139^3$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – სახმელეთო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოების უფლებამოსილ თანამდებობის პირებს, ხოლო $139^4$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება – შესაბამისი დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების უფლებამოსილ თანამდებობის პირებს. (22.05.2011. N4223 ამოქმედდეს 2011 წლის 15 აპრილიდან)

$47^1$. ამ კოდექსის 109-ე და 111-ე–$111^5$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფლებამოსილი პირები. (26.04.2012. N6094 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

48. ამ კოდექსის $155^3$–$155^6$, $171^1$–$171^3$ და 191-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. (5.12.2008. N620)

49. ამოღებულია (08.05.2012, №6156)*;*

50. ამ კოდექსის $96^1$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს ელექტროენერგეტიკის ან ბუნებრივი გაზის სექტორის სათანადო ლიცენზიატი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. (20.11.2007. N5471)

51. ამ კოდექსის $44^4$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროების და

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები. (29.12.2004. N976 ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან)

52. ამოღებულია (8.04.2010. N2914)

$52^{1}$. ამ კოდექსის $129^{1}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის შემთხვევებში ქვეყნის საზღვრების შიგა სივრცეში ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას ან მის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვებისას – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები. (27.03.2012. N5953)

53. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 166-ე, $197^{2}$ და $197^{3}$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირი. (29.12.2006. N4326)

54. ამოღებულია (28.12.2011, №5662).

55. ამ კოდექსის 185-ე, $185^{1}$ და $185^{2}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები. (24.06.2011. N943)

56. ამ კოდექსის $128^{2}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები ან/და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

57. ამ კოდექსის 99-ე და $165^{10}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

58. ამოღებულია (21.07.2010. N3535 ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან)

59. ამოღებულია – (27.12.2011, №5653 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს).

60. ამ კოდექსის $172^{4}$, $172^{5}$, $173^{6}$, $173^{7}$, $173^{9}$ და $175^{1}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოებისა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები, ხოლო ამ კოდექსის $173^{13}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები. (15.12.2010. N4072 ამოქმედდეს 2011 წლის 1 თებერვლიდან)

60[1]. ამ კოდექსის 172-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების უფლებამოსილი პირები.(22.05.2012. N6246 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

61. ამ კოდექსის 96[4] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს პირველადი წყალმოსარგებლე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. (18.12.2009. N2389 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ივლისიდან)

62. ამ კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. (28.06.2010. N3166)

63. ამ კოდექსის 173[12] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს სასამართლო. (24.09.2010. N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)

*საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 4 სექტემბრის ბრძანებულება №2790 – საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, №9, სექტემბერი, 1990 წ., მუხ.241*
*საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 ივნისის კანონი – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №6, ივნისი, 1991 წ., მუხ.429*
*საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ.I, 1992 წ., მუხ.128*
*საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 8 ივლისის კანონი №290 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №9, ივლისი, 1993 წ., მუხ.160*
*საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 13 ივლისის კანონი №298 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №9, ივლისი, 1993 წ., მუხ.168*
*საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 15 თებერვლის კანონი №416 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №15, თებერვალი, 1994 წ., მუხ.287*
*საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი №436 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №16, მარტი, 1994 წ., მუხ.308*
*საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 30 ივნისის კანონი №541 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №19, ივნისი, 1994 წ., მუხ.418*
*საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 23 თებერვლის კანონი №656 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №27-30, 1994-1995წწ., მუხ.663*
*საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 7 მარტის კანონი №667 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №23-26, დეკემბერ-მარტი, 1994-1995წწ., მუხ.542*
*საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 19 სექტემბრის კანონი №808 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №31-33, აგვისტო-ოქტომბერი, 1995 წ., მუხ.689*

*საქართველოს 1996 წლის 31 მაისის კანონი №263 – პარლამენტის უწყებანი, №15, 19.06.1996წ., გვ.15*
*საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის კანონი №313 – პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.07.1996წ., გვ. 32*
*საქართველოს 1996 წლის 18 სექტემბრის კანონი №383 – პარლამენტის უწყებანი, №24-25/3, 06.11.1996წ., გვ. 12*
*საქართველოს 1996 წლის 12 ნოემბრის კანონი №478 – პარლამენტის უწყებანი, №31-32/6, 25.12.1996წ., გვ.11*
*საქართველოს1996 წლის 27 ნოემბრის კანონი №510 – პარლამენტის უწყებანი, №31-32/6 , 25.12.1996წ., გვ.4*
*საქართველოს1997 წლის 17აპრილის კანონი №648 – პარლამენტის უწყებანი, №17-18, 09.05.1997წ., გვ.44*
*საქართველოს 1997 წლის 1 მაისის კანონი №682 – პარლამენტის უწყებანი, №21-22, 31.05.1997წ., გვ. 3*
*საქართველოს 1997 წლის 12 ივნისის კანონი №759 – პარლამენტის უწყებანი, №33, 31.07.1997წ., გვ.3*
*საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონი №815 – პარლამენტის უწყებანი, №33, 31.07.1997წ., გვ.11*
*საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი №974 – პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997წ., გვ.81*
*საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი №984 – პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997წ., გვ.83*
*საქართველოს 1997 წლის 12 ნოემბრისკანონი №1073 – პარლამენტის უწყებანი, №46, 03.12.1997წ., გვ. 23*
*საქართველოს 1997 წლის 10 დეკემბრის კანონი №1141 – პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997წ., გვ. 163*
*საქართველოს 1998 წლის 18 თებერვლის კანონი №1231 – პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998წ., გვ. 24*
*საქართველოს1998 წლის 28 აპრილის კანონი №1347 – პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998წ., გვ. 17*
*საქართველოს1998 წლის 28 აპრილის კანონი №1349 – პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998წ., გვ. 18*
*საქართველოს 1998 წლის 17 სექტემბრის კანონი №1573 – სსმ I, №2, 26.10.1998წ., მუხ.6*
*საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონი №1682 – სსმ I, №4, 20.11.1998წ., მუხ.39*
*საქართველოს 1998 წლის 25 ნოემბრის კანონი №1698 – სსმ I, №6, 24.12.1998წ., მუხ.46*
*საქართველოს 1998 წლის 24 დეკემბრის კანონი №1747 – სსმ I, №1(8), 14.01.1999წ., მუხ.2*
*საქართველოს 1999 წლის 30 აპრილის კანონი №1934 – სსმ I, №15(22), 14.05.1999წ., მუხ.63*
*საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №1981 – სსმ I, №19(26), 04.06.1999წ., მუხ.77*

*საქართველოს 1999 წლის 9 ივნისის კანონი №2070 – სსმ I, №24(31), 26.06.1999წ., მუხ.109*
*საქართველოს 1999 წლის 22 ივნისის კანონი №2130 – სსმ I, №25(32), 02.07.1999წ., მუხ.133*
*საქართველოს 1999 წლის 23 ივნისის კანონი №2148 – სსმ I, №27(34), 06.07.1999წ., მუხ.143*
*საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის კანონი №2299 – სსმ I, №40(47), 11.08.1999წ., მუხ.203*
*საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2382 – სსმ I, №43(50), 21.09.1999წ., მუხ.221*
*საქართველოს 2000 წლის 10 მარტის კანონი №199 – სსმ I, №12, 27.03.2000წ., მუხ.28*
*საქართველოს 2000 წლის 24 მარტის კანონი №244 – სსმ I, №13, 13.04.2000წ., მუხ.34*
*საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №285 – სსმ I, №18, 15.05.2000წ., მუხ.47*
*საქართველოს 2000 წლის 14 ივნისის კანონი №380 – სსმ I, №24, 30.06.2000წ., მუხ.65*
*საქართველოს 2000 წლის 28 ივნისის კანონი №419 – სსმ I, №26, 13.07.2000წ., მუხ.76*
*საქართველოს 2000 წლის 29 ივნისის კანონი №439 – სსმ I, №26, 13.07.2000წ., მუხ.77*
*საქართველოს 2000 წლის 13 დეკემბრის კანონი №686 – სსმ I, №51, 30.12.2000წ., მუხ.149*
*საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №753 – სსმ I, №6, 20.03.2001 წ., მუხ.12*
*საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №765 – სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.18*
*საქართველოს 2001 წლის 19 ივნისის კანონი №934 – სსმ I, №19, 02.07.2001წ., მუხ.64*
*საქართველოს 2001 წლის 12 ოქტომბრის კანონი №1106 – სსმ I, №31, 01.11.2001წ., მუხ.123*
*საქართველოს 2001 წლის 8 დეკემბრის კანონი №1193 – სსმ I, №36, 31.12.2001წ., მუხ.141*
*საქართველოს 2002 წლის 1 მარტის კანონი №1316 – სსმ I, №5, 21.03.2002წ., მუხ.31*
*საქართველოს 2002 წლის 21 ივნისის კანონი №1567 – სსმ I, №21, 12.07.2002წ., მუხ.95*
*საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1619 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ.109*
*საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1621 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ.110*
*საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1625 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ.112*
*საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1637 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ.118*
*საქართველოს 2002 წლის 6 ნოემბრის კანონი №1708 – სსმ I, №30, 27.11.2002წ., მუხ.133*
*საქართველოს 2002 წლის 19 ნოემბრის კანონი №1738 – სსმ I, №31, 10.12.2002წ., მუხ.136*
*საქართველოს 2002 წლის 19 ნოემბრის კანონი №1753 – სსმ I, №31, 10.12.2002წ., მუხ.139*
*საქართველოს 2002 წლის 22 ნოემბრის კანონი №1770 – სსმ I, №31, 10.12.2002წ., მუხ.145*
*საქართველოს 2002 წლის 25 დეკემბრის კანონი №1859 – სსმ I, №3, 17.01.2003წ., მუხ.12*
*საქართველოს 2003 წლის 28 მარტის კანონი №2030 – სსმ I, №9, 16.04.2003წ., მუხ.49*
*საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი №2291 – სსმ I, №15, 04.06.2003წ., მუხ.111*

*საქართველოს 2003 წლის 6 ივნისის კანონი №2352 – სსმ I, №18, 24.06.2003წ., მუხ.116*
*საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კანონი №2577 – სსმ I, №23, 12.08.2003წ., მუხ.170*
*საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი №2963 – სსმ I, №27, 10.09.2003წ., მუხ.198*
*საქართველოს 2003 წლის 5 დეკემბრის კანონი №3136 – სსმ I, №32, 22.12.2003წ., მუხ.234*
*საქართველოს 2004 წლის 24 თებერვლის კანონი №3409 – სსმ I, №5, 04.03.2004წ., მუხ.18*
*საქართველოს 2004 წლის 28 ოქტომბრის კანონი №549 - სსმ I, №33, 12.11.2004 წ., მუხ.158*
*საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის კანონი №604 - სსმ I, №37,16.12. 2004 წ., მუხ.177*
*საქართველოს 2004 წლის 9 დეკემბრის კანონი №662 - სსმ I, №37, 16.12.2004 წ., მუხ.184*
*საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონი №923 - სსმ I, №41, 30.12.2004 წ., მუხ.204*
*საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონი №961 - სსმ I, №3, 14.01.2005წ., მუხ.12*
*საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონი №976 - სსმI, №4, 17.01.2005წ., მუხ.18*
*საქართველოს 2005 წლის 25 თებერვლის კანონი №1056 - სსმ I, №9, 17.03.2005 წ., მუხ.61*
*საქართველოს 2005 წლის 22 მარტის კანონი №1126 - სსმ I, №13, 12.04.2005 წ., მუხ.78*
*საქართველოს 2005 წლის 13 მაისის კანონი №1442 - სსმ I, №23, 25.05.2005წ., მუხ.158*
*საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1555 - სსმ I, №31, 27.06.2005წ., მუხ.193*
*საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1732 - სსმ I, №38, 15.07.2005წ., მუხ.246*
*საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1753 - სსმ I, №38, 15.07.2005წ., მუხ.251*
*საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1756 - სსმ I, №38, 15.07.2005წ., მუხ.252*
*საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1768 - სსმ I, №38, 15.07.2005წ., მუხ.253*
*საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1789 - სსმ I, №40, 18.07.2005წ., მუხ.277*
*საქართველოს 2005 წლის 1 ივლისის კანონი №1857 - სსმ I, №38, 15.07.2005წ., მუხ.257*
*საქართველოს 2005 წლის 9 ნოემბრის კანონი №2024 - სსმ I. №48, 29.11.2005წ., მუხ.321*
*საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2262 - სსმ I, №56, 28.12.2005წ., მუხ.389*
*საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2962 - სსმ I, №15, 16.05.2006წ., მუხ.110*
*საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3173 - სსმ I, №17, 30.05.2006წ., მუხ.117*
*საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3180 - სსმ I, №17, 30.052006წ., მუხ.125*
*საქართველოს 2006 წლის 23 ივნისის კანონი №3382 - სსმ I, №24, 29.06.2006წ., მუხ.190*
*საქართველოს 2006 წლის 23 ივნისის კანონი №3396 - სსმ I, №26, 14.07.2006 წ., მუხ.217*
*საქართველოს 2006 წლის 24 ივლისის კანონი №3500 - სსმ I, №35, 03.08.2006 წ., მუხ.256*
*საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3516 - სსმ I, №36, 04.08.2006 წ., მუხ.261*
*საქართველოს 2006 წლის 7 დეკემბრის კანონი №3835 - სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.316*

*საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4232 - სსმ I, №50, 30.12.2006წ., მუხ.383*
*საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4258 - სსმ I, №51, 31.12.2006წ., მუხ.418*
*საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4283 - სსმ I, №5, 15.01.2007წ., მუხ.66*
*საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4296 - სსმ I, №1, 03.01.2007წ., მუხ.8*
*საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4305 - სსმ I, №51, 31.12.2006წ., მუხ.413*
*საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4326 - სსმ I, №4, 12.01.2007წ., მუხ.63*
*საქართველოს 2007 წლის 2 მარტის კანონი №4413 - სსმ I, №8, 23.03.2007წ., მუხ.77*
*საქართველოს 2007 წლის 30 მარტის კანონი №4600 - სსმ I, №11, 10.04.2007წ., მუხ.104*
*საქართველოს 2007 წლის 8 მაისის კანონი №4713 - სსმ I, №18, 22.05.2007წ., მუხ.143*
*საქართველოს 2007 წლის 5 ივნისის კანონი №4863 - სსმ I, №22, 19.06.2007წ., მუხ.192*
*საქართველოს 2007 წლის 8 ივნისის კანონი №4917 - სსმ I, №22, 19.06.2007წ., მუხ.200*
*საქართველოს 2007 წლის 3 ივლისის კანონი №5179 - სსმ I, №28, 18.07.2007წ., მუხ.276*
*საქართველოს 2007 წლის 11 ივლისის კანონი №5242 - სსმ I, №29, 27.07.2007წ., მუხ.306*
*საქართველოს 2007 წლის 11 ივლისის კანონი №5244 - სსმ I, №29, 27.07.2007წ., მუხ.303*
*საქართველოს 2007 წლის 11 ივლისის კანონი №5272 - სსმ I, №30, 30.07.2007წ., მუხ.343*
*საქართველოს 2007 წლის 20 ნოემბრის კანონი №5471 - სსმ I, №40, 03.12.2007წ., მუხ.382*
*საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5627 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.417*
*საქართველოს 2008 წლის 18 ივნისის კანონი №25 - სსმ I, №11, 04.07.2008წ., მუხ.81*
*საქართველოს 2008 წლის 2 ოქტომბრის კანონი №309 - სსმ I, №24, 20.10.2008წ., მუხ.155*
*საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №620 - სსმ III, №35, 05.12.2008წ., მუხ.226*
*საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №630 - სსმ I, №36, 12.12.2008წ., მუხ.238*
*საქართველოს 2008 წლის 30 დეკემბრის კანონი №956 - სსმ I, №41, 30.12.2008წ., მუხ.330*
*საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონი №1142 - სსმ I, №9, 13.04.2009წ., მუხ.36*
*საქართველოს 2009 წლის 11 ივლისის კანონი №1388 - სსმ I, №21, 03.08.2009წ., მუხ.106*
*საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი №2389 - სსმ I, №48, 29.12.2009წ., მუხ.367*
*საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი №2384 - სსმ I, №50, 31.12.2009წ., მუხ.401*
*საქართველოს 2009 წლის 28 დეკემბრის კანონი №2512 - სსმ I, №3, 13.01.2010წ., მუხ.9*
*საქართველოს 2010 წლის 8 აპრილის კანონი №2914 - სსმ I, №20, 19.04.2010წ., მუხ.115*
*საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი №3007 - სსმ I, №23, 04.05.2010წ., მუხ.142*
*საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3054 - სსმ I, №26, 20.05.2010წ., მუხ.174*
*საქართველოს 2010 წლის 18 ივნისის კანონი №3116 - სსმ I, №30, 29.06.2010წ., მუხ.193*

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი №3160 - სსმ I, №34, 09.07.2010წ., მუხ.201
საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი №3166 - სსმ I, №34, 09.07.2010წ., მუხ.202
საქართველოს 2010 წლის 6 ივლისის კანონი №3361 - სსმ I, №41, 21.07.2010წ., მუხ.261
საქართველოს 2010 წლის 16 ივლისის კანონი №3448 - სსმ I, №44, 28.07.2010წ., მუხ.275
საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი №3554 - სსმ I, №46, 04.08.2010წ., მუხ.280
საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი №3535 - სსმ I, №47, 05.08.2010წ., მუხ.305

საქართველოს 2010 წლის 24 სექტემბრის კანონი №3619 - სსმ I, №51, 29.09.2010 წ., მუხ.332

საქართველოს 2010 წლის 17 სექტემბრის კანონი №3593 - სსმ I, №54, 12.10.2010 წ., მუხ.345
საქართველოს 2010 წლის 28 ოქტომბრის კანონი №3779 - სსმ I, №63, 10.11.2010 წ., მუხ.406
საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კანონი №4067 - სსმI,№74,24.12.2010 წ.,მუხ.457
საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კანონი №4035 - სსმI,№76,29.12.2010 წ.,მუხ.490
საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კანონი №4072 - სსმI,№76,29.12.2010 წ.,მუხ.502
საქართველოს 2010 წლის 17 დეკემბრის კანონი №4133 - სსმI,№76,29.12.2010 წ.,მუხ.509
საქართველოს 2010 წლის 17 დეკემბრის კანონი №4145 - სსმI,№76,29.12.2010 წ.,მუხ.517

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4223 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

საქართველოს 2011 წლის 11 მარტის კანონი №4429 – ვებგვერდი, 17.03.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 11 მარტის კანონი №4451 – ვებგვერდი, 25.03.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 22 მარტის კანონი №4464 – ვებგვერდი, 05.04.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 5 მაისის კანონი №4651 - ვებგვერდი,13.05.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 17 მაისის კანონი №4684 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 3 ივნისის კანონი №4735 - ვებგვერდი, 22.06.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 24 ივნისის კანონი №4960 - ვებგვერდი, 06.07.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 24 ივნისის კანონი №4958 - ვებგვერდი, 11.07.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 24 ივნისის კანონი №4943 - ვებგვერდი, 14.07.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №5004 - ვებგვერდი, 15.07.2011წ.

საქართველოს 2011 წლის 11 ოქტომბრის კანონი №5097 - ვებგვერდი, 03.11.2011წ.

საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონი №5171 - ვებგვერდი, 07.11.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5300 - ვებგვერდი, 01.12.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5662 - ვებგვერდი, 29.12.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 27 დეკემბრის კანონი №5653 - ვებგვერდი, 12.01.2012წ.
საქართველოს 2012 წლის 27 მარტის კანონი №5953 – ვებგვერდი, 12.04.2012წ.
საქართველოს 2012 წლის 26 აპრილის კანონი №6094 – ვებგვერდი, 10.05.2012წ.
საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი №6156 – ვებგვერდი, 25.05.2012წ.
საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონი №6246 – ვებგვერდი, 08.06.2012წ.
საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6395 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.

*საქართველოს 2012 წლის 22 ივნისის კანონი №6550 – ვებგვერდი, 29.06.2012წ.*
*საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6609 – ვებგვერდი, 10.07.2012წ.*

მუხლი 240. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი (25.12.2009. N2456)

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება: მისი შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი; მონაცემები დამრღვევის პიროვნების შესახებ, მათ შორის, პირადი ნომერი ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი; ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის; მოწმეთა და დაზარალებულთა გვარები და მისამართები, თუ ისინი არიან; დამრღვევის ახსნა-განმარტება; საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

2. ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენი და სამართალდამრღვევი, გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ელექტრონული საჯარიმო ქვითრისა. ოქმს შეიძლება ხელი მოაწერონ აგრეთვე მოწმეებმა და დაზარალებულებმა, მათი არსებობის შემთხვევაში. (17.05.2011. N4684)

2[1]. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემულ ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ხელს აწერს მისი გამომცემი უფლებამოსილი პირი. ელექტრონული საჯარიმო ქვითარი სამართალდამრღვევისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება უფლებამოსილი პირის მიერ მისი ამობეჭდვის შემთხვევაში.(17.05.2011. N4684)

3. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს, წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

4. ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტება ამ კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები, რაც აღინიშნება ოქმში.

მუხლი 240[1]. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის განსაზღვრა *(30.12.2008 N 956)*

1. ამ კოდექსის 103-ე და 107[4] მუხლებით, 114[2] მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125[2] მუხლით, 125[3] მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე და 135[1] მუხლებით, 153[6] მუხლის მე-2

ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შინაარსს და მისი გამოწერის წესს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, ხოლო ქალაქ თბილისში – ქალაქ თბილისის მერი. (27.03.2012. N5919)

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ოქმის შინაარსი შეიძლება არ ითვალისწინებდეს ამ კოდექსის 240-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 241. ოქმის გაგზავნა

ოქმი დაუყოვნებლივ ეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

მუხლი 242. შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ოქმი არ შედგება (27.04.2010. N3007)

1. ამ კოდექსის $98^1$ მუხლით, 106-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 107-ე მუხლის მე-2–მე-4 ნაწილებით, 112-ე მუხლით, 113-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 114-ე და 115-ე მუხლებით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 129-ე, 130-ე მუხლებით (გარდა 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) და $179^4$ და $179^5$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას, აგრეთვე სხვა შემთხვევებში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება დაჯარიმება და ჯარიმის გადახდევინება, ხოლო გაფრთხილება ფორმდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი არ შედგება. (8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

2. ამ კოდექსის $114^2$, 116-ე, 117-ე და 118-ე–122-ე მუხლებით, 123-ე მუხლის პირველი ნაწილით, 125-ე და 127-ე მუხლებით, $127^1$ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, $129^1$, 190-ე და $190^2$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას ამ კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 და $2^1$ ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჯარიმა ადგილზე არ გადაიხდევინება და სამართალდამრღვევს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. (28.10.2010. N3779)

3. თუ სამართალდამრღვევი სადავოდ ხდის ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შეფარდებულ ადმინისტრაციულ სახდელს, შედგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, გარდა ამ კოდექსის $98^1$, $179^4$ და $179^5$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული

სამართალდარღვევებისა. (8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

$3^{1}$. ამ კოდექსის $55^{5}$, $151^{1}$ და $152^{3}$ მუხლებითა და $153^{6}$ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში სამართალდამრღვევს გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. (11.10.2011. N5097)

$3^{2}$. ამ კოდექსის $98^{1}$, $179^{4}$ და $179^{5}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირი სამართალდამრღვევს გამოუწერს საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. (8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

4. ამ კოდექსის $107^{4}$ მუხლით, $114^{2}$ მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, $125^{2}$ მუხლით, $125^{3}$ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებითა და $146^{2}$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისას, ამ კოდექსის $209^{3}$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამართალდამრღვევს ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. თუ სამართალდამრღვევი ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფება, საჯარიმო ქვითარი (ოქმი) განთავსდება ავტოსატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე, ხოლო ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს. (3.06.2011. N4735 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.)

$4^{1}$. ამ კოდექსის $209^{3}$ მუხლის $2^{1}$ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჯარიმა ადგილზე არ გადაიხდევინება და სამართალდამრღვევს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. თუ სამართალდამრღვევი სადავოდ გახდის ამ კოდექსის $209^{3}$ მუხლის $2^{1}$ ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის შეფარდებულ ადმინისტრაციულ სახდელს, მაშინ შედგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი (11.03.2011. N4451 ამოქმედდეს 2011 წლის 15 აპრილიდან.)

5. ამ კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე და $135^{1}$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ჯარიმა ადგილზე არ გადაიხდევინება და სამართალდამრღვევს

ადგილზევე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, რომელიც ივსება ბურთულიანი კალმით ან/და ელექტრონული ფორმით. (27.03.2012. N5919)

შენიშვნა:

1. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საჯარიმო ქვითრის ფორმას, მისი შევსებისა და შინაგან საქმეთა ორგანოში წარდგენის წესს ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

2. ამ მუხლის $3^1$, მე-4, $4^1$ და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული საჯარიმო ქვითრის ფორმას, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესს ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, ხოლო ქალაქ თბილისში – ქალაქ თბილისის მერი. (24.06/2011. N4960)

3. ამ მუხლის $3^2$ ნაწილით გათვალისწინებული საჯარიმო ქვითრის ფორმას, მისი შევსებისა და წარდგენის წესს ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი. (24.06/2011. N4960)

4. რკინიგზის ტრანსპორტზე ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული საჯარიმო ქვითრისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმას, მისი შევსების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესს ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (8.05.2012. N6147 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.)

მუხლი 243. დამრღვევის მიყვანა

1. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, დამრღვევი პოლიციის მუშაკმა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელმა, აღსრულების პოლიციელმა ამ მიზნით შეიძლება მიიყვანოს პოლიციაში. (28.10.2011. N5171 ამოქმედდეს 2011 წლის 1 დეკემბრიდან)

2. სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის, მოძრაობის წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის, ტრანსპორტზე ტვირთის მოვლა-შენახვის უზრუნველყოფის, სახანძრო უსაფრთხოების, ტრანსპორტზე სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის დამრღვევი საამისოდ უფლებამოსილმა პირმა შეიძლება მიიყვანოს პოლიციაში, თუ მას არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ.

$2^1$. ამ კოდექსის $55^5$, $107^2$ და $107^3$ მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე, $146^2$, $151^1$ და $153^6$ მუხლებით

გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის სამართალდამრღვევი საამისოდ უფლებამოსილმა პირმა შეიძლება მიიყვანოს პოლიციაში, თუ მას არა აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ. (11.10.2011. N5097)

3. ტყით სარგებლობის ან ნადირობის, თევზჭერის და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევისას და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სხვა დარღვევისას ოქმის შედგენის მიზნით, თუ დარღვევის ადგილზე დამრღვევის ვინაობის დადგენა შეუძლებელია, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოების უფლებამოსილ პირებს, აგრეთვე პოლიციის მუშაკებს შეუძლიათ ამ სამართალდარღვევათა ჩამდენი პირი (პირები) მიიყვანონ პოლიციაში. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

4. ისეთი სამართალდარღვევის ჩადენისას, რომელიც დაკავშირებულია დაცული ობიექტის ხელყოფასთან ან აღნიშნულ ობიექტზე არსებული სარეჟიმო მოთხოვნების დარღვევასთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ხელყოფასთან, დამრღვევი შესაბამისად პოლიციის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ან სხვა გასამხედროებული დაცვის მუშაკებმა შეიძლება მიიყვანონ პოლიციაში ან გასამხედროებული დაცვის სამსახურებრივ შენობაში სამართალდარღვევის აღსაკვეთად, დამრღვევის პიროვნების დასადგენად და სამართალდარღვევის ოქმის შესადგენად. (24.06.2011. N4968)

5.დამრღვევი მიყვანილ უნდა იქნეს რაც შეიძლება მოკლე ვადაში.

6. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელის შტაბში მიყვანილი პირი არ შეიძლება იმყოფებოდეს ერთ საათზე მეტ ხანს.

## თავი XIX
## ადმინისტრაციული დაკავება, ნივთების გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა

### მუხლი 244. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების უზრუნველყოფის ზომები

საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღსაკვეთად, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებულ დადგენილებათა აღსრულების უზრუნველსაყოფად დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და

ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა.

ადმინისტრაციული დაკავების, პირადი გასინჯვის, ნივთების გასინჯვის, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის წესი ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნებისათვის განისაზღვრება ამ კოდექსითა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონმდებლობით.

მუხლი 245. ადმინისტრაციული დაკავება

ადმინისტრაციული დაკავების შესახებ შედგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება: მისი შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი; ცნობები დაკავებულის პიროვნების შესახებ; დაკავების დრო და მოტივი, ოქმს ხელს აწერენ ოქმის შემდგენი თანამდებობის პირი და დაკავებული. თუ დაკავებული უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, ამის შესახებ ოქმში კეთდება ჩანაწერი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაკავებული პირის თხოვნით მის ადგილსამყოფელს აცნობენ ნათესავებს, ადმინისტრაციას სამუშაო თუ სწავლის ადგილის მიხედვით. არასრულწლოვანის დაკავების შესახებ აუცილებლად აცნობებენ მის მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს.

მუხლი 246. ორგანოები (თანამდებობის პირები), რომლებსაც აქვთ ადმინისტრაციული დაკავების უფლება

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციული დაკავება შეუძლიათ მხოლოდ ორგანოებს (თანამდებობის პირებს), რომლებიც საამისოდ უფლებამოსილი არიან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, სახელდობრ:

ა) შინაგან საქმეთა ორგანოებს – წვრილმანი ხულიგნობის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობების და დემონსტრაციების ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევის, პოლიციის მუშაკის, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობის, ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის გარეშე, მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენის ან შენახვის ანდა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების, ოჯახში ძალადობის ჩადენის, დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის, პროსტიტუციის, საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში ყოფნის, საგზაო მოძრაობის წესების, ნადირობის, თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევის და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სხვაგვარი დარღვევების, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში; (27.04.2010. N3007)

ბ) ამოღებულია *(5.12.2008 N 620)*

გ) დასაცავი ობიექტების განლაგების ადგილას გასამხედროებული დაცვის უფროს თანამდებობის პირს – დასაცავი ობიექტების, სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ხელყოფასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევათა ჩადენის შემთხვევაში;

გ[1]) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავი პირის და დასაცავი ობიექტის დაცვითი ღონისძიების განხორციელების ადგილას – დასაცავი პირისა და დასაცავი ობიექტის ხელყოფასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის აღკვეთის მიზნით, აგრეთვე ამ კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში; (24.06.2011. N4958)

დ) სამხედრო საავტომობილო ინსპექციის თანადმებობის პირებს – მძღოლების ან სხვა პირების მიერ, რომლებიც მართავენ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სატრანსპორტო საშუალებებს, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევებში.

ე) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს, საგადასახადო ორგანოებს – საგადასახადო სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის შემთხვევებში; *(17.08.2010 N 3593 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)*

ვ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილ თანამშრომლებს – ამ კოდექსით მათი ქვემდებარეობისათვის მიკუთვნებულ სამართალდარღვევათა ჩადენის შემთხვევაში; (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

ზ) აღსრულების პოლიციელს – ამ კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში. (28.10.2011. N5171 ამოქმედდეს 2011 წლის 1 დეკემბრიდან)

მუხლი 247. ადმინისტრაციული დაკავების ვადები (28.04.2006. N2962)

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციულმა დაკავებამ არ უნდა გასტანოს თორმეტ საათზე მეტ ხანს. გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებული აუცილებლობის გამო, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით შეიძლება დაწესდეს ადმინისტრაციული დაკავების სხვა ვადები. (27.04.2010. N3007)

2. პირი, რომელმაც ჩაიდინა წვრილმანი ხულიგნობა, შეიძლება დაკავებულ იქნეს კანონით დადგენილ ვადაში მოსამართლის ან შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის (უფროსის მოადგილის) მიერ საქმის განხილვამდე.

3. პირი, რომლის დაკავების ვადა ემთხვევა არასამუშაო დროს, შეიძლება დაკავებულ იქნეს და მოთავსდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების საკანში საქმის განმხილველი ორგანოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

მუხლი 248. პირადი გასინჯვა და ნივთების გასინჯვა

1. პირადი გასინჯვა შეიძლება აწარმოონ შინაგან საქმეთა, გასამხედროებული დაცვის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, სამოქალაქო ავიაციის ორგანოების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის, საგადასახადო ორგანოების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის – აღსრულების პოლიციის სამმართველოს საამისოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, ხოლო საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში – აგრეთვე საამისოდ უფლებამოსილმა სხვა ორგანოების თანამდებობის პირებმა. (28.10.2011. N5171 ამოქმედდეს 2011 წლის 1 დეკემბრიდან)

2. პირადი გასინჯვა შეუძლია აწარმოოს საამისოდ უფლებამოსილ პირს, რომელიც გასასინჯი პირის სქესისაა. გასასინჯი პირი უფლებამოსილია მოიწვიოს დამსწრე (არა უმეტეს ორისა), რისთვისაც მას მიეცემა გონივრული ვადა. აღნიშნული უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მტკიცებულებათა დაზიანების, განადგურების ან გადამალვის რეალური საფრთხე. (27.04.2010. N3007)

3. ნივთების გასინჯვა შეიძლება აწარმოონ შინაგან საქმეთა, გასამხედროებული დაცვის, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, სამოქალაქო ავიაციის ორგანოების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის, საგადასახადო ორგანოების, სასაზღვრო პოლიციის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის – აღსრულების პოლიციის სამმართველოს საამისოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, ხოლო საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში – აგრეთვე საამისოდ უფლებამოსილმა სხვა ორგანოების თანამდებობის პირებმა. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

4. ნივთების, სანადირო და თევზჭერის იარაღების, მოპოვებული პროდუქციის და სხვა საგნების გასინჯვა წარმოებს, როგორც წესი, იმ პირის თანდასწრებით, რომლის საკუთრებაში ან მფლობელობაშია ისინი; გადაუდებელ შემთხვევებში აღნიშნული ნივთები, საგნები შეიძლება გაისინჯოს მესაკუთრის (მფლობელის) გარეშე, ორი დამსწრის მონაწილეობით.

5. პირადი გასინჯვისა და ნივთების გასინჯვის შესახებ შედგება ოქმი ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან ადმინისტრაციული დაკავების ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

6. საგადასახადო ორგანოებში პირადი გასინჯვა და ნივთების გასინჯვა წარმოებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*(17.08.2010 N 3593 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)*

მუხლი 249. ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა

1. დაკავების, პირადი გასინჯვის ან ნივთების გასინჯვის დროს აღმოჩენილ ნივთებსა და დოკუმენტებს, რომლებიც წარმოადგენენ სამართალდარღვევის იარაღს ან უშუალო ობიექტს, ჩამოართმევენ ამ კოდექსის 246-ე და 248-ე მუხლებში აღნიშნული ორგანოების თანადებობის პირები. ჩამორთმეულ ნივთებსა და დოკუმენტებს სამართალდარღვევის საქმის განხილვამდე ინახავენ იმ ორგანოების (თანამდებობის პირთა) მიერ განსაზღვრულ ადგილას, რომლებსაც ნივთების და დოკუმენტების ჩამორთმევის უფლება აქვთ, ხოო საქმის განხილვის შედეგების მიხედვით, მათ დადგენილი წესით გაუკეთებენ კონფისკაციას ან დაუბრუნებელ მფლობელს, ანდა განადგურებენ, ხოლო სასყიდლით ჩამორთმევის შემთხვევაში რეალიზაციას გაუკეთებენ.

2. ამ კოდექსის $58^2$ მუხლით, 86-ე მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილებით, $114^1$, $128^2$, $155^1$, $155^2$ და 157-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას ჯარიმის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება სამართალდარღვევის საგნის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა. ჯარიმის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას ჩამორთმეული საგნისა და სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(12.06.2013 N 723 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

$2^1$. ამ კოდექსის $114^2$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება განხორციელდეს ზომამცირე გემის ჩამორთმევა. ჯარიმისა და საურავის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება ჩამორთმეული ზომამცირე გემის რეალიზაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (28.10.2010. N3779)

$2^2$. ამ კოდექსის 66-ე და $128^2$ მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალდამრღვევის დაკავების, პირადი გასინჯვის ან ნივთების გასინჯვის დროს აღმოჩენილი ხე-ტყე, რომელიც სამართალდარღვევის უშუალო ობიექტია, შეიძლება დროებით დარჩეს მის მფლობელთან ან/და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელთან, ხოლო სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ჩამორთმეული ან აღმოჩენილი ხე-ტყე – ტყის მართვის უფლების მქონე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ტყის დაცვაზე პასუხისმგებელ პირთან (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში შესაბამისი ლიცენზიის მფლობელისთვის გადაცემულ ტერიტორიაზე ჩამორთმეული ან აღმოჩენილი ხე-ტყისა, რომელიც მიბარდება ლიცენზიის მფლობელს ან მის წარმომადგენელს), რომლებიც ასევე პასუხისმგებელი არიან მიბარებული ხე-ტყის დაცვისთვის. თუ

ადმინისტრაციული სახდელის შეფარდებისათვის ამ კოდექსით დადგენილ ვადებში ხე-ტყის მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი ვერ დადგინდება, ხე-ტყის განკარგვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (7.12.2010. N3891 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

3. ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევისას შედგება ოქმი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, ნივთების გასინჯვის ანდა ადმინისტრაციული დაკავების ოქმებში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

4. თუ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახით გათვალისწინებულია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა, მძღოლს საქმეზე დადგენილების გამოტანამდე ჩამოერთმევა მძღოლის მოწმობა და მიეცემა სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა, რის შესახებაც კეთდება ჩანაწერი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე ოქმში. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების გამოტანის შემთხვევაში მძღოლს დროებით ჩამორთმეული მოწმობა არ დაუბრუნდება, ხოლო ამ დადგენილების გასაჩივრების (გაპროტესტების) შემთხვევაში მართვის დროებითი ნებართვის მოქმედება გაგრძელდება საჩივარზე (პროტესტზე) გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი ვადით.*(23.06.2005 N 1753)*

5. ამ კოდექსის 167-ე, 180-ე მუხლებით, 181-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 182-ე, 183-ე მუხლებით გათვალისწინებული დარღვევების ჩადენისას პოლიციის მუშაკებს უფლება აქვთ საქმის განხილვამდე ჩამოართვან ცეცხლსასროლი იარაღი, აგრეთვე საბრძოლო მასალები, რის შესახებ ოქმში კეთდება ჩანაწერი ჩამორთმეული იარაღის მარკის ან მოდელის, კალიბრის, სერიისა და ნომრის, საბრძოლო მასალების რაოდენობისა და სახეობების აღნიშვნით. იმ პირის მიმართ, რომელმაც სამართალდარღვევა ჩაიდინა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს, ჩამორთმევა, პირადი გასინჯვა და ნივთების გამოიყენება მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა იმავდროულად წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, რომლის ფორმას, შევსებისა და გამოყენების წესს ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. (8.04.2006.N2962)

მუხლი 250. „სატრანსპორტო საშუალების მართვისაგან ჩამოშორება ან/და სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანა (17.07.2009. N1505)

1. ამ კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას და რომლის მიმართაც არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაშია, უნდა ჩამოშორდეს სატრანსპორტო საშუალების მართვას. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა, სიმთვრალის დადგენა და საქმის განხილვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი წესით.

1[1]. თუ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახით გათვალისწინებულია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა, პოლიციელი უფლებამოსილია, სატრანსპორტო საშუალება გადაიყვანოს სპეციალურ სადგომზე. იგივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სატრანსპორტო საშუალებას მართავს პირი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. *(17.07.2009. N1505)*

1[2]. პოლიციელი ვალდებულია ამ კოდექსის მე-40 მუხლის მე-2–მე-8 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე სატრანსპორტო საშუალებები გადაიყვანოს სპეციალურ ან სხვა დაცულ სადგომზე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები რიგდებიან და ეთანხმებიან საჯარიმო ქვითარს, ან როდესაც დაზარალებულს სამართალდამრღვევთან მორიგების ან საჯარიმო ქვითარზე თანხმობის მიცემის გარეშე არ სურს სატრანსპორტო საშუალების შესაბამის სადგომზე გადაყვანა), რისი ხარჯებიც დაეკისრება სამართალდამრღვევს. *(16.07.2010 N 3448)*

1[3]. ამ მუხლის 1[2] ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში: *(16.07.2010 N 3448)*

ა) დაზარალებულს (სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს/ მფლობელს) უფლება აქვს, გამოიყვანოს სპეციალურ ან სხვა დაცულ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალება, თუ იგი ამ კოდექსის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილ პირს წარუდგენს სათანადო განცხადებას და საექსპერტო შეფასებას;

ბ) სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც სამართალდამრღვევი მართავდა, დარჩება სპეციალურ ან სხვა დაცულ სადგომზე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

1[4]. დაზარალებულის (სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის/ მფლობელის) მიერ სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ ან სხვა დაცულ სადგომზე გადაყვანაზე უარის თქმის ან საექსპერტო შეფასების განხორციელებამდე შესაბამის სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალების გამოთხოვის შემთხვევაში აღნიშნული პირი კარგავს ამ კოდექსის მე-40 მუხლის მე-2–მე-6 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული დადგენილების მიღებისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნის უფლებას. ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებების სპეციალურ ან სხვა დაცულ სადგომზე გადაყვანის და განთავსების ხარჯები დაეკისრებათ მხარეებს. *(16.07.2010 N 3448)*

2. იმ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა ან საჭის სამართავი მექანიზმი, ანდა რომელიც გადაკეთებულია შესაბამისი ნებართვის გარეშე, რაც საშიშროების უქმნის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას, აკრძალულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ.

3. პოლიციელის მოთხოვნა სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ გამოიხატება ხელის ჟესტით ან კვერთხის სიგნალის მიცემით, სასტვენთან ერთად, აგრეთვე ხმის გამაძლიერებლის მეშვეობით; სიგნალი უნდა იყოს მძღოლისათვის გასაგები და მიეცეს ისეთ დროს, როცა მისი შესრულება არ შექმნის საავარიო ვითარებას.

მუხლი 251. ადმინისტრაციული დაკავების, გასინჯვის, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის გასაჩივრება

ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და დოკუმენტების ჩამორთმევა დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან.

## თავი XX

## ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებაში მონაწილე პირები

მუხლი 252. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები *(20.12.2005 N 2379)*

1. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.

$1^{1}$. ამ კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, $125^{2}$ მუხლით და $125^{3}$ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას

ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმა) პირს შესაძლოა შეეფარდოს მის დაუსწრებლადაც. აღნიშნულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები უნდა განემარტოს წერილობით. (11.03.2011. N4451 ამოქმედდეს 2011 წლის 15აპრილიდან.)

2. ამ კოდექსის 45-ე, 48-ე, 49-ე, $50^{1}$, 51-ე–56-ე, 57-ე–59-ე, $59^{2}$–მე-60, $60^{3}$–$61^{1}$, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, $69^{4}$, $69^{5}$, 71-ე, $72^{1}$–78-ე, $79^{1}$–$82^{2}$, 84-ე–86-ე, 88-ე–$89^{3}$, $91^{2}$, $92^{1}$, 94-ე, 95-ე, $96^{1}$, $96^{2}$, $96^{4}$–$100^{2}$, 103-ე–$105^{1}$, 134-ე, 135-ე, 143-ე, 144-ე, 145-ე, $146^{1}$, $146^{2}$,

148-ე–152-ე, $152^{2}$–$153^{1}$, $153^{3}$–$154^{2}$, 156-ე, $157^{1}$–158-ე, 164-ე, $164^{4}$, 165-ე, $165^{1}$, 166-ე, 167-ე და 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 172-ე მუხლის მე-3 ნაწილით, $172^{4}$, 173-ე, $173^{1}$, $173^{2}$, $173^{6}$, $173^{7}$, $173^{9}$, 174-ე–$174^{2}$, 175-ე–$175^{2}$, $177^{1}$, $177^{8}$, $177^{9}$, $179^{2}$, 180-ე–$183^{1}$, 185-ე–$185^{2}$, 187-ე–$187^{2}$, 189-ე, 192-ე, 195-ე, $196^{2}$–$196^{6}$ და $197^{1}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დასწრება სავალდებულოა. თუ ეს პირი თავს არიდებს შინაგან საქმეთა ორგანოს ან ადმინისტრაციული სასამართლოს (მოსამართლის) გამოძახებით გამოცხადებას, იგი შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ. (27.12.2011. N5653 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

3. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა შემთხვევებიც, როცა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის გამოცხადება საქმის გადამწყვეტ ორგანოში (თანამდებობის პირთან) სავალდებულოა.

მუხლი 253. დაზარალებული

დაზარალებულად მიიჩნევა პირი, რომელსაც ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ მიაყენა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი.

დაზარალებულს უფლება აქვს გაეცნოს საქმის ყველა მასალას, განაცხადოს შუამდგომლობები, გაასაჩივროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის გამო მიღებული დადგენილება.

დაზარალებული შეიძლება დაიკითხოს როგორც მოწმე ამ კოდექსის 256-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 254. კანონიერი წარმომადგენლები

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული იმ პირისა და დაზარალებულის ინტერესები, რომლებიც არასრულწლოვანები ან ისეთი პირები არიან, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე თვითონ არ შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი უფლებები, უფლება აქვთ დაიცვან მათმა კანონიერმა წარმომადგენლებმა (მშობლები, მშვილებლები, მეურვეები, მზრუნველები).

მუხლი 255. ადვოკატი (25.02.2011. N4255 ამოქმედდეს 2011 წლის 1 მარტიდან.)

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაში მონაწილე ადვოკატს უფლება აქვს: გაეცნოს საქმის ყველა მასალას; განაცხადოს შუამდგომლობანი; იმ პირის დავალებით, რომელმაც იგი მიიწვია, და მისივე სახელით შეიტანოს საჩივარი საქმის გამო მიღებულ დადგენილებაზე.

2. ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება იურიდიული კონსულტაციის მიერ გაცემული ორდერით.

თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის სახით გათვალისწინებულია მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობა ან ადმინისტრაციული პატიმრობა სხვა სახის სახდელთან ერთად, პირს, თუკი იგი გადახდისუუნაროა, უფლება აქვს, მოითხოვოს ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნა.

მუხლი 256. მოწმე

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მოწმედ შეიძლება გამოძახებულ იქნეს ყველა პირი, რომლებმაც შესაძლოა რაიმე იცოდნენ ამ საქმესთან დაკავშირებით დასადგენ გარემოებათა შესახებ.

მოწმე მოვალეა იმ ორგანოს (თანამდებობის პირის) გამოძახებით, რომლის წარმოებაშიც იმყოფება საქმე, გამოცხადდეს დანიშნულ დროს, აცნობოს რა იცის საქმის შესახებ და უპასუხოს დასმულ კითხვებზე.

მუხლი 257. ექსპერტი *(25.11.2004 N 598)*

1. ორგანო (თანამდებობის პირი), რომლის წარმოებაში იმყოფება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, ექსპერტს მოიწვევს იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა სპეციალური ცოდნა. თუ ექსპერტი მოიწვევა შესაბამისი დაწესებულებიდან, მაშინ დაწესებულების ხელმძღვანელი გასცემს განკარგულებას იმის თაობაზე, თუ ამ დაწესებულების თანამშრომელთაგან რომელი უნდა გაიგზავნოს ექსპერტად, რასაც აცნობებს იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომლის წარმოებაში იმყოფება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

2. ექსპერტი ვალდებულია გამოცხადდეს გამოძახებით და მისცეს ობიექტური დასკვნა განსახილველ საკითხებზე.

3. ექსპერტს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს საქმის მასალებს, რომლებიც შეეხება ექსპერტიზის საგანს;

ბ) განაცხადოს შუამდგომლობები მისთვის დასკვნის მისაცემად საჭირო დამატებითი მასალების გადაცემის შესახებ;

გ) ორგანოს (თანამდებობის პირის) ნებართვით, რომლის წარმოებაში იმყოფება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, პასუხისგებაში მიცემულ პირს, დაზარალებულს, მოწმეებს მისცეს შეკითხვები, რომლებიც შეეხება ექსპერტიზის საგანს;

დ) დაესწროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვას.

მუხლი 258. თარჯიმანი

თარჯიმანს დანიშნავს ორგანო (თანამდებობის პირი), რომლის წარმოებაში იმყოფება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

თარჯიმანი მოვალეა გამოცხადდეს ორგანოს (თანამდებობის პირის) გამოძახებით

და სრულად და ზუსტად შეასრულოს მისთვის დავალებული თარგმანი.

მუხლი 259. თანხა, რომელიც აუნაზღაურდება დაზარალებულს, მოწმეს, ექსპერტსა და თარჯიმანს *(25.11.2004 N 598)*

1. დაზარალებულს, თარჯიმანს ან/და მოწმეს იმ ორგანოში (თანამდებობის პირთან), რომლის წარმოებაშიც იმყოფება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, გამოცხადებასთან დაკავშირებით აუნაზღაურდება გაწეული ხარჯები დადგენილი წესით.

2. სახელმწიფო სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებას (ექსპერტს) სასამართლო-საექსპერტო მომსახურების (თარჯიმნის) ხარჯებს უნაზღაურებს ორგანო (თანამდებობის პირი), რომლის წარმოებაში იმყოფება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ნორმებისა და ტარიფების შესაბამისად, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც აღნიშნული ხარჯების დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ან სხვა სახსრებიდან გაწეული პროგრამული დაფინანსების ფარგლებში. კერძო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისათვის (დამოუკიდებელი ექსპერტისათვის) საექსპერტო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება წარმოებს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურებისათვის.

3. დაზარალებულის, მოწმის, ექსპერტისა და თარჯიმნის სახით გამოცხადებულ პირს დადგენილი წესით ენახება ხელფასი თავის სამუშაო ადგილზე იმ ვადით, რაც მან დაჰყო ორგანოში (თანამდებობის პირთან) გამოცხადებასთან დაკავშირებით, რომლის წარმოებაშიც იმყოფება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

## თავი XXI
## ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა

მუხლი 260. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განსახილველად მომზადება

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განსახილველად მომზადებისას ორგანო (თანამდებობის პირი) წყვეტს შემდეგ საკითხებს:

1) განეკუთვნება თუ არა მის კომპეტენციას აღნიშნული საქმის განხილვა;

2) სწორად არის თუ არა შედგენილი ოქმი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სხვა მასალები;

3) ეცნობათ თუ არა საქმის განხილვის მონაწილე პირებს საქმის განხილვის დრო და ადგილი;

4) გამოთხოვილია თუ არა საჭირო დამატებითი მასალები;

5) უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის, დაზარალებულის, კანონიერი წარმომადგენლების, ადვოკატის შუამდგომლობები.

მუხლი 260$^{1}$. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა გაერთიანება

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა გაერთიანება ხდება მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებით. (17.07.2009. N1505)

მუხლი 261. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის ადგილი (28.04.2006. N2962)

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159$^{5}$–159$^{9}$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. (15.12.2010. N4069)

2. ამ კოდექსის 116-ე–125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. ამ კოდექსის 171-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები განიხილება მათი ჩადენის ადგილას ან დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

4. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის სხვა ადგილიც.

5. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისმა უფლებამოსილმა პირებმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეიძლება განიხილონ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის გათვალისწინებით, საქართველოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებულ მათ სამსახურებრივ ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში, სამართალდამრღვევისათვის დადგენილი წესით საქმის განხილვის ადგილისა და დროის წინასწარ შეტყობინების საფუძველზე. (25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

მუხლი 262. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის ვადები *(20.12.2005 N 2379)*

1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი) განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და სხვა მასალების მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში.

2. ამ კოდექსის 42$^{1}$, 42$^{2}$, 45-ე და 166-ე მუხლებით, 171-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით, 173-ე და 175$^{2}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები განიხილება ერთი დღე-ღამის განმავლობაში, ამ კოდექსის 142-ე, 153$^{3}$, 154-ე, 174$^{1}$ და 174$^{2}$ მუხლებით

გათვალისწინებულთა – სამი დღის ვადაში, ხოლო ამ კოდექსის $50^{1}$, $51^{1}$, $51^{3}$, $53^{3}$, 55-ე, $55^{2}$, $55^{3}$, $55^{5}$, $58^{2}$, $59^{2}$, 61-ე, მე-80 და 81-ე მუხლებით, 86-ე მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილებით, 88-ე, $91^{2}$, $92^{1}$, 94-ე, 95-ე, $96^{1}$, $96^{2}$, $96^{4}$, $98^{1}$, 99-ე, $100^{1}$, $100^{2}$, 103-ე, 104-ე, $105^{1}$, $107^{1}$, 141-ე, 143-ე–$144^{1}$, $144^{3}$–$144^{5}$, $144^{10}$, 145-ე, $146^{1}$, $146^{2}$, 148-ე–$150^{1}$, $151^{1}$, 152-ე, $152^{2}$–153-ე, $154^{1}$, $154^{2}$, 156-ე–$158^{1}$, 159-ე, $159^{1}$, $159^{5}$–$159^{9}$, 163-ე, 164-ე, 167-ე, 170-ე, 174-ე, 175-ე, $177^{1}$, $179^{1}$, 180-ე–$183^{1}$, 185-ე–$185^{2}$, 187-ე–$187^{2}$, 189-ე, 192-ე, 195-ე, $196^{2}$–$196^{6}$ და $197^{1}$ მუხლებით გათვალისწინებულთა – შვიდი დღის ვადაში. *(12.06.2013 N 723 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

$2^{1}$. ამოღებულ იქნეს *(25.03.2013. N453 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)*

3. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის სხვა ვადებიც.

*(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებულება N 408 _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1985 წ., N10-ის დანართი, მუხ. 370;*
*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 28 აპრილის ბრძანებულება N717 _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1986 წ., N4, მუხ. 89;*
*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 23 სექტემბრის ბრძანებულება N1426 _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1987 წ., N9, მუხ.223;*
*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულება N1842 _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1988 წ., N8, მუხ. 201;*
*საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 4 სექტემბრის ბრძანებულება N2790 _ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წ., N9, მუხ. 241;*
*საქართველოს 1991 წლის 30 იანვრის კანონი _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., N1, მუხ. 38;*
*საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 მაისის კანონი _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., N5, მუხ. 378;*
*საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 ივნისის კანონი _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., N6, მუხ. 429;*
*საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 28 ივნისის კანონი _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., N6, მუხ. 450;*
*საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1992 წ., ტ.I, მუხ.128;*
*საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 8 ივლისის კანონი N290 _ საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., N9, მუხ. 160;*
*საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი N436 _ საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., N16, მუხ. 308;*
*საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 30 ივნისის კანონი N541 _ საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., N19, მუხ. 418;*
*საქართველოს 1996 წლის 31 მაისის კანონი N263 _ პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., N15, გვ.15;*
*საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის კანონი N313 _ პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., N19-20, გვ. 32;*
*საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის კანონი N318 _ პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., N19-20, გვ.26;*
*საქართველოს 1996 წლის 27 ნოემბრის კანონი N508 _ პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., N31-32/6, გვ. 4;*
*საქართველოს 1998 წლის 18 თებერვლის კანონი N1231 _ პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., N11-12, გვ. 24;*

*საქართველოს 1998 წლის 18 თებერვლის კანონი N1238 _ პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., N11-12, გვ. 27;*
*საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონი N1681 – სსმ I, 1998 წ., N4, მუხ. 39;*
*საქართველოს 1998 წლის 24 დეკემბრის კანონი N1747 – სსმ I, 1999 წ., N1(8), მუხ. 2;*
*საქართველოს 2000 წლის 10 მარტის კანონი N199 – სსმ I, 2000 წ., N12, მუხ.28;*
*საქართველოს 2001 წლის 12 ოქტომბრის კანონი N1106 – სსმ I, 2001 წ., N31, მუხ. 123;*
*საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი N1621 – სსმ I, 2002 წ., N23, მუხ. 11)*

მუხლი 263. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის წესი

საქმის განხილვა იწყება კოლეგიური ორგანოს შემადგენლობის გამოცხადებით ან აღნიშნული საქმის განმხილველი თანამდებობის პირის წარმოდგენით.

კოლეგიური ორგანოს სხდომის თავმჯდომარე ან საქმის განმხილველი თანამდებობის პირი აცხადებს, რომელი საქმე განიხილება, ვინ არის მიცემული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში, საქმის განხილვის მონაწილე პირებს განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, საჯაროდ კითხულობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, სხდომაზე მოუსმენენ საქმის განხილვის მონაწილე პირებს, გამოიკვლევენ მტკიცებულებებს და გადაწყვეტენ შუამდგომლობებს. თუ საქმის განხილვაში მონაწილეობს პროკურორი, მოისმენენ მის დასკვნას.

მუხლი 264. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას გამოსარკვევი გარემოებანი

ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი, არის თუ არა საფუძველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალების ამხანაგური სასამართლოს, საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციასა და მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შექმნილ საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივისათვის განსახილველად გადასაცემად, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

მუხლი 265. კოლეგიური ორგანოს სხდომის ოქმი

კოლეგიური ორგანო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას ადგენს ოქმს, რომელშიც აღინიშნება:

1) სხდომის თარიღი და ადგილი;

2) საქმის განმხილველი ორგანოს დასახელება და შემადგენლობა;

3) განსახილველი საქმის შინაარსი;

4) ცნობა საქმის მონაწილე პირთა გამოცხადების შესახებ;

5) საქმის განხილვის მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებები, შუამდგომლობანი და მათი განხილვის შედეგები;

6) საქმის განხილვის დროს გამოკვლეული დოკუმენტები და ნივთიერი

მტკიცებულებანი;

7) ცნობები მიღებული დადგენილების საჯაროდ წაკითხვისა და გასაჩივრების წესისა და ვადების განმარტების შესახებ.

კოლეგიური ორგანოს სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 266. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება *(25.11.2004 N 598)*

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის შემდეგ ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს დადგენილება აღნიშნულ საქმეზე.

2. დადგენილება უნდა შეიცავდეს: დადგენილების გამომტანი ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელებას; საქმის განხილვის თარიღს; ცნობებს იმ პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე; საქმის განხილვისას დადგენილ გარემოებათა გადმოცემას; იმ ნორმატიული აქტის მითითებას, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის; საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

3. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრა- ციული სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას ამ კოდექსის მე-200 მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში ჩამოთვლილი ორგანოები (თანამდებობის პირები) ერთდროულად წყვეტენ ბრალეულის მიერ ქონებრივი ზარალის ანაზღაურების საკითხს, მაშინ საქმეზე მიღებულ დადგენილებაში აღინიშნება ასანაზღაურებელი ზარალის ოდენობა, მისი ანაზღაურების წესი და ვადა.

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილებით უნდა გადაწყდეს ჩამორთმეული ნივთებისა და დოკუმენტების საკითხი, აგრეთვე სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებული მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი.

5. კოლეგიური ორგანო დადგენილებას მიიღებს სხდომის მონაწილე კოლეგიური ორგანოს წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

6. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ დადგენილებას ხელს აწერს საქმის განმხილველი თანამდებობის პირი, ხოლო კოლეგიური ორგანოს დადგენილებას – კოლეგიური ორგანოს თავმჯდომარე და მდივანი.

7. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახდელის ზომის შესახებ სათანადო ჩანაწერი კეთდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში ან დადგენილება ფორმდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 267. დადგენილებათა სახეები*(28.04.2006. N2962)*

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის შემდეგ ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დადგენილება:

ა) ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ;

ბ) საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ;

გ) ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის თაობაზე, თუ შეუძლებელია პირველად დადებული ადმინისტრაციული სახდელის აღსრულება;

დ) საურავის დარიცხვის შესახებ.

2. დადგენილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ მიიღება ზეპირი შენიშვნის გამოცხადების, საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში და მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან შრომითი კოლექტივის განსახილველად, ანდა პროკურორისათვის ან გამოძიების ორგანოსათვის მასალების გადაცემის დროს, აგრეთვე ამ კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებათა არსებობისას. (24.09.2010. N3619 ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან)

მუხლი 268. საქმეზე მიღებული დადგენილების გამოცხადება და
დადგენილების ასლის ჩაბარება ან გაგზავნა(28.04.2006. N2962)

1. საქმეზე მიღებული დადგენილება გამოცხადდება დაუყოვნებლივ, საქმის განხილვის დამთავრებისთანავე.

2. დადგენილების ასლი 3 დღის ვადაში ჩაბარდება ან გაეგზავნება პირს, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება. დადგენილების ასლი 3 დღის ვადაში ჩაბარდება აგრეთვე დაზარალებულს მისივე თხოვნით.

3. საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ასლის ჩაბარება ან გაგზავნა სავალდებულო არ არის, თუ საურავის დარიცხვის თაობაზე დამრღვევისათვის ან ამ კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისათვის ცნობილი გახდა ამ კოდექსის 242-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული საჯარიმო ქვითრის ჩაბარებისთანავე. *(30.12.2008 N 956)*

4. დადგენილების ასლი ჩაბარდება ხელწერილით. დადგენილების ასლის გაგზავნის შემთხვევაში საქმეში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

5. საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევისა და კონტრაბანდის საქმეებზე დადგენილების ასლი საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით ჩაჰბარდება პირს, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება. (27.03.2012. N5953)

6. ამ კოდექსის 167-ე მუხლით და 181-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე იმ პირთა მიმართ, რომელთაც ცეცხლსასროლი იარაღი, აგრეთვე საბრძოლო მასალები ჩაბარებული ჰქონდათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ დროებით სარგებლობისათვის ჰქონდათ გადაცემული, დადგენილების ასლი ეგზავნება შესაბამის საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ცნობისათვის და შინაგან საქმეთა ორგანოს – ამ

პირისათვის ცეცხლსასროლი იარაღით სარგებლობის აკრძალვის საკითხის განსახილველად.

7. ამ კოდექსის 234[1] მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას დამრღვევს გადაეცემა საჯარიმო ქვითრის ასლი, ხოლო თუ დამრღვევი უარს აცხადებს ასლის მიღებაზე, უფლებამოსილი თანამდებობის პირი ამას აღნიშნავს საჯარიმო ქვითარში, რის შემდეგაც საჯარიმო ქვითრის ასლი ითვლება ჩაბარებულად.

მუხლი 269. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების შეტყობინება საზოგადოებრიობისათვის (28.04.2006. N2962)

1. ორგანო (თანამდებობის პირი), რომელიც იხილავს ამ კოდექსის 50-ე, 106-ე–113-ე, 115-ე მუხლებით, 128-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 129-ე მუხლის პირველი ნაწილით, 130-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით, 153-ე, 166-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, შეატყობინებს დამრღვევის სამუშაო, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის ადმინისტრაციას ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ხოლო ამ კოდექსის 197-ე და 198-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას – საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, სასწავლებლის ხელმძღვანელს, სამუშაოს, სწავლის ადგილის მიხედვით დამრღვევისათვის დაკისრებული სახდელის შესახებ. ამ კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე შეატყობინებენ აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას ან შინაგან საქმეთა ორგანოს, რომელმაც სასამართლოში გაგზავნა ოქმი წვრილმანი გატაცების შესახებ.

2. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 270. წინადადებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის შესახებ *(23.06.2005 N 1753)*

1. საქმის განმხილველ ორგანოს (თანამდებობის პირს) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების დადგენისას შესაბამის საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში და თანამდებობის პირთან შეაქვს წინადადებები ამ მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად ზომების მიღების საჭიროების შესახებ. აღნიშნული ორგანიზაციები და პირნი ვალდებულნი არიან წინადადების მიღების დღიდან 1 თვის განმავლობაში გატარებულ ღონისძიებათა შესახებ აცნობონ წინადადების შემტან ორგანოს (თანამდებობის პირს).

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი და საქმის განმხილველი ორგანოები ვალდებული არიან ამ კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების

გამოტანიდან 10 დღის ვადაში აცნობონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთიან საინფორმაციო ბანკს). (28.04.2006. N2962)
შენიშვნა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის წესს დაინტერესებულ სამინისტროებთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.(28.04.2006.N2962)

თავი XXII
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრება და გაპროტესტება

მუხლი 271. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების უფლება
დადგენილების გასაჩივრების წესი (28.04.2006. N2962)

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234[1] მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება შეუძლია გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება, დაზარალებულმა ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა.

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილება, გარდა ამ კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მხარეებმა შეიძლება ამავე კოდექსის 273-ე მუხლით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო დადგენილება. (25.12.2009. N2456)

მუხლი 272. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების გასაჩივრების წესი (28.04.2006. N2962)

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შეიძლება გასაჩივრდეს:

ა) ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234[1] მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა; გადაწყვეტილება სხვაგვარი ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან), რის შემდეგაც საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა; დადგენილება ძირითადი და რომელიმე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელის ერთდროულად დადების შესახებ მომჩივნის სურვილით შეიძლება გასაჩივრდეს ძირითადი ან დამატებითი სახდელის გასაჩივრებისათვის განსაზღვრული წესით;

ბ) შინაგან საქმეთა ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, რომელიც დაფიქსირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ოქმის შეუდგენლად, – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან);

გ) შინაგან საქმეთა ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის შესახებ – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა;

დ) შინაგან საქმეთა ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება საურავის დარიცხვის შესახებ – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა;

ე) სამხედრო საავტომობილო ინსპექციის თანამდებობის პირის დადგენილება გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, რომელიც დაფიქსირებულია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ოქმის შეუდგენლად, – ზემდგომ თანამდებობის პირთან, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს საჩივარი.

2. საჩივარი შეიტანება იმ ორგანოში (თანამდებობის პირთან), რომელმაც გამოიტანა დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საჩივარი 3 დღის ვადაში საქმესთან ერთად გადაეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომლის სახელზედაც არის შეტანილი და რომელიც ამ მუხლის შესაბამისად უფლებამოსილია განიხილოს იგი.

3. პირს, რომელმაც გაასაჩივრა დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის $234^1$ მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, სახელმწიფო ბაჟი არ გადახდება.

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება აღსრულდება მისი გამოტანის მომენტიდან. დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას, თუ ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი. (26.04.2012. N6090)

მუხლი 273. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების ვადა (28.04.2006. N2962)

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის $234^1$ მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში ეს ვადა იმ პირის განცხადებით, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება, შეიძლება აღადგინოს საჩივრის

განსახილველად უფლებამოსილმა ორგანომ (თანამდებობის პირმა).

მუხლი 274. პროკურორის მიერ პროტესტის შეტანა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გამო

დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შეიძლება გააპროტესტოს პროკურორმა.

მუხლი 275. დადგენილების აღსრულების საკითხის გადაწყვეტა (სათაური 26.04.2012. N6090)

1. დადგენილ ვადაში საჩივრის შეტანა მის განხილვამდე შეაჩერებს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის თაობაზე და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებების, აგრეთვე ამ კოდექსის $234^1$ მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, გარდა ამ კოდექსის 26-ე და 32-ე მუხლებით გათვალისწინებული სახდელების გამოყენების შესახებ დადგენილებებისა, ამ მუხლის $1^1$ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აგრეთვე იმ შემთხვევისა, როდესაც პირს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე აკისრებენ ჯარიმას, რომელსაც ადგილზევე გადაახდევინებენ. (26.04.2012. N6090)

$1^1$. ამ კოდექსის 208-ე და $208^2$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების თაობაზე გამოტანილი დადგენილებების გასაჩივრება არ აჩერებს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის თაობაზე და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებების აღსრულებას. დადგენილების გასაჩივრებისას საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში პირს დაუბრუნდება ჯარიმისა და საურავის სახით, აგრეთვე ამავე კოდექსით დადგენილი წესით ქონებრივი ზარალის ანაზღაურების მიზნით გადახდილი თანხა. (26.04.2012. N6090)

2. პროკურორის მიერ პროტესტის შეტანა შეაჩერებს დადგენილების აღსრულებას პროტესტის განხილვამდე.“.

მუხლი 276. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გამო საჩივრისა და პროტესტის განხილვა (25.12.2009. N2456)

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების, აგრეთვე ამ კოდექსის $234^1$ მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული

გადაწყვეტილების გამო საჩივარსა და პროტესტს განიხილავს საამისოდ უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი) მათი შესვლიდან 30 დღის ვადაში, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. (27.04.2010. N3007)

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვის ვადა, გარდა ამ კოდექსის $281^{3}$ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს სააპელაციო სასამართლოში საჩივრის შესვლიდან. (15.05.2012. N6173)

3. ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების, აგრეთვე ამ კოდექსის $234^{1}$ მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების გამო საჩივრისა და პროტესტის განხილვისას შეამოწმებს მიღებული დადგენილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას.

4. სააპელაციო სასამართლო საქმეს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, გარდა ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განიხილება ამ კოდექსის $XXII^{1}$ თავით დადგენილი წესით. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს საქმის ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს შეუწყობს საქმის გარემოებების გამორკვევას. მხარეთა გამოუცხადებლობა არ გამოიწვევს საქმის განხილვის გადადებას.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მუხლი 277.ამოღებულია (25.12.2009. N2456)

### მუხლი 278. საჩივრის ან პროტესტის განმხილველი ორგანოს (თანამდებობის პირის) გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გამო (28.04.2006. N2962)

1. საჩივრის ან პროტესტის განხილვისას ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) დადგენილების უცვლელად დატოვებისა და საჩივრის ან პროტესტის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ;

ბ) დადგენილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის გაგზავნის შესახებ;

გ) დადგენილების გაუქმებისა და საქმის შეწყვეტის შესახებ;

დ) ამ კოდექსის $234^{1}$ მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილების გაუქმებისა და პირის ადმინისტრაციული სახდელისაგან განთავისუფლების შესახებ;

ე) ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის ზომის

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში შეცვლის შესახებ.

2. თუ დადგინდება, რომ დადგენილება გამოიტანა იმ ორგანომ (თანამდებობის პირმა), რომელიც არ იყო უფლებამოსილი გადაეწყვიტა ეს საქმე, მაშინ ასეთი დადგენილება გაუქმდება და საქმე განსახილველად გაეგზავნება უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს).

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გამო საჩივართან ან პროტესტთან დაკავშირებით გამოტანილი დადგენილების ასლი 7 დღის ვადაში გაეგზავნება პირს, რომლის მიმართაც იყო გამოტანილი დადგენილება. პროტესტის გამო მიღებული დადგენილების ასლი 7 დღის ვადაში გაეგზავნება აგრეთვე დაზარალებულს მისივე თხოვნით. პროტესტის განხილვის შედეგი ეცნობება პროკურორს. (27.04.2010. N3007)

მუხლი 279. საქმის გადასინჯვაში მოსამართლის, შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსისა და შინაგან საქმეთა ზემდგომი ორგანოს უფროსის უფლებამოსილება(25.12.2009. N2456)

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ან/და სააპელაციო სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს პროკურორის პროტესტით, შესაბამისად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ან/და სააპელაციო სასამართლოს მიერ, აგრეთვე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა პროკურორის პროტესტი, – სააპელაციო სასამართლოს მიერ. *(30.06.2013 N 660)*

2. შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის დადგენილება ამ კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს პროკურორის პროტესტით თვით შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის მიერ, აგრეთვე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა პროკურორის პროტესტი, – შინაგან საქმეთა ზემდგომი ორგანოს უფროსის მიერ.

მუხლი 280. საჩივრის გამო მიღებული გადაწყვეტილების გაპროტესტება (25.12.2009. N2456)

1. გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ დადგენილებასთან დაკავშირებული საჩივრის გამო შეიძლება გააპროტესტოს პროკურორმა. *(30.06.2013 N 660)*

2. საჩივრის გამო მიღებულ გადაწყვეტილებაზე პროტესტი შეიტანება იმ ორგანოში (თანამდებობის პირთან), რომელიც საჩივრის გამო გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (თანამდებობის პირის) ზემდგომია.

მუხლი 281. დადგენილების გაუქმების შედეგები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტით

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გაუქმება საქმის შეწყვეტით გამოიწვევს გადახდევინებული ფულად თანხების, სასყიდლით ჩამორთმეული ან კონფისკაციაქმნილი საგნების დაბრუნებას, აგრეთვე

ადრე მიღებულ დადგენილებასთან დაკავშირებული შეზღუდვების გაუქმებას, თუ საგნის დაბრუნება შეუძლებელია, ანაზღაურდება მათი ღირებულება.

პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დაკისრებით მოქალაქისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება წარმოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით

## თავი XXII[1]
## ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ დადგენილების გასაჩივრება (17.07.2009. N1505)

### მუხლი 281[1]. ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ დადგენილების გასაჩივრების ვადა

ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილება გამოტანიდან 48 საათში შეიძლება ერთჯერადად გაასაჩივროს პირმა, რომელსაც შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა, ან მისმა ადვოკატმა (კანონიერმა წარმომადგენელმა), აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა ორგანომ (თანამდებობის პირმა) სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. (17.07.2009. N1505)

### მუხლი 281[2]. საჩივრის დასაშვებობა

1. ადვოკატის (კანონიერი წარმომადგენლის) მიერ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის საჩივრით მიმართვა დასაშვებია მხოლოდ მისი დაცვის ქვეშ მყოფის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას აქვს ისეთი ფსიქიკური ან ფიზიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას. 2. მხარეთა მიერ წარმოდგენილ საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს, თუ რა მოთხოვნები დაირღვა გასაჩივრებული დადგენილების გამოტანისას, რით გამოიხატება გასაჩივრებული დადგენილების დებულებათა მცდარობა. საჩივარში ასევე მითითებული უნდა იყოს, თუ რა არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები და მტკიცებულებები არ გამოიკვლია რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ, რომლებსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების მართლზომიერებაზე. საჩივარს უნდა ერთოდეს მომჩივნის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებანი (მასალები) იმ ახალ გარემოებათა შესახებ, რომლებიც უცნობი იყო რაიონული (საქალაქო) სასამართლოსათვის.

3. მხარეებს საჩივარი შეაქვთ დადგენილების გამომტან სასამართლოში, რომელიც ამ საჩივარსა და საქმის მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. გასაჩივრება არ აჩერებს დადგენილების

აღსრულებას.

4. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა საქმის მასალების მიღებიდან 24 საათში, ზეპირი მოსმენის გარეშე, წყვეტს ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს, კერძოდ, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნებს. საჩივრის დასაშვებობის თაობაზე სასამართლოს გამოაქვს დადგენილება. საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში ტარდება ზეპირი მოსმენა ამ კოდექსით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით. (17.07.2009. N1505)

მუხლი 281$^{3}$. საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება

1. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა საჩივარს განიხილავს საჩივრის დასაშვებად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანიდან 48 საათში.

2. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში საჩივარი განიხილება ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობით. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას. საჩივრის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ პირს, რომელსაც შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა, მის ადვოკატს (კანონიერ წარმომადგენელს), აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენ ორგანოს (თანამდებობის პირს). სასამართლოს უფლება აქვს, გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საჩივრის გადაწყვეტისათვის, წინადადება მისცეს მხარეებს, წარმოადგინონ საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და სხვა მტკიცებულებანი. სხდომის თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას, აცხადებს, რა საჩივარი განიხილება, და ასახელებს მხარეებს. თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობენ მხარეები, მათ შესაძლებლობა ეძლევათ, განმარტებანი მისცენ სასამართლოს და ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებანი.

3. საჩივრის განხილვისას სასამართლო ამოწმებს, ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ დადგენილების გამოტანისას დაიცვა თუ არა რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ ამ კოდექსის 32-ე მუხლის მოთხოვნები.

4. საჩივრის განხილვის შემდეგ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) გასაჩივრებული დადგენილების ძალაში დატოვების და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

ბ) გასაჩივრებული დადგენილების გაუქმების (შეცვლის) და საჩივრის სრულად (ნაწილობრივ) დაკმაყოფილების შესახებ.

5. საჩივრის განხილვის შედეგად გამოტანილი დადგენილების ასლები გადაეცემა მხარეებს, ეგზავნება დადგენილების გამომტან მოსამართლეს და ამ გადაწყვეტილების აღმსრულებელ ორგანოს. დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება. (17.07.2009. N1505)

## თავი XXIII
## ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულება
## ძირითადი დებულებანი

### მუხლი 282. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების სავალდებულობა

დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ.

### მუხლი 283. დადგენილების აღსასრულებლად მიქცევა (26.04.2012. 6090)

1. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება აღსრულდება მისი გამოტანის მომენტიდან, თუ ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გასაჩივრების ან გაპროტესტების დროს დადგენილება აღსრულდება საჩივრის ან პროტესტის დაუკმაყოფილებლად დატოვების შემდეგ, გარდა დადგენილებისა სახდელის ზომად გაფრთხილების გამოყენების შესახებ, ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აგრეთვე იმ შემთხვევისა, როდესაც პირს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე აკისრებენ ჯარიმას, რომელსაც ადგილზევე გადაახდევინებენ.

3. ამ კოდექსის 208-ე და $208^2$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების თაობაზე გამოტანილი დადგენილებების გასაჩივრება არ აჩერებს მათ აღსრულებას, თუ ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

5. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებას აღსასრულებლად მიაქცევს დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი).

### მუხლი 284. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულების წესი *(27.03.2009 N 1142)*

1. დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ აღსრულდება საამისოდ უფლებამოსილი ორგანოების მიერ ამ კოდექსითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. დადგენილება ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ, მათ შორის, დადგენილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ, აღსრულდება შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ, ხოლო სხვა უწყების სამხედრო მოსამსახურის

პატიმრობის შემთხვევაში – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ერთი პირის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ რამდენიმე დადგენილების გამოტანის შემთხვევაში თითოეული დადგენილება დამოუკიდებლად აღსრულდება.

მუხლი 285. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების გადადება

იმ გარემოებათა არსებობისას, რომელთა გამო ადმინისტრაციული პატიმრობის, გამასწორებელი სამუშაოების ან ჯარიმის სახით (გარდა ჯარიმის გადახდევინებისა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ადგილზე) ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების დაუყოვნებლივ აღსრულება შეუძლებელია. დადგენილების გამომტან ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია დადგენილების აღსრულების გადადება ერთ თვემდე ვადით.

მუხლი 286. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების შეწყვეტა

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი) დადგენილების აღსრულებას შეწყვეტს შემდეგ შემთხვევებში:

1) ამნისტიის აქტის გამოყენებისას, თუ ის აუქმებს ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებას;

2) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი აქტის გაუქმებისას;

3) იმ პირის გარდაცვალებისას, რომლის მიმართ იყო გამოტანილი დადგენილება.

მუხლი 287. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულების ხანდაზმულობა

დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ არ აღსრულდება, თუ იგი მიქცეული არ იყო აღსასრულებლად დადგენილების გამოტანიდან ექვსი თვის ვადაში. ამ კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად დადგენილების აღსრულების შეჩერების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება საჩივრის ან პროტესტის განხილვამდე. ამ კოდექსის 285-ე მუხლის შესაბამისად დადგენილების აღსრულების გადადების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება გადიდების ვადის გასვლამდე.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს ცალკეული სახის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე გამოტანილ დადგენილებათა აღსრულების სხვა, უფრო ხანგრძლივი ვადები.

მუხლი 288. დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამომტან ორგანოს (თანამდებობის პირს) ეკისრება ამ დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა და კონტროლი მის აღსრულებაზე.

მუხლი 288[1]. ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის თაობაზე დადგენილების აღსრულება (28.04.2006. N2962)

ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის თაობაზე დადგენილება აღსრულდება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულებისათვის განსაზღვრული წესით.

## თავი XXIII[1]

## საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების აღსრულება(28.04.2006. N2962)

მუხლი 288[2]. საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების შესრულების სავალდებულოობა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება შესასრულებლად სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 288[3]. საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების აღსრულება

1. საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება აღსრულდება მისი გამოტანიდან, თუ ამ კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

2. საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების გასაჩივრების ან გაპროტესტების დროს დადგენილება აღსრულდება საჩივრის ან პროტესტის დაუკმაყოფილებლად დატოვების შემდეგ, გარდა ამ მუხლის 2[1] ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. (26.04.2012. N6090)

2[1]. ამ კოდექსის 208-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების თაობაზე გამოტანილი საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას. (26.04.2012. N6090)

3. საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების აღსრულებას ახორციელებს დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი).

მუხლი 288[4]. საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების აღსრულების წესი *(30.12.2008 N 956)*

დამრღვევმა საურავი უნდა გადაიხადოს საურავის დარიცხვის შესახებ

დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან, ხოლო თუ საურავის დარიცხვის თაობაზე დამრღვევისათვის ან ამ კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისათვის ცნობილი გახდა ამ კოდექსის 242-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული საჯარიმო ქვითრის ჩაბარებისთანავე, – ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან 30 დღეში.

მუხლი 288[5]. საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების იძულებითი აღსრულება *(15.07.2008 N 214 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან)*

ამ კოდექსის 288[4] მუხლით დადგენილ ვადაში საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დადგენილების გამომტანი ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილების საფუძველზე საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების იძულებით აღსრულებას ახორციელებს აღმასრულებელი დამრღვევის ხელფასიდან ან სხვა შემოსავლიდან, აგრეთვე დამრღვევის პირად ქონებაზე ან საერთო საკუთრებაში მის წილზე გადახდევინების მიქცევის გზით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 288[6]. საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების აღსრულების ხანდაზმულობა

საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების მიმართ გამოიყენება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებისათვის დაწესებული ხანდაზმულობის ვადა.

მუხლი 288[7]. საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა

1. . **ამოღებულია** *(15.07.2008 N 214 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან)*

2. დამრღვევი, რომელმაც ამ კოდექსით დადგენილ ვადაში გადაიხადა მასზე დარიცხული საურავი, ვალდებულია აღსრულების აღნიშვნით ამის შესახებ შეატყობინოს დადგენილების გამომტან ორგანოს (თანამდებობის პირს); სხვა შემთხვევაში მის მიმართ გაგრძელდება იძულებითი აღსრულების ღონისძიებები.

## თავი XXIV

## გაფრთხილების შესახებ დადგენილების აღსრულების წარმოება

მუხლი 289. გაფრთხილების შესახებ დადგენილების აღსრულების წესი

დადგენილება გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ აღსრულდება დადგენილების გამომტანი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ დადგენილების საჯაროდ წაკითხვით საქმის განხილვის დამთავრების შემდეგ.

დამრღვევის დაუსწრებლად გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამოტანის შემთხვევაში მას

დადგენილების პირი ჩაბარდება ამ კოდექსის 268-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

თავი XXV
დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულების წარმოება

მუხლი 290. დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულების ვადები და წესები

1. სამართალდამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან, ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში – საჯარიმო ქვითრის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, ამ კოდექსის 242-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში – ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისათვის ან აღნიშნულ მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი წევრისათვის საჯარიმო ქვითრის ფოსტით ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, ხოლო ამ კოდექსის 208-ე და $208^2$ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეებზე დაჯარიმებისას – დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის დინება შეჩერდება დადგენილების, აგრეთვე ამ კოდექსის $234^1$ მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ან გაპროტესტების შემთხვევაში – საჩივრის ან პროტესტის განუხილველად დატოვების თაობაზე შეტყობინების ჩაბარებამდე, გარდა ამ მუხლის $1^5$ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. (15.05.2012. N6173)

$1^1$. ამ კოდექსის 116-ე, 117-ე, 118-ე–119-ე, 120-ე–123-ე, 125-ე და $127^1$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას სამართალდამრღვევს უფლება აქვს, დაკისრებული ჯარიმა საურავთან ერთად გადაიხადოს ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლიდან 30 დღეში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას სამართალდამრღვევს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული ვადით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალების (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის) მართვის უფლება. ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისათვის ჩამორთმეული მართვის მოწმობის აღებისათვის სავალდებულო არ არის მართვის მოწმობის მისაღები გამოცდის ჩაბარება (გარდა ამ კოდექსის 116-ე და 117-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევებისა). (15.05.2012. N6173)

შენიშვნა: ამ კოდექსის 290-ე მუხლის $1^1$ ნაწილის მოქმედება არ ვრცელდება ამ კოდექსის $118^1$ მუხლის შენიშვნის მე-4 ნაწილით, $118^2$ მუხლის შენიშვნის მე-4 ნაწილით, $118^3$ მუხლის შენიშვნის მე-3 ნაწილით, 120-ე მუხლის შენიშვნის მე-7 ნაწილით, 122-ე მუხლის შენიშვნის მე-7 ნაწილით, 123-ე მუხლის შენიშვნის მე-3

ნაწილითა და 125-ე მუხლის შენიშვნის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებზე, რომლებითაც დგინდება ჯარიმისა და საურავის გადახდის სხვა წესები. (*22.7.007 N 5027)*

1². ამ კოდექსის 242-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამრღვევს საჯარიმო ქვითრის ასლი შესაძლოა ჩაბარდეს პირადად.(20.10.2009. N1812)

1³. თუ ამ კოდექსის 242-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე მისთვის საჯარიმო ქვითრის ფოსტით ჩაბარებისას უარს განაცხადებს მის მიღებაზე, საჯარიმო ქვითრის მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს საფოსტო გზავნილზე, რომელიც უბრუნდება ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) შემფარდებელს. ასეთ შემთხვევაში საჯარიმო ქვითარი ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება.(20.10.2009. N1812)

1⁴. საჯარიმო ქვითარი ადრესატისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი წევრი საჯარიმო ქვითრის ფოსტით ჩაბარებისას განმეორებით განაცხადებს უარს მის მიღებაზე. (20.10.2009. N1812)

1⁵. ამ კოდექსის 208-ე და 208² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების თაობაზე გამოტანილი დაჯარიმების შესახებ დადგენილებების გასაჩივრება არ აჩერებს ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის დინებას. (26.04.2012. N6090)

2. თუ წვრილმანი ხულიგნობის ჩამდენ თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირებს არა აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი, ჯარიმა გადახდებათ მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე გამოტანილი შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან სასამართლო დადგენილების ნომერი, გამოტანის თარიღი და სერია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (5.05.2011. N4651 ამოქმედდეს 2011 წლის 15 მაისიდან)

4. აკრძალულია თანამდებობის პირებისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდევინება საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ანგარიშზე.

5. ჯარიმის ან/და საურავის განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის გამო გამოცემული დადგენილება მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ შეიძლება გაუქმდეს და სამართალდამრღვევს დაუბრუნდეს მართვის მოწმობა, თუკი იგი მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლამდე გადაიხდის ჯარიმის გადაუხდელობისთვის დაკისრებულ საურავს და დამატებით 1000 ლარის ოდენობის

ჯარიმას, თუ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ჩამორთმეულია 1 წლის ვადით, ხოლო თუ მართვის უფლება ჩამორთმეულია 2 წლის ვადით – დამატებით 1500 ლარის ოდენობის ჯარიმას (2.07.2010. N3280 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)

6. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეს ან დასვენების დღეს (შაბათს, კვირას), ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. (20.05.2011. N4708 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.)

მუხლი 291. დაჯარიმების შესახებ დადგენილების იძულებითი აღსრულება (28.04.2006. N2962)

1. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში სამართალდამრღვევის მიერ ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დაჯარიმების შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება სამართალდამრღვევის ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან ან სხვა შემოსავლიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, გარდა ამ კოდექსის $228^2$ მუხლის მე-2 ნაწილითა და $228^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხოლო ამავე კოდექსის $129^1$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში დაკისრებული ჯარიმის იძულებითი აღსრულება განხორციელდება $129^1$ მუხლის შენიშვნის მე-5 ნაწილის შესაბამისად. (17.05.2011. N4684)

2. თუ დაჯარიმებული პირი არ მუშაობს ან დამრღვევის ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან ან სხვა შემოსავლიდან ჯარიმის გადახდევინება შეუძლებელია სხვა მიზეზებით, დაჯარიმების შესახებ ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილების საფუძველზე ჯარიმის გადახდევინება წარმოებს აღმასრულებლის მიერ დამრღვევის პირად ქონებაზე ან საერთო საკუთრებაში მის წილზე გადახდევინების მიქცევის გზით. *(15.07.2008 N 214 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან)*

3. ჯარიმის გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს ისეთი ქონებიდან, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სააღსრულებო დოკუმენტებით არ არის განსაზღვრული.

4. იმ სატრანსპორტო საშუალებაში კონტრაბანდის საგნების აღმოჩენისას, რომლის მფლობელს არა აქვს საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მას ჯარიმა გადახდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. *(17.08.2010 N 3593 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)*

5. ამ კოდექსის 116-ე, 117-ე, 118-ე–119-ე, 120-ე–123-ე, 125-ე, 127-ე, $127^1$ და $129^1$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას, თუ დამრღვევს არა აქვს სატრანსპორტო საშუალების (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის) მართვის უფლება, ჯარიმის იძულებით აღსრულებას დამრღვევის ხელფასიდან ან სხვა

შემოსავლიდან, აგრეთვე დამრღვევის პირად ქონებაზე ან საერთო საკუთრებაში მის წილზე გადახდევინების მიქცევის გზით ახორციელებს აღმასრულებელი. *(15.07.2008 N 214 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან)*

მუხლი 292. დადგენილების აღსრულების ისეთი ჯარიმის შესახებ, რომელიც გადახდევინებული უნდა იქნეს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას

ამ კოდექსის 242-ე მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ჯარიმის გადახდისას დამრღვევს მიეცემა დადგენილი ნიმუშის ქვითარი, რომელიც წარმოადგენს მკაცრი საფინანსო ანგარიშგების დოკუმენტს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში საქმის წარმოება, შემდეგ კი დადგენილების აღსრულება ხორციელდება ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 293. დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულების წარმოების დამთავრება

ის დადგენილება დაჯარიმების შესახებ, რომლითაც ჯარიმა მთლიანად გადახდილია, აღსრულების აღნიშვნით დაუბრუნდება დადგენილების გამომტან ორგანოს (თანამდებობის პირს).

თავი XXVI

საგნის სასყიდლით ჩამორთმევის შესახებ დადგენილების აღსრულების წარმოება

მუხლი 294. საგნის სასყიდლით ჩამორთმევის შესახებ დადგენილების აღსრულების წარმოება

საგნის სასყიდლით ჩამორთმევის შესახებ დადგენილების საფუძველზე ჩამორთმეული საგნები დადგენილების გამომტანი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ სარეალიზაციოდ ჩაბარდება საკომისიო მაღაზიას ან ამ მიზნისათვის სპეციალურად გამოყოფილ სახელმწიფო ან კოოპერაციული ვაჭრობის მაღაზიებს ჩამოსართმევი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

დადგენილება ცეცხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო მასალების სასყიდლით ჩამორთმევის შესახებ აღსრულდება შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ.

სასყიდლით ჩამორთმეული საგნის რეალიზაციით მიღებული თანხა ამ კოდექსის 28-ე მუხლის შესაბამისად გადაეცემა ყოფილ მესაკუთრეს ჩამორთმეული საგნის სარეალიზაციოდ გაწეული ხარჯების გამოკლებით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით შეიძლება დადგენილ იქნეს საგნის სასყიდლით ჩამორთმევის შესახება დადგენილებათა აღსრულების სხვა წესი.

თავი XXVII

კონფისკაციის შესახებ დადგენილების აღსრულების წარმოება

მუხლი 295. კონფისკაციის შესახებ დადგენილების აღსრულების განმახორციელებელი ორგანოები *(23.06.2005 N 1753)*

1. კონფისკაციის შესახებ დადგენილებას აღასრულებს:

ა) აღმასრულებელი – ამ კოდექსის 208-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენისას; შინაგან საქმეთა ორგანოს უფლებამოსილი პირი ამ კოდექსის 167-ე და 180-ე მუხლებით, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილით, $183^{1}$ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენისას; *(15.07.2008 N 214 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან)*

ბ) ნადირობის წესების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირი – ამ კოდექსის $85^{3}$ მუხლით, 86-ე მუხლით (ნადირობის წესების დარღვევისათვის) 196-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენისას;

გ) ფინანსთა სამინისტროს სისტემის შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირი – ამ კოდექსის 157-ე და 194-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენისას; (4232)

დ) ამოღებულია (26.04.2012. N6094 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

2. ამ კოდექსის $98^{1}$ მუხლის შენიშვნაში აღნიშნული პროდუქციის კონფისკაციას ახდენს და სამართალდამრღვევის ხარჯით ანადგურებს სოფლის მეურნეობის ხარისხზე კონტროლის განმახორციელებელი უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

მუხლი 296. კონფისკაციის შესახებ დადგენილების აღსრულების წესი

კონფისკაციის შესახებ დადგენილების აღსრულება წარმოებს კონფისკაციაქმნილი საგნის ჩამორთმევის და სახელმწიფო საკუთრებად ამ საგნის იძულებით, უსასყიდლოდ გადაქცევით. (29.12.2006. N4232)

მუხლი 297 კონფისკაციაქმნილი საგნის რეალიზაციის წესი

კონფისკაციაქმნილი საგნის რეალიზაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს ან უშუალო ობიექტს წარმოადგენდა, წარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 298. კონფისკაციის შესახებ დადგენილების წარმოების დამთავრება

საგნის კონფისკაციის შესახებ დადგენილება აღსრულების აღნიშვნით დაუბრუნდა დადგენილების გამომტან ორგანოს (თანამდებონბის პირს).

## თავი XXVIII
## სპეციალური უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების აღსრულების წარმოება

მუხლი 299. სპეციალური უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების აღმასრულებელი ორგანო (28.04.2006. N2962)

1. დადგენილებას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ აღასრულებენ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამდებობის

პირები.

2. ამოღებულია (28.10.2010. N3779)

3. ამოღე ბულია (25.07.2006. N3516)

მუხლი 300. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების აღსრულების წესი *(23.06.2005 N 1753)*

1. დადგენილება სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ აღსრულდება მძღოლის მოწმობის ჩამორთმევით.

2. თუ მძღოლი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, თავს არიდებს მძღოლის მოწმობის ჩაბარებას, აღმასრულებელი ჩამოართმევს მოწმობას იძულების წესით. *(15.07.2008 N 214 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბიდან)*

3. . სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის წესს, ხოლო მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლისას, აგრეთვე მისი შემცირებისას მართვის მოწმობის დაბრუნების წესს განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. (28.04.2006. N2962)

4. ამოღებულია (28.10.2010. N3779)

მუხლი 301. ამოღებულია (25.07.2006. N3516)

მუხლი 302. სპეციალური უფლების ჩამორთმევის ვადის შემცირების საფუძველი და წესი

თუ პირს პირველად აქვს ჩადენილი სამართალდარღვევა, რომლისთვისაც გარკვეული ვადით ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, მისი პიროვნებისა და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, სახდელის დამდებ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია შეუმციროს მას აღნიშნული უფლების ჩამორთმევის ვადა, ამასთანავე, ასეთი შემცირება დაიშვება დანიშნული ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ.

მუხლი 303. სპეციალური უფლების ჩამორთმევის ვადის გამოანგარიშება

1. სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები ჩაითვლებიან სპეციალურუფლებაჩამორთმეულად ამ უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების გამოტანის დღიდან.

2. სპეციალური უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლისას, აგრეთვე მისი შემცირებისას ამ კოდექსის 302-ე მუხლის შესაბამისად, პირს, რომელსაც შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელის ეს ზომა, დადგენილი წესით დაუბრუნდება ჩამორთმეული დოკუმენტები. (25.07.2006. N3516)

## თავი XXIX
## გამასწორებელი სამუშაოების შესახებ დადგენილების აღსრულების წარმოება

მუხლი 304. გამასწორებელი სამუშაოების შესახებ დადგენილების აღსრულება

დადგენილება გამასწორებელი სამუშაოების შეფარდების შესახებ აღსასრულებლად გაიგზავნება მისი გამოტანიდა არა უგვიანეს მეორე დღისა.

გამასწორებელ სამუშაოებს ამ კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად დამრღვევი მოიხდის მუდმივ სამუშაო ადგილას.

გამასწორებელი სამუშაოების შესახებ დადგენილების საფუძველზე დამრღვევის ხელფასიდან სახელმწიფო შემოსავალში დაქვითვა წარმოებს სამუშაოების მოხდის ვადის განმავლობაში, დადგენილებით განსაზღვრული ოდენობით.

მუხლი 305. გამასწორებელი სამუშაოების მოხდის ვადა

გამასწორებელი სამუშაოების მოხდა გამოითვლება იმ დროის მიხედვით, რომლის განმავლობში დამრღვევი მუშაობდა და მისი ხელფასიდან წარმოებდა დაქვითვა.

დამრღვევის მიერ გამომუშავებული დღეების რაოდენობა არ უნდა იყოს იმ სამუშაო დღეების რაოდენობაზე ნაკლები, რომელიც მოდის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ დადგენილი სახდელის კალენდარულ ვადაზე. თუ დამრღვევმა არ გამოიმუშავა სამუშაო დღეების სახდელის ვადაში ჩათვლის საფუძველი, გამასწორებელი სამუშაოების მოხდა გაგრძელდება დაწესებული სამუშაო დღეების დამრღვევის მიერ სრულად გამომუშავებამდე. გამასწორებელი სამუშაოების მოხდის ვადაში ჩაითვლება ის დრო, რომლის განმავლობაში დამრღვევი საპატიო მიზეზით არ მუშაობდა და მას კანონის შესაბამისად ეძლეოდა ხელფასი. ამ ვადაში ჩაითვლება აგრეთვე ავადმყოფობის დრო, ავადმყოფის მოვლისათვის მიცემული დრო და ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების დრო. სიმთვრალით ან სიმთვრალესთან დაკავშირებული მოქმედებით გამოწვეული ავადმყფობის დრო არ ჩაითვლება გამასწორებელი სამუშაოების მოხდის ვადაში.

მუხლი 306. დამრღვევის მიერ გამასწორებელი სამუშაოების მოხდის ადგილის საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციის მოვალეობა

დამრღვევის მიერ გამასწორებელი სამუშაოების მოხდის ადგილის საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას ევალება:

დამრღვევის ხელფასიდან სწორი და დროული დაქვითვა სახელმწიფოს შემოსავალში და დაკავებული თანხის დადგენილი წესით დროულად ჩარიცხვა;

დამრღვევის შრომითი აღზრდა;

ამ სახის სახდელის აღსრულების გამგებელი ორგანოსათვის შეტყობინება დამრღვევის მიერ სახდელის მოხდისაგან თავის არიდების შესახებ.

მუხლი 307. ამოღებულია (28.04.2006. N2962)

თავი XXX

ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ დადგენილების აღსრულების წარმოება

მუხლი 308. ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ დადგენილების აღსრულება

დადგენილება ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ აღსრულდება მისი გამოტანის შემდეგ დაუყოვნებლივ.

მუხლი 309. ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდის წესი *(27.03.2009 N 1142)*

1. პირი, რომელსაც შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურე, პატიმრობას იხდის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ადგილებში, ხოლო სხვა უწყების სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა, – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ადგილებში. ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ დადგენილების აღსრულებისას დაპატიმრებულებს პირადად გასინჯავენ.

2. ადმინისტრაციული დაკავების ვადა ჩაითვლება ადმინისტრაციული პატიმრობის ვადაში.

3. ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდა წარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 310. ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირების შრომითი გამოყენება

ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირებს გამოიყენებენ ფიზიკურ სამუშაოებზე.

ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირთა შრომითი გამოყენების ორგანიზაცია ევალებათ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს.

ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირებს პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მუდმივ სამუშაო ადგილზე ხელფასი არ მიეცემათ.

## თავი XXXI
## ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების აღსრულების წარმოება

მუხლი 311. ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების აღსრულების წესი და ვადები (26.04.2012. N6090)

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში აღსრულდება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კოდექსითა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში სააღსრულებო დოკუმენტია.

3. ქონებრივი ზარალი დამრღვევმა უნდა აანაზღაუროს მისთვის ამ კოდექსის 268-ე მუხლის შესაბამისად დადგენილების ჩაბარებიდან არა უგვიანეს 15 დღისა, ხოლო ამ დადგენილების გასაჩივრების ან გაპროტესტების შემთხვევაში – საჩივრის ან

პროტესტის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 15 დღისა, გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. ამ კოდექსის 208-ე და 208[2] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების თაობაზე გამოტანილი დადგენილებების გასაჩივრება არ აჩერებს ამ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დადგენილების ჩაბარებიდან ასათვლელი ქონებრივი ზარალის ანაზღაურებისათვის დადგენილი ვადის დინებას.

მუხლი 312. ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების შეუსრულებლობის შედეგები

ამ კოდექსის 311-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ვადაში ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების შეუსრულებლობისას იგი გაიგზავნება ზარალის ასანაზღაურებლად სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სააღსრულებო წარმოების წესით.

მუხლი 312[1]. ადმინსტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არაიდენტიფიცირებული სამართალდამრღვევის მიმართ *(01.07.2005 N1857)*

1. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ვინაობა (სახელი, გვარი, ასაკი, სქესი, მოქალაქეობა) დაუდგენელია და იგი უარს აცხადებს თვითიდენტიფიცირებაზე, განმარტების მიცემაზე ან ფიზიკური ნაკლის თუ სხვა ობიექტურ გარემოებათა გამო შეუძლებელი ხდება მისი იდენტიფიცირება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მწარმოებელი პირის მიერ შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობით დგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელშიც აღიწერება პირის ყველა შესაძლო გარეგნული ნიშანი (სავარაუდო ასაკი, სქესი, სიმაღლე, თმის ფერი, თვალების ფერი, გარეგნობისა და იერის სხვა თავისებურება), რომლებითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება (ოქმს თან დაერთვის ფოტოსურათი). ამასთან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მწარმოებელი პირის შუამდგომლობით ადმისტრაციული სახდელის დადებაზე უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილებით, პირს შესაძლებელია მიენიჭოს პირობითი სახელი ციფრების ან/და ანბანის სიმბოლოების იმგვარი კომბინაციით, რაც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან შესაძლებელს გახდის ამ პირის იდენტიფიცირებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შემდგომი წარმოებისას. პირობითი სახელი არ შეიძლება იყოს ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახავი და შეურაცხმყოფელი შინაარსისა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით მოცემულ შემთხვევაში ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შემდგომი მოქმედება, მათ შორის, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება, ხორციელდება დაუბრკოლებლად, სრული მოცულობით. ამასთან, არაიდენტიფიცირებული სამართალდამრღვევის მიმართ ოქმის შედგენის

შემდეგ საქმის წარმოება ხორციელდება ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობით.

3. არაიდენტიფიცირებული პირის მიმართ ამ კოდექსით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შემდეგ საქმის წარმოების ადგილის მიხედვით შესაბამისი რაიონული (ქალაქის) სასამართლოს ბრძანებით, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაინიშნოს კოპლექსური სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომლითაც სხვა საკითხებთან ერთად უნდა დადგინდეს ამ პირის ფსიქიკური მდგომარეობა, სისხლის ჯგუფი და განხორციელდეს დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია.

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მწარმოებელი თანამდებობის პირი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გონივრული ღონისძიების გატარება ამ მუხლში აღნიშნული პირის იდენტიფიცირების მიზნით (მისი სახელის და გვარის, ასაკის, მოქალაქეობისა და შერაცხადობის დასადგენად).

5. არაიდენტიფიცირებული პირის მიერ ამ კოდექსის $92^2$, $98^2$, $153^3$, 155-ე, $155^1$ და $155^2$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ადმინისტრაციული სახდელის სახით დაკისრებული ჯარიმის გადახდის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებული ხასიათის ღონისძიების სახით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის, უშუალო ობიექტის, საგნის, საქონლის, ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალების დროებითი ჩამორთმევა და 3 თვემდე ვადით შენახვა. ამ ვადაში პირის იდენტიფიცირებისას მის მიმართ საქმის შემდგომი წარმოება გრძელდება საერთო წესით. (29.12.2006. N4232)

6. თუ არაიდენტიფიცირებული პირი 3 თვის ვადაში ვერ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სახდელის სახით დაკისრებული ჯარიმის გადახდას, განხორციელდება დროებით ჩამორთმეული და შენახული საქონლის (საგნის) კონფისკაცია ან რეალიზაცია ამ კოდექსით დადგენილი წესით იმ ფარგლებში, რაც საკმარისია დაკისრებული ჯარიმის ოდენობისათვის, ხოლო დარჩენილი საქონელი უბრუნდება მფლობელს.

7. თუ არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობა დადგინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, საქმის მწარმოებელი ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია 72 საათის განმავლობაში ამ გარემოებასთან შესაბამისობაში მოიყვანოს და გადასინჯოს საქმეზე არსებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გარემოება იწვევს შებრუნებას საუარესოდ.

8. არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობის დადგენა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ არ წარმოადგენს ამავე ნაწილით გათვალისწინებული წესით კონფისკებული ან რეალიზებული საქონლის (საგნის) დაბრუნების ან მისი ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.

## თავი XXXII
## გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

*(06.06.2003 N2352)*

მუხლი 313. გარდამავალი დებულება

1. საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ 2003 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყოს ამ კოდექსის 178[1] მუხლის ამოქმედებასთან დაკავშირებული სალიცენზიო და სანებართვო პირობებისა და სხვა შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტების განსაზღვრისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

2. 2004 წლის 13 სექტემბრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე ამ კოდექსის 118-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 45[1] მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სატრანსპორტო საშუალებებზე. *(26.10.2004 N 514)*

3. 2004 წლის 13 სექტემბრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე ამ კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ავტომოტოტრანსპორტის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის პოლისის არქონისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პირს მხოლოდ იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისას, რომელიც „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად ექვემდებარება სავალდებულო დაზღვევას. (28.04.2006. N2962)

4. ამ კანონის 89[4] მუხლის მე-6 ნაწილი მოქმედებს 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე. *(2.03.2007 N4413)*

5. ამოღებულია *(21.07.2010 N 3535 ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან)*

6. „საქართველოს მოქალაქეების მიერ საქართველოს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით შემოყვანილი, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კეთილსინდისიერად შეძენილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული პირი თავისუფლდება ამ კოდექსის 122-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან, თუ იგი „საქართველოს მოქალაქეების მიერ საქართველოს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით შემოყვანილი, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კეთილსინდისიერად შეძენილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში წარადგენს სათანადო განცხადებას ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე 2006 წლის 1 ივლისამდე კეთილსინდისიერად შეძენილი და საქართველოს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით 2006 წლის 1 ივლისამდე შემოყვანილი მექანიკური

სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის შესახებ და უზრუნველყოფს აღნიშნული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციას. *(11.03.2008. N6850 მოქმედებს ამოქმედებიდან 4 თვის განმავლობაში)*

7. „საქართველოს მოქალაქეების მიერ საქართველოს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით შემოყვანილი, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კეთილსინდისიერად შეძენილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული პირი თავისუფლდება ამ კოდექსის 122-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან, თუ იგი „საქართველოს მოქალაქეების მიერ საქართველოს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით შემოყვანილი, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კეთილსინდისიერად შეძენილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში წარადგენს სათანადო განცხადებას ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე 2006 წლის 1 ივლისამდე კეთილსინდისიერად შეძენილი და საქართველოს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით 2006 წლის 1 ივლისამდე შემოყვანილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების საბაჟო დამუშავების შესახებ და უზრუნველყოფს შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებას. *(11.03.2008. N5850 მოქმედებს ამოქმედებიდან 4 თვის განმავლობაში)*

8. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2010 წლის 15 აგვისტომდე უზრუნველყოს ამ კოდექსის 96[1] და 149-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის ადმინისტრაციული სახდელების დადებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრა, ადმინისტრაციული სახდელების დადებასა და იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებული წესების, აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმებისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების ფორმების დამტკიცება. *(16.07.2010 N 3448)*

9. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს ამ კოდექსის 239-ე და 245-ე მუხლებით გათვალისწინებული, აღსრულების პოლიციელის მიერ შესადგენი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმების, მათი შევსებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცება.(28.10.2011. N5171)

მუხლი 314. დასკვნითი დებულებანი

1. ამ კოდექსის 153-ე მუხლის მე-3-5 ნაწილები, აგრეთვე 239-ე მუხლის 43-ე ნაწილი ამოქმედდეს 2003 წლის 1 სექტემბრიდან.

2. ამ კოდექსის 178[1] მუხლი და ამ მუხლთან დაკავშირებული 208-ე მუხლითა

და 239-ე მუხლის 45-ე ნაწილით განსაზღვრული დებულებები ამოქმედდეს 2003 წლის 1 დეკემბრიდან.

3. ამ კოდექსის $42^5$, $42^6$, $42^7$ მუხლები, აგრეთვე მათთან დაკავშირებული 208-ე მუხლისა და 239-ე მუხლის 46-ე ნაწილის შესაბამისი დებულებები ამოქმედდეს 2004 წლის 1 იანვრიდან.

4. ამ კოდექსის $42^8$ და $42^9$ მუხლები, აგრეთვე მათთან დაკავშირებული 208-ე მუხლისა და 239-ე მუხლის 46-ე ნაწილის შესაბამისი დებულებები ამოქმედდეს 2005 წლის 1 იანვრიდან. *(23.07.2003 N2577)*

5. ამ კოდექსის $155^5$ მუხლი ამოქმედდეს 2005 წლის 1 იანვრიდან, ხოლო $155^6$ მუხლი ამოქმედდეს 2006 წლის 1 იანვრიდან. *(5.12.2003 N 3136)*

6. $92^2$ მუხლის მოქმედება შეჩერებულ იქნეს კანონმდებლობაში თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობისა და ლიცენზირების საკითხებთან დაკავშირებით სათანადო ცვლილებების განხორციელებამდე. *(01.07.2004 N 316)*

7. ამ კოდექსის 119-ე მუხლის მე-7 ნაწილი ამოქმედდეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის „ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მინების დამუქების წესისა და იმ სატრანსპორტო საშუალებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებიც არ საჭიროებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანხმობას“ ბრძანების ამოქმედების დღიდან. (28.04.2006. N2962)

8. ამოღებულია *(21.07.2010 N 3535 ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან)*

9. ამოღებულ იქნეს (8.05.2012 N6156 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე *პ. გილაშვილი*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი *თ. ლაშქარაშვილი*

თბილისი,
1984 წლის15 დეკემბერი.